პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 48, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე ჯარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % სახელმწ. გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ბოლოში ტექსტის შეუცვლელად—შემავალი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

## დ ღ ი უ რ ი

- — დანციგში ესალმებიან დანციგ-საბჭოთა ურთიერთობის გაცხოველებას.
- — გამწვავდა სამხრეთ-სლავია-ბულგარეთის ურთიერთობა.
- — პოლონეთის პრესა პილსუდსკის სიტყვის შესახებ.
- — რუმინეთში დაიწყო გლეხთა მღელვარება.
- — გერმანიის რეიხსტაგმა დაადგინა გაადიდოს ბაჟი სას.-სამ. პროდუქტებზე.
- — თავდაცვა-ავიაქიმის მე-8 ლატარიის მოგებანი.

შაბათი, 29 ივნისი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 147 (2493)

## საქ. კ.პ. (ბ) მე-VI ყრილობა

### გაიხსნება I-ლ ივლისს საღამოს 6 საათზე

მელითონეთა კლუბის საზაფხულო შენობაში, პლეხანოვის პროსპ. № 123 (ყოფ. ც. მ. კ.)

დღის წესრიგი:

1. საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ანგარიში—ამხ. კახიანი.
2. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის ანგარიში—ამხ. სტურუა.
3. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
4. საქ. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ—ამხ. ფ. მახარაძე.

თანამოხსენება საქართველოს მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ— ამხ. ყურულაშვილი.

5. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების გზებისა და სოფლად მუშაობის შესახებ—ამხ. ლ. ლოლობერიძე.
6. არჩევნები.

დელეგატების რეგისტრაცია და მანდატების გაცემა იწარმოებს ც. კ.-ის სააღრიცხვო განყოფილებაში (ოთახი № 22) 1929 წლის ივნისის 30-ის დილის 10 საათიდან.

სადგურში საჭირო ცნობების მიღება შეიძლება გაერთიანებულ სახ. პოლიტსამმართველოს მორიგე აგენტთან.

საორგანიზაციო კომისია

---

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა ივლისისათვის

კვირას, 30 ივნისს კანტორა ღია იქნება
ხელისმოწერის მისაღებად დილის 9 ს. 2 საათამდე
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

---

## ილიუზიები დაიმსხვრევა

[ინგ]ლისის მუშათა პარტიის ორგანო და მთავრობის ოფიციოზი „დეილი ჰერალდი" თავის მოწინავეში წერს: „ჩვენ ვთხოვთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს, რომელნიც მოგვმართავენ მრავალრიცხოვანი წერილებით, სადაც [ისინი] აყენებენ მოთხოვნას ამა თუ იმ [რეფ]ორმის „ფრიად სასწრაფო [გან]ხორციელების შესახებ, [გა]ითვალისწინონ მდგომარეობა და იქონიონ მოთმინება". ასეთი მოწოდებები მუშებისადმი სოციალ-გამცემლების მხრით ძალიან ხშირად გვესმის მას შემდეგ, რაც მაკდონალდი ხელისუფლების სათავეში მოექცა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ენერგიას ანვითარებენ მემაღაროეთა ლიდერები. მემაღაროეთა ფედერაციის მდივანი კუკი, რომელსაც ერთ დროს მემარცხენეობით მოქონდა თავი და რომელმაც ვერაგულად გასცა მუშათა მოძრაობა, აფრთხილებს მუშებს: „ნუ მოელით სასწაულს ან მდგომარეობის სრულ გარდაქმნას რამოდენიმე დღის განმავლობაში"-ო, ხოლო ფედერაციის თავმჯდომარე სმიტი ამბობს: „ახლა ძალა-უფლებას მეთაურობს მთავრობა, რომელსაც აქვს საკუთარი სიძნელენი, და მან თანდათანობით უნდა იმოქმედოს".

ყოველივე ეს მეტად დამახასიათებელია. ინგლისის პროლეტარიატის დიდმა ნაწილმა არჩევნებში მაკდონალდებს დაუჭირა მხარი იმ სრულიად უნიადაგო იმედით, რომ ისინი მუშათა კლასის მდგომარეობას გააუმჯობესებდენ და თავის საარჩევნო დაპირებების განაღდებას შეუდგებოდენ. ეს დაპირებები კი საერთოდ საკმაოდ უფერული იყვნენ, მაგრამ, მუშათა მასების მოზიდვის მიზნით, შეიცავდენ ერთგვარ მოთხოვნებს, რომელთა [გა]ტარებას თუგინდ მცირეოდნად უნდა შეეკვეცა მუშების განუსაზღვრელი ექსპლოატაცია. მათ შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა მოთხოვნას მემაღაროებში შვიდი საათის სამუშაო დღის დაუყოვნებლივი აღდგენის შესახებ.

უკვე სამი კვირა გავიდა, რაც მაკდონალდის მთავრობა ოფიციალურად შესდგა, მაგრამ ის არაფერს აკეთებს თავის დაპირებათა შესასრულებლად. [illegible]ია, რომ მუშათა მასებში მოუთმენლობა იზრდება. ამას მოწმობს „დეილი ჰერალდი"-ს წერილი, აგრეთვე სმიტის და კუკის გამოსვლები. „ლიდერები" ცდილობენ მასების ჩუმებას. მათ უარყვეს სამხრეთ-უელსის მემაღაროეთა კონფერენციაზე მარცხენე ფრთის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნები შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ. პროფბიუროკრატებმა ასევე უარყვეს მემარცხენე ფრთის მოთხოვნა, რომ დაუყოვნებლივ ყოფილიყო მოწვეული ინგლისის მემაღაროეთა საერთო კონფერენცია მთელი ინგლისის მასშტაბით სატარიფო შეთანხმების დასადებად ბრძოლის მომზადებისათვის.

თავის თავად ცხადია, გამცემლების ასეთ მოქმედებას კაპიტალისტები დიდი მოწონებით შეხვდენ. მათი გაზეთები სწერენ: პროფმოძრაობის მესვეურები გონივრად მოიქცენ, რადგან შვიდი საათის სამუშაო დღის აღდგენა ინგლისის ქვანახშირის მრეწველობის საკონკურენტო უნარს შეასუსტებს მსოფლიო ბაზარზე. ამნაირად, სმიტები მუშების მდგომარეობის შემსუბუქებაზე კი არ ზრუნავენ, არამედ ინგლისის კაპიტალის პოზიციების გამტკიცებაზე.

ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ მრეწველობის მტაცებლური მადა იზრდება. აიღეთ მაგალითად, ლანკაშირის საფეიქრო მრეწველობის ტრესტის თავხედური ნაბიჯი. მან დაადგინა ხუთას ათას მუშას, რომელნიც მის საწარმოებში არიან დაბანდებულნი, ხელფასი 12,5 პროც. შეუმციროს. საგულისხმოა, რომ ასეთი გადაწყვეტილება ლანკაშირის მრეწველებმა ჯერ კიდევ აპრილში გამოიტანეს, მაგრამ მისი განხორციელება გადასდვეს საპარლამენტო არჩევნების დამთავრებამდე. ახლა რეფორმისტების მოქმედებამ ისინი ისე გაათამამა, რომ მათ კვლავ დაადასტურეს თავისი ხსენებული დადგენილება. მრეწველები მოკლე დროში შეუდგებიან მის განხორციელებას იმ იმედით, რომ „სამრეწველო მშვიდობიანობის" სადარაჯოზე მდგომი მაკდონალდები არ დაუშვებენ მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლას.

საფეიქრო მრეწველობაში დიდი კონფლიქტებია მოსალოდნელი. ეს მით უფრო ითქმის ქვა-ნახშირის მრეწველობაზე. გარდა შვიდი საათის სამუშაო დღისათვის ბრძოლისა, იქ აუცილებლად გამწვავდება მდგომარეობა ახალ სატარიფო შეთანხმებათა გარშემო. ახლო მომავალში ვადა გაუდის რაიონულ შეთანხმებებს, რომლებიც დადებული იყო მემაღაროეთა საყოველთაო გაფიცვის შემდეგ. მაშინ მუშები იძულებული შეიქნენ ინგლისის მასშტაბით ერთი მთლიანი შეთანხმების მაგივრათ, რაიონულ შეთანხმებათა პრინციპი მიეღოთ, რაც მემაღაროეთა ორგანიზაციის დაქუცმაცებას და დაუძლურებას ნიშნავდა. ამასთან ხელფასი საგრძნობლად იქნა შემცირებული. მუშები კი მოითხოვენ სატარიფო შეთანხმების წინანდელი სისტემის აღდგენას, ესე იგი, ხელშეკრულების დადებას სრულიად ინგლისის მასშტაბით, და ხელფასის გადიდებას.

თავისთავად იგულისხმება, რომ „მუშათა" მთავრობა უძლური იქნება მოსპოს კლასობრივი ბრძოლის აუცილებელი გამწვავება. „ლიდერები" მუშებს მოთმინებისაკენ მოუწოდებენ, მაგრამ მათ მოთმინებას საზღვარი არ აქვს. ის მოუსვენრობა, რომელიც ეხლა მუშებს ეტყობათ, სულ უფრო გაიზრდება. ისინი დარწმუნდებიან, რომ მაკდონალდის მთავრობა, რომელიც კაპიტალისტურ წყობილების განმტკიცებას ემსახურება, არსებითად ვერაფერს გააკეთებს მუშების სასარგებლოდ. რეფორმისტული ილიუზიები, რომლებსაც ჯერ კიდევ მაგრად აქვთ ფეხი მოკიდებული ინგლისის პროლეტარიატის საგრძნობ ნაწილში, დაიმსხვრევა და შესაფერი ნიადაგი შეიქმნება რევოლიუციონურ მოძრაობის გაშლისათვის. რა თქმა უნდა, ეს ერთბაშად არ მოხდება, მაგრამ ულმობელი სინამდვილე და „მუშათა" მთავრობის გამცემლური პოლიტიკა აუცილებლად დააჩქარებენ ინგლისის პროლეტარიატის კლასობრივ გამოფხიზლების და მისი რიგების რევოლიუციონურ მობილიზაციის პროცესს.

---

# იუნგის გეგმა და მოკავშირეთა ვალების მოწესრიგების საკითხი

## საფრანგეთმა 1 აგვისტოს ამერიკას უნდა გადაუხადოს 407 მილ. დოლარი

### დეპუტატთა პალატა მოითხოვს ვალის გადახდის ვადის გადადებას 31 დეკემბრამდე

## ამერიკა მონაწილეობას არ მიიღებს გერმანიის რეპარაციების აკრეფაში

## იუნგის გეგმა და მოკავშირეთა ვალები

### ჰუვერის თათბირი ამერიკის დელეგატებთან

**ვაშინგტონი,** 27 ივნისი. პრეზიდენტ ჰუვერს თათბირი ჰქონდა პარიზის სარეპარაციო კონფერენციაზე გაგზავნილ ამერიკელ დელეგატებთან — **ოუენ იუნგთან, მორგანთან, ლამონტთან და პერკინსთან.**

თათბირში, რომელიც უმთავრესად შეეხო შეერთებული შტატების მონაწილეობას მომავალ საერთაშორისო სარეპარაციო ბანკში, მონაწილეობა მიიღეს საგარეო საქმეთა მინისტრმა **სტიმსონმა**, საზღვაო მინისტრმა **მელონმა** და სახელმწიფო ბანკების სამმართველოს თავმჯდომარემ.

თათბირის შედეგების შესახებ ოფიციალურად არაფერი გამოუცხადებიათ.

როგორც ვაშინგტონის წრეებში ფიქრობენ, განუცხადეს პრეზიდენტს, რომ სარეპარაციო პრობლემის გადაჭრა უეჭველად გამოიწვევს მსოფლიო ვაჭრობისა და მრეწველობის საგრძნობ გაცხოველებას ამერიკის უშუალო მონაწილეობით.

ჰუვერის კითხვაზე —**შესძლებს თუ არა გერმანია იმ ვალდებულებების შესრულებას, რომელიც მან იკისრა იუნგის გეგმის თანახმად, დელეგატებმა ერთხმად დადებითად უპასუხეს.**

შემდეგ განხილულ იქნა საკითხი იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა იქნას დადებული გერმანიასთან შეთანხმება იმ ვალდებულების შესახებ, რომელიც მან უნდა გადაუხადოს ამერიკას. ფიქრობენ, ჰუვერი სთხოვს კონგრესს, ნება დართოს მას — აწარმოოს ამის შესახებ მოლაპარაკება გერმანიასთან. (ადს)

### მოკავშირეთა ურთიერთ ვალები

**პარიზი,** 27 ივნისი. პალატის საფინანსო და საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე მეხუთე დღეა გრძელდება პუანკარეს მოხსენება საფრანგეთის შეთანხმებათა შესახებ ვალების საკითხში. პუანკარე მოითხოვს ამ შეთანხმებების რატიფიკაციას 1 აგვისტომდე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკა არ დასთანხმდება გადასდოს 407 მილ. დოლარის შეტანის ვადა. როგორც ვიცით, ეს ფული საფრანგეთმა უნდა გადაიხადოს 1 აგვისტოს.

პუანკარემ განაცხადა: ჯერ კიდევ არჩევნებამდე ინგლისის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა ჩერჩილმა გააფრთხილა საფრანგეთი, **რომ თუ ის ამერიკას გადაუხდის ამ თანხას 1 აგვისტოს, ინგლისის მთავრობა მოითხოვს საფრანგეთისაგან 80 მილ. გირ. სტერლინგის ერთდროულად გადახდას.** პუანკარეს სიტყვით, ეს მოთხოვნა უსამართლო და დაუსაბუთებელია.

როგორც „პტი პარიზიენ"-ის და „მატენ"-ის ლონდონელი კორესპონდენტები იუწყებიან, პუანკარეს განცხადებას მუშათა პარტიის წრეებში კრიტიკულად შეხვდნენ (ადს).

### მოითხოვენ უზრუნველყოფას

**პარიზი,** 27 ივნისი. რადიკალ-სოციალისტების საპარლამენტო ფრაქციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს საფრანგეთის ვალების უზრუნველყოფას გერმანიისაგან მიღებული ფულით. რეზოლიუცია მთავრობას აგონებს, რომ მან თანხმობა განაცხადოს — ამასთან არაორაზროვანად — რეინის ოლქის ვადამდე ევაკუაციაზე, როგორც ისეთ პირობაზე, რომლის შემდეგაც გერმანია მიიღებს იუნგის გეგმას. უამისოდ საფრანგეთი ვერ იკისრებს მოკავშირეთა ვალების გადახდას. (ადს)

### ამერიკა არ მიიღებს მონაწილეობას გერმანიის სარეპარაციო გადასახადის აკრეფაში

**ნიუ-იორკი,** 27 ივნისი. საგარეო საქმეთა მინისტრმა **სტიმსონმა** ჰუვერთან, მორგანთან და სხვებთან თათბირის შემდეგ განაცხადა, **რომ შეერთებული შტატების რესპუბლიკა გერმანიის სარეპარაციო გადასახადების აკრეფაში არ მიიღებს მონაწილეობას არც ბანკის, და არც სხვა მეთოდების საშუალებით.** (ადს)

### დეპუტატთა პალატაში

**პარიზი,** 27 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: დეპუტატთა პალატის სხდომაზე პუანკარემ მოითხოვა იმ შეკითხვების გადადება, რომლებიც შეეხებოდნენ ვალებს და რეპარაციებს.

ფრანკლენ ბუიონმა საჭიროდ სცნო კამათის დაწყება, რომლის შემდეგაც პარლამენტმა წინადადება უნდა მისცეს მთავრობას — დაიწყოს მოლაპარაკება ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებთან იმის შესახებ, რომ ახალი ფაქტორის — იუნგის გეგმის არსებობის გამო 407 მილიონი მანეთი გადახდილ იქნას არა 1 აგვისტოს, არამედ 31 დეკემბერს.

„თქვენ იცით, — საპასუხოდ განაცხადა პუანკარემ, — რომ **ჩვენ ვითხოვეთ ვადის გადადება, მაგრამ უარი გვითხრეს.** ხვალ განვაახლებ მოლაპარაკებას და ვაცნობებ ჩვენს წარმომადგენელს ვაშინგტონში, რომ მე პირისპირ ვდგევარ პალატასთან, რომელიც, ჩემის აზრით, ერთსულოვანია".

შემდეგ პუანკარემ სთქვა:

„თუ ეს ძნელი მოლაპარაკება უნაყოფოდ დამთავრდება, შესაძლებელია საკმაოც კი არ გამოდგეს, რომ მივმართოთ მსოფლიოს სამართლიანობას".

**ფრანკლენ ბუიონმა უპასუხა:**

„თქვენ ზურგს გიმაგრებთ მთელი საფრანგეთი. საფრანგეთს თავისი წარმომადგენლების საშუალებით უფლება აქვს საკმაო გარანტიის გარეშე არ იკისროს ვალდებულება 62 წლის ვადით".

პალატის სხდომა გადაიდო საღამოს 10 საათამდე, რომ კომისიებს საშუალება მიეცეთ განიხილონ ფრანკლენ ბუიონის შემდეგი რეზოლიუცია: **ახალი ფაქტორის — იუნგის გეგმის არსებობის გამო დეპუტატთა პალატა მთავრობას ანდობს — გადადგას საჭირო ნაბიჯები და მიაღწიოს იმას, რომ ძირითადი გამოსაღების გადახდა გადაიდოს 31 დეკემბრამდე, ამავე დროს არ შესწყდეს დროებითი გამოსაღების გადახდა, რომელიც უკვე ორი წელიწადია სწარმოებს.** (ადს).

**პარიზი,** 27 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: **პალატამ მიიღო ფრანკლენ ბუიონის რეზოლიუცია** მცირედის ცვლილებით, რომელიც მთავრობის თანხმობით საფინანსო კომისიამ შეიტანა. (ადს).

## საბჭოთა აპარატის გამწმენდი კომისიის დადგენილებათა გასაჩივრების წესი

**მოსკოვი,** 28 ივნისი. ადგილობრივი მუშგლეხინების მიერ საბჭოთა აპარატის (ინსტრუქციის გამოცემამდე) წმენდის დროს მოხსნილები, მუშგლეხინების დადგენილებათა განსაჩივრების მიზნით, მიემგზავრებიან მოსკოვში იმ იმედით, რომ იქ, განცხადების და ცნობების წარმოდგენისათანავე გადასწყვეტენ მათ საკითხს. რადგან საბჭოთა აპარატის გამწმენდ ცენტრალურ კომისიას ხელთ არა აქვს მასალა, რომლის მიხედვითაც მოსამსახურე გაიწმინდა, მას არ შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება მომჩივანის მიერ წარდგენილი მასალის მიხედვით და ადგილობრივ მუშგლეხინის მასალის გარეშე. იმ მიზეზით, რომ უკანასკნელის მიღება განსაზღვრულ დროს მოითხოვს, მოსკოვში ჩამოსულ მომჩივანთა მასა იძულებული ხდება მგზავრობაზე უნაყოფო ხარჯი გასწიოს და უშედეგოდ დაბრუნდეს უკან.

1. ინსტრუქციის მიხედვით, გასაჩივრების წესი ასეთია:

ა) „გამწმენდი კომისიების დადგენილებანი იმ პირთა შესახებ, რომლებიც მე-2 და მე-3 კატეგორიით არიან გაწმენდილნი, შეიძლება განსაჩივრებულ იქნან სათანადო ადგილობრივ მუშგლეხინებში, რომელთა გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

ბ) შემმოწმებელ და გამწმენდი კომისიების ის დადგენილებანი, რომლებიც პირველი კატეგორიის პირებს შეეხებიან, უნდა განასაჩივრონ ამ პირებმა შესაფერ უმაღლეს გამწმენდ კომისიებში (სამაზრო კომისიების დადგენილებანი საოლქოში), რომელთა გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

გ) საკავშირო და რესპუბლიკანური მუშათა და გლეხთა ინსპექციები უფლებას იტოვებენ, ზედამხედველობის წესით, გადასინჯონ ქვემდგომ მუშგლეხინთა დადგენილებანი.

2. ვისაც განსაჩივრება სურს ცენტრალურ კომისიაში, შეუძლია საჩივარი ფოსტით გაგზავნოს. საჩივრის საკუთარი ხელით შემტანთ არავითარი უპირატესობა არ ეძლევათ იმათ წინაშე, ვინც საჩივარს ფოსტით გზავნის. ორივე შემთხვევაში საჩივრების განხილვის წესი ერთნაირია, თვით განხილვა ხდება ყოველმხრივად შემოწმებული საბუთების საფუძველზე განსხვავება მარტო იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში მომჩივანს მოსდის ნივთიერი ზარალი (გზის ხარჯი და სხვა).

3. ყოველმა მომჩივანმა საჩივარს უნდა დაურთოს დამამტკიცებელი საბუთები. შეტანილი საჩივრის განხილვის შედეგები თავის დროზე ეცნობება მომჩივანს ნაჩვენები მისამართით. (ადს).

## ეგვიპტის ბამბის გადმონერგვა საბჭოთა კავშირში

### აგრონომების კრუტცევისა და შაგაევის ცდების შედეგები

**მოსკოვი,** 28 ივნისი. აგრონომი კრუტცევი აწარმოებდა ცდებს ეგვიპტის ბამბის მოსაშენებლათ თურქმენისტანში. თურქმენისტანის და ეგვიპტის კლიმატიური პირობები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნათ განსხვავდება. გაზაფხულზე თურქმენისტანში არ იცის ისეთი ამინდი, რომ ეგვიპტის ბამბის თესლმა გაიხაროს და ამიტომ, დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა ეგვიპტის ბამბის თესლის ხელოვნურ პირობებში გაზრდა სპეციალურათ მოწყობილ სათბურებში, ისე, რომ ცივი გაზაფხულის შემდეგ ბამბის გახარებული თესლი დაუყოვნებლივ გადარგული იქნეს მინდორზე.

აგრონომი კრუტცევი ამ მიზნით ცდებს აწარმოებდა 5—6 წლის განმავლობაში და მიაღწია კიდეც ბრწყინვალე შედეგს. ამგვარად გაზრდილმა და გადარგულმა ბამბამ გაიხარა და აყვავილება დაიწყო ივნისიდანვე.

აგრონომმა შაგაევმა ასეთივე წესით საბჭოთა კავშირის უფრო ჩრდილოეთ რაიონებში მოაშენა ამერიკული ბამბა. შაგაევის ცდებმაც შესანიშნავი შედეგი მოგვცა.

აგრონომ კრუტცევისა და შაგაევის ცდების შედეგების შესაფასებლათ საკავშირო ს. მ. უ. საბჭოსთან გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია, რომელმაც უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა. კომისიამ დაადასტურა, რომ აგრონომმა კრუტცევმა, რომელიც აწარმოებდა ეგვიპტის ბამბის საბჭოთა კავშირში გადმონერგვის ცდებს მიაღწია ღირსშესანიშნავ შედეგებს და შესაძლებელია, რომ მომავალი წლიდან დაწყებული იქნეს ეგვიპტის ბამბის თესვა ჩვენში. ამასთანავე კომისიამ საჭიროდ აღიარა 1930 წელს ჩატარებულ იქნეს ეგვიპტის ბამბის თესვა და საამისოთ გამოყოფილ იქნეს 1.000 ჰექტარი მიწის ნაკვეთი უმთავრესად თურქმენისტანში და ნაწილობრივ ტაჯიკისტანში და ამიერ - კავკასიაში. ამერიკული ბამბის დასათესათ კი 1930 წელს გამოყოფილი უნდა იქნეს 2.000 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ფირგანში, უკრაინაში, ჩრდილოეთ - კავკასიაში და ამიერ - კავკასიაში.

საკავშირო ს. მ. უ. ს; პრეზიდიუმმა დაავალა მებამბეობის მთავარ კომიტეტს დაუყოვნებლივ შეუდგეს საჭირო მუშაობას ეგვიპტისა და ამერიკის ბამბის მოსაშენებლათ საბჭოთა კავშირში და სპეციალურად ამ საქმის სახელმძღვანელოთ ქ. ტაშკენტში მოაწყოს „ბამბის მოშენების სამმართველო", რომელიც დაექვემდებარება მებამბეობის მთავარ კომიტეტს. ეგვიპტის ბამბის ფართოდ გასავრცელებლად საჭიროთაა ცნობილი დაწყებულ იქნეს შესაფერი ცდები მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სამხრეთ რაიონში. სასოფლო - სამეურნეო მექანიკის ინსტიტუტს დაევალა შეუდგეს შესაფერი კონსტრუქციის გადამნერგავი მანქანების დამზადებას პროფ. არციბაშევის ხელმძღვანელობით.

ბამბის მოშენების სამმართველოს დაევალა დაუყოვნებლივ შეუდგეს საჭირო სპეციალისტთა კადრების მომზადებას, რომ 1930 წელს არ დაბრკოლდეს ბამბის თესვისა და მოშენების კამპანიის ჩატარება.

საკავშირო ს. მ. უ. ს; პრეზიდიუმმა აღნიშნა აგრონომ კრუტცევის დიდი დამსახურება ეგვიპტის ბამბის მოშენების საქმეში, რითაც იქმნება შესაძლებლობა, უახლოესი 5 წლის შემდეგ შეწყდეს ეგვიპტის ბამბის იმპორტი, და დაადგინა წასახალისებელი ჯილდოს სახით მისცეს მას 3.000 მანეთი. მებამბეობის მთავარ კომიტეტს დაევალა ამთავითვე გადასდოს 100.000 მანეთი ეგვიპტისა და ამერიკული ბამბის მოშენების საქმეებისათვის.

აგრონომი შაგაევი, რომელიც ატარებდა ამ ცდებს, გამოძახებულია მოსკოვში, რომ მონაწილეობა მიიღოს ამერიკული ბამბის გადმონერგვის გეგმის შედგენაში. (ადს).

## ინდუსტრიალიზაციის დღე—6 აგვისტო

**მოსკოვი,** 28 ივნისი. თანახმად მუშების თხოვნისა, საკავშირო პროფსაბჭოს ორგბიურომ მიზანშეწონილად სცნო, რომ **6 აგვისტო დაინიშნოს ინდუსტრიალიზაციის ყოველწლიურ დღედ.** ამ დღის ხელფასი **უნდა გადაირიცხოს საკავშირო პროფსაბჭოს** განსაკუთრებულ ფონდში. ეს ფონდი მოხმარდება, უმთავრესად, იმ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინდუსტრიალიზაციას და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. ყოველწლიური ანარიცხები **შეადგენენ 16 მილიონ მანეთს.**

## დანციგი და საბჭოთა კავშირი

### ესალმებიან საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაცხოველებას

**დანციგი,** 27 ივნისი. დანციგის პარლამენტში პრეზიდენტმა **ზაამა** გააკეთა მოხსენება თავისუფალი ქალაქის დანციგის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

მოხსენების შემდეგ გამართული კამათის დროს ყველა პარტიის წარმომადგენლებმა ერთსულოვნად მოიწონეს ის, რომ დანციგი ლიტვინოვის ოქმს შეუერთდა, ორატორებმა აღნიშნეს, რომ პოლონეთის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო, დანციგი მძიმე სამეურნეო მდგომარეობაში იმყოფება.

**ორატორები მიესალმენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაცხოველებას და მოითხოვეს—დანციგის მთავრობამ მიიღოს ზომები ამ ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის.** (ადს)

## პილსუდსკის რესპუბლიკაში

### პრესა პილსუდსკის სიტყვის შესახებ

**ვარშავა,** 27 ივნისი. პილსუდსკის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა სახელმწიფო ტრიბუნალში ყოფილ ფინანსთა მინისტრის ჩეხოვიჩის პროცესზე, პრესაში გამოქვეყნდა მთლიანად, უცენზურო გამოთქმებით.

ეროვნულ დემოკრატთა ორგანო „გაზეტა ვარშავსკა" ამ სიტყვის შესახებ სწერს, **რომ მთელს პოლონეთში, აგრეთვე უცხოეთში დიდი ხანია იცნობენ ამ სიტყვის ავტორის ასეთ ფილოლოგიურ თავისებურობასო.**

გაზეთი სწერს: თუ შევადარებთ პილსუდსკის პირველ ასეთ გამოსვლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული წლის ივლისში, და გუშინდელ სიტყვას სასამართლოს დარბაზში, დავრწმუნდებით, რომ **ეს თავისებურება საკმაოდ გაძლიერდაო.**

### მილიონი ზლოტი წინასწარი საარჩევნო კამპანიისათვის

**ვარშავა,** 27 ივნისი. ეროვნულ დემოკრატთა გაზეთი „გაზეტა ვარშავსკა" ფიქრობს, რომ პილსუდსკის მიერ ჩეხოვიჩის პროცესზე წარმოთქმულმა სიტყვამ დაადასტურა გავრცელებული ხმები იმის შესახებ, **რომ 1 მილიონი ზლოტი, რომელიც პილსუდსკის განკარგულებაში იყო, წინასწარ საარჩევნო კამპანიაზე დაიხარჯა.** (ადს).

## ურთიერთობის გამწვავება სამხრეთ-სლავიასა და ბულგარეთს შორის

**ვენა,** 27 ივნისი. უკანასკნელ დღეებში საზღვარზე შეტაკებათა გახშირების გამო, **სამხრეთ - სლავიასა და ბულგარეთს შორის ურთიერთობა გამწვავდა.**

სამხრეთ - სლავიის პრესა მთავრობისაგან მოითხოვს დიპლომატიური ზომების მიღებას და აცხადებს, რომ საჭიროა 20 კილომეტრიანი ნეიტრალური სანაპირო ზოლის დაწესება. (ადს)

## გლეხთა მღელვარება რუმინეთში

**ვენა,** 27 ივნისი. რუმინეთიდან მიღებული ცნობით, სემიგრადში ოიტოსის თემში გლეხებს შორის დაიწყო სერიოზული მღელვარება. სოფლის ღარიბმა მოსახლეობამ ხელში **ჩაიგდო გაუყოფელი ტყეები და მინდვრები და განაიარაღა ჟანდარმები.**

**ხუნედოარის ოლქში გლეხებმა მემამულეები გააძევეს მათი მამულებიდან.** (ადს)

## ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

— **სანდინო ჩავიდა მექსიკაში.** მექსიკაში ჩავიდა ნიკარაგუელ აჯანყებულთა ბელადი სანდინო. (ადს).

— **აფეთქება ფაბრიკაში.** როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, პრაღაში „ჰერმეს"-ის რეზინის ფაბრიკაში მომხდარი აფეთქების დროს დაიღუპა 7 მუშა ქალი, დაშავდა 10. (ადს).

— **საეკლესიო შენობებს უბრუნებენ სამღვდელოებას.** მექსიკაში კლერიკალებთან შეთანხმების შემდეგ საეკლესიო შენობები უბრუნდება სამღვდელოებას. (ადს).

## უკანასკნელი ცნობები

### რესპუბლიკის დაცვის კანონი ძალას კარგავს

**ბერლინი,** 28 ივნისი. დღეს რეიხსტაგში კენჭი ეყარა საკითხს იმის შესახებ, გაუგრძელდეს თუ არა ვადა რესპუბლიკის დაცვის კანონს, რომელიც მთავრობას აძლევს საშუალებას მიიღოს სხვადასხვა ხასიათის განსაკუთრებული ზომები. რადგან კანონს განსაკუთრებული ხასიათი აქვს, მისი დამტკიცებისათვის, კონსტიტუციის ძალით, საჭიროა ხმების ორი მესამედის მიღება. ნამდვილად კი კანონის დამტკიცებას სასარგებლოდ ხმა მისცა 263 დეპუტატმა, ხოლო წინააღმდეგ — 166 და თავი შეიკავა ორმა. ამრიგად რესპუბლიკის დაცვის კანონი ამ წლის 22 ივლისიდან ძალას ჰკარგავს. კანონის დამტკიცების წინააღმდეგ ხმა მისცეს კომუნისტებმა, ნაციონალისტებმა, ნაციონალ - სოციალისტებმა და სამეურნეო პარტიამ, კანონის სასარგებლოდ ხმა მისცეს მთავრობის პარტიებმა, მათ შორის სოციალ-დემოკრატებმა. კენჭის ყრის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრ ზევერინგმა განაცხადა, რომ მთავრობა რეიხსტაგს წარუდგენს ახალ კანონს, როგორც კი რეიხსტაგი ახლად შეიკრიბება. ზევერინგის სიტყვით, „სახელმწიფო მანამდიც არ დარჩება დაცვის გარეშე, რადგან მას მოეპოვება კიდევ ვეიმარის კონსტიტუციის მე-48 მუხლი (ეს მუხლი განსაზღვრულ შემთხვევებში მთავრობას განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებს). ზევერინგის სიტყვამ კომუნისტური ფრაქციის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. კომუნისტი დეპუტატები განუწყვეტლივ უშლიდენ ხელს ზევერინგს, რის გამო აუცილებელი გახდა სხდომის შეწყვეტა. ტელმანმა ზევერინგს „უპრინციპო გაიძვერა" უწოდა. რეიხსტაგის თავმჯდომარე ლებემ (სოც.-დემ.) ამისათვის წინადადება მისცა ტელმანს დაეტოვებინა დარბაზი. ტელმანთან ერთად დარბაზიდან გავიდა მთელი კომუნისტური ფრაქცია. სხდომის განახლებისას ლებე დაემუქრა კომუნისტებს საპარლამენტო რეგლამენტის უსასტიკეს ღონისძიებათა გამოყენებით მათ წინააღმდეგ, მთავრობას პარტიათა წინააღმდეგობის მიუხედავად, ოპოზიციამ თავისი გაიყვანა და რეიხსტაგი აიძულა გაეგრძელებინა კამათი ზევერინგის განცხადების გარშემო. კომდეპუტატმა ვილჰელმ პიკმა განაცხადა, რომ ზევერინგი იმუქრება, უხეში ძალადობის საშუალებით ხელახლა განახორციელოს გერმანიის მიმართ იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის ხელისუფლება. ბურჟუაზია სოციალ - დემოკრატიულ ლაქიებს პროლეტარიატის დასამორჩილებლად იყენებს. გერმანიის პროლეტარიატი არა მარტო დასცემს მართველი კლასების ბატონობას, არამედ საბოლოოდ გაანადგურებს სოციალ - დემოკრატიას. (ადს)

### შვიდი მემაღაროეს პროცესი

**ლონდონი,** 28 ივნისი. გონმუშტიმში გაასამართლეს შვიდი მემაღაროე, რომელთაც ბრალდება ის, რომ წარსული წლის თებერვალში მონაწილეობა მიიღეს მაღაროებში მომხდარ მღელვარებაში. ორ ბრალდებულს მიესაჯა 6 თვის პატიმრობა, ხოლო დანარჩენ ხუთს 3 თვის (ადს).

### ბაჟის გადიდება სას.-სამ. პროდუქტებზე

**ბერლინი,** 27 ივნისი. რეიხსტაგმა დაადგინა — გაადიდოს ბაჟი ერბოზე, შაქარზე, ჭვავზე, პურზე და კართოფილზე. სოციალ-დემოკრატებმა ხმა მისცეს ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად და უარჰყვეს კომუნისტების წინადადება უსაჭიროესი საკვები პროდუქტების უბაჟოდ შემოტანის შესახებ გერმანიაში.

კომუნისტმა დეპუტატმა გერნლემ თავის სიტყვაში დაჰგმო ფართო მასებისადმი მტრული პოლიტიკა, რომელსაც კოალიციონური მთავრობა ანხორციელებს. (ადს)

### კომუნისტების წინადადების უარყოფა

**ბერლინი,** 27 ივნისი. **რეიხსტაგმა კვლავ უარჰყო კომუნისტების წინადადება, რომელიც მოითხოვდა მეორე ასიგნობის (ჯავშნოსან „A"-ს ასაგებად) გამორიცხვას ბიუჯეტიდან. რეიხსტაგმა უარჰყო აგრეთვე ნაციონალისტების და კომუნისტების წინადადება შტრეზემანისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.** (ადს)

### ჩეხოვიჩის პროცესი

**ვარშავა,** 28 ივნისი. ტრიბუნალის დღევანდელ სხდომაზე, რომელზედაც ირჩევა ფინანსთა ყოფ. მინისტრის ჩეხოვიჩის საქმე, მხარეთა კამათი გრძელდებოდა. თუმცა ყველასათვის ნათელია, რომ ჩეხოვიჩის მოქმედებამ უცერემონიოთ დაარღვია კონსტიტუციისა და საბიუჯეტო კანონმდებლობა, მაგრამ ბრალდების წარმომადგენელთა სიტყვებში მაინც სრული უსუსურობა მოსჩანს. ბრალმდებლები თვითეულ ფეხის ნაბიჯზე ხაზს უსვამენ, რომ „უმაღლესი წესრიგის ფაქტებს" შეუძლია ერთი ხელის მოქნევით მთელი ბრალდება გააბათილოსო. ბრალმდებელი დეპუტატი ლიბერმანი (პეპეესოველი) ჯერ კიდევ თავის პირველ სიტყვაში აცხადებდა, რომ პილსუდსკი „ყოველგვარ სასამართლოზე უმაღლესიაო". დღეს ლიბერმანმა განაცხადა: „პილსუდსკის პოლშაში თვითმპყრობელ მონარქის მდგომარეობა უჭირავს და ხელშეუხებლობისა და უპასუხისმგებლობის უფლებით სარგებლობსო". ამ მტკიცებათა სიმართლე განსაკუთრებით ნათლად სჩანს ჩეხოვიჩის პროცესიდან, რომელიც მხოლოდ უბრალო კომედიის ხასიათს ღებულობს. განაჩენს ხვალ მოელიან. (ადს).

### უმუშევართა დემონსტრაცია გრძელდება

**ვარშავა,** 28 ივნისი. უმუშევართა დემონსტრაცია ლოძში გრძელდება. გუშინ ქალაქის მუშურ რაიონებში უმუშევარ და არა სრულად მომუშავე ფეიქართა მთელი რიგი დემონსტრაციები მოეწყო. კომუნისტი დეპუტატები: გავრონი, ერუზალსკი და სიპულა სიტყვებით გამოვიდნენ. ცხენოსანმა და ფეხოსანმა პოლიციამ რამოდენიმეხელ გაჰფანტა დემონსტრაცია; მუშურ რაიონებში თავმოყრილ იქნა პოლიციის ისეთი დიდი რაზმები, რომ რაიონები სამხედრო ბანაკების შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. პოლიციის წინააღმდეგობის მიუხედავად დემონსტრანტებმა შესძლეს ქალაქის ცენტრამდე მისვლა. (ადს).

### საგანგებო კანონი

**კოვნო,** 28 ივნისი. გამოქვეყნდა საგანგებო კანონი, რომელიც მიმართულია მთავრობის წინააღმდეგ ორგანიზაციების წინააღმდეგ. ახალი კანონის ძალით, ასეთი ორგანიზაციების მონაწილეებს სიკვდილით დასჯა მოელის. (ადს)

### ჩან კაი-შის მდგომარეობა მძიმეა

**პეიპინი,** 28 ივნისი. როგორც ირკვევა, ჩან სუე-ლიანმა შესცვალა თავისი განზრახვა და არ სურს პეიპინში ჩასვლა. ეტყობა არც ენ სი-შანს სურს პეიპინში ჩასვლა. ამიტომ ფიქრობენ, რომ ჩან კაი-ში თვით გაემგზავრება ტაიანში და შეეცდება დაარწმუნოს ენ-სი-შანი, არ წავიდეს საზღვარგარედ. საერთო აზრით, ჩან-კაი-შის მდგომარეობა მეტად მძიმეა. როგორც გომინის სააგენტო იუწყება, მთავრობა ენ სი-შანს იაპონიაში მიანდობს მნიშვნელოვან საქმეებს. ნანკინის პოლიტიკურმა საბჭომ ფინ იუი-სიანის ყოფილი მომხრეები დანიშნა ხელმძღვანელ პოსტებზე ხენანში. (ადს).

### რევოლიუციონურ ჯარების გამარჯვება

**შანხაი,** 28 ივნისი. როგორც „ნორდ ჩაინა დეილი ნიუსი" იუწყება, ხუბეის პროვინციის სამი დიდი რაიონი ფიჩჟოუ, ჩანიანი და ლუჩჟუანი რევოლიუციონურმა ჯარებმა დაიკავა კომუნისტების ხელმძღვანელობით. (ადს).

### გაფიცვები ჩინეთში

**შანხაი,** 28 ივნისი. გაიფიცა იაპონიის აბრეშუმის სართავი ფაბრიკის 4.000 მუშა.

ჩინეთის აფთიაქების 3.000 მუშა-მოსამსახურემ, მორიგ ხელფასის მიუღებლობის გამო გაფიცვა გამოაცხადა.

ჩინეთის აბრეშუმის სართავ ფაბრიკის მუშა ქალებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, რომლის დროს ნაწილობრივად დაინგრა მანქანები და ფაბრიკის მოწყობილობანი. (ადს).

### ვან ჩენ-ტინს იმედი გაუცრუვდა

**პეიპინი,** 27 ივნისი. როგორც „პეიპინ იში-ბაო" იუწყება, საგარეო საქმეთა მინისტრს ვან ჩენ-ტინს, რომელიც გაეცნო საბჭოთა საკონსულოს (ხარბინში) გაჩხრეკის დროს წაღებული დოკუმენტების ერთ ნაწილს. იმედი გაუცრუვდა, რადგან ამ დოკუმენტებში არაფერი ღირსშესანიშნავი არ აღმოჩნდა. (ადს)

---

# თბილისის X პარტკონფერენცია

### მ ე ო თ ხ ე ს ხ დ ო მ ა

## თბილისის სასურსათო მდგომარეობა

### ამხ. ბუკრეევის მოხსენება

კონფერენციის მეოთხე სხდომა შესდგა ამხ. ლ. სუხიშვილის თავმჯდომარეობით. თბილისის ბაზრის სასურსათო მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ბუკრეევმა.

ამხანაგებო! სიძნელენი, რომელსაც ჩვენ განვიცდით სასურსათო ბაზარზე, უმთავრესად აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა უკან რჩება მრეწველობის განვითარებას და ჩვენი მოთხოვნილებების ზრდას.

დღეს პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების ყურადღება იქითკენ უნდა იყოს მიპყრობილი, რომ დავსძლიოთ სასურსათო ბაზარზე არსებული სიძნელენი.

როგორც იცით, სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ ვითარდება ინდივიდუალურად, რის გამოც ის ვერ გვაძლევს საბაზრო პროდუქციას სათანადო რაოდენობით. ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანაა სახალხო მეურნეობა მოვაწყოთ ისე, რომ მან დააკმაყოფილოს ჩვენი ქალაქის, წარმოებისა და მშრომელ მოსახლეობის მოთხოვნილებები. ეს კი შესაძლებელია ინდივიდუალური მეურნეობის კოლექტიურ მეურნეობებათ გარდაქმნის შემდეგ.

მეფის რუსეთი არამც თუ აკმაყოფილებდა თავის შინაურ მოთხოვნილებებს, არამედ მას პურის დიდი რაოდენობა გაჰქონდა უცხოეთის ბაზარზედაც. სამწუხაროდ ჩვენ ასეთი შესაძლებლობა არა გვაქვს. როგორც იცით საბჭოთა კავშირში შემოღებულია პურის წიგნაკები. ეს იმიტომ, რომ გეგმიანად გავანაწილოთ პური. ამ ღონისძიებებმა ჩვენ მეტად სასარგებლო შედეგები მოგვცა.

25—26 წელში პური დამზადებულ იქნა 680 მილიონი ფუთის რაოდენობით. 27—28 წელში კი, გაცილებით ნაკლები რაოდენობა დამზადდა, მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც არ გადავსულვართ წიგნაკების სისტემაზე. გასულ წელს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში დამზადებულ იქნა 594 მილიონი ფუთი პური.

ამ უკანასკნელ 11 თვის განმავლობაში ჩვენ შევსძელით 470 მილიონი ფუთი პურის დამზადება. ე. ი. 100 მილიონი ფუთით ნაკლები გასულ წელთან შედარებით.

ეს ასი მილიონი ფუთი პური სადღაც გაჰქრა. აქედან პურის დიდი ნაწილი გამოყენებულ იქნა საქონლის საჭმელად. ასეთსავე შემთხვევას ადგილი ჰქონდა თბილისშიაც. შემჩნეული იყო, რომ პურით შინაურ ცხოველებს კვებავდნენ.

შექმნილ მდგომარეობის მიუხედავად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში პურის კრიზისი გადატანილ იქნა უფრო ადვილად, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა სხვა რაიონებში. ჩვენში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ არ გვქონოდა ერთი თვის მარაგი პური. ამჟამად ჩვენ გვაქვს პურის ისეთი მარაგი, რომელიც ივლისის თვეში სავსებით უზრუნველგვყოფს.

ამ თერთმეტი თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შემოტანილ იქნა 17 მილიონი და 800 ათასი ფუთი პური. ივლისის თვეში კიდევ შემოტანილი იქნება 850 ათასი ფუთი.

ჩვენ შემდეგშიაც უნდა გავაგრძელოთ პურის მომჭირნეობა. ეს იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოთ აღმოვფხვრათ პურის ნაკლებობასთან დაკავშირებული სიძნელენი.

ამიერ-კავკასიაში ხორცის საკმაო რაოდენობით დამზადებას ჩვენ ვერ შევსძლებთ. ვერ შევსძლებთ იმიტომ, რომ შინაური სახორცე საქონლის მცირე რაოდენობა გვყავს. ჩვენ ამ დარგში დამოკიდებული ვართ ჩრდილოეთ კავკასიაზე, რომელიც უახლოესი რაიონია, საიდანაც ჩვენ ვღებულობთ შინაურ საქონელს. „მიასოპროდუქტს", რომელიც ამიერ-კავკასიაში აწესრიგებს ხორცის ბაზარს, მთელი რიგი ხელშეკრულებები ჰქონდა დადებული ჩრდ. კავკასიის სათანადო ორგანიზაციებთან.

ა.-კავკ. და კერძოთ თბილისის ბაზრების დაკმაყოფილებლად ჩვენს მიერ მიღებულია ზომები, რომლებიც ხორცის ბაზარს უზრუნველყოფენ 70 პროცენტით.

ჩრდილოეთ-კავკასიიდან ჩვენ უნდა შემოგვეყვანა 680 ათასი სული პირუტყვი. მაგრამ წლის განმავლობაში შემოყვანილ იქნა მხოლოდ 38 ათასი. 75 პროც. ნაცვლად ჩვენ შევსძელით ბაზრის მხოლოდ 56,6 პროცენტით დაკმაყოფილება. ხორცის ნაკლებობა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო თებერვლის თვიდან ივნისის 10—15-დე. ამჟამად, როგორც ხედავთ, მდგომარეობა შეიცვალა. ბაზარზე უკვე არის ხორცის საკმაო რაოდენობა.

გარდა ამისა, ჩვენში შესამჩნევია სხვა პროდუქტების ნაკლებობაც. ამიერ-კავკასია იკვებება შემოტანილი პროდუქტებით. ჩვენ მთელი რიგი ხელშეკრულებები გვქონდა დადებული ჩრდილოეთ-კავკასიასთან კარტოფილის მოწოდების შესახებ. სამწუხაროდ ჩრდილო-კავკასიის ორგანიზაციებმა ვერ შეასრულეს დადებული ხელშეკრულებები, რამაც გამოიწვია კარტოფილის ნაკლებობა, ამჟამად ისინი გვაძლევენ კარტოფილს, მაგრამ ჩვენ აღარ გვჭირდება იგი.

ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს მთელ რიგ ღონისძიებების ჩატარების შემდეგ ბაზარი უზრუნველვჰყოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. შემოდგომიდან ვფიქრობთ ბაზრის დიდ ნაწილს დავაკმაყოფილებთ მწვანილეულობით. ქალაქის ფარგლებში ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს მოვაწყოთ ბოსტნეულის მოყვანის საქმე.. მომავალ წლიდან ბაზრის მოთხოვნილება ამ მხრივ დაკმაყოფილებული იქნება 65 პროცენტით.

თბილისის მასშტაბით ჩვენ გვაქვს ორი საბჭოთა მეურნეობა. ერთი ეკუთვნის პოლიტსამმართველოს და მეორე ვაჭრობის კომისარიატს. პირველი მამულის სივრცე 30 ჰექტარია, მეორესი კი—220. ამ მამულებში ჩვენ ვფიქრობთ საზამთრო მწვანილეულობის მოყვანას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში თბილისის ქალაქის აღმასკომი ნაკლებად გვეხმარება. ნაკლებ მონაწილეობას ღებულობს ამ საქმეში საქართველოს მიწსახკომიც.

ახალციხის მაზრაში კარგად ხეირობს კარტოფილი. აქ კარტოფილი კარგი ხარისხის იცის და დიდი რაოდენობაც მოჰყავთ. მიღებულია ზომები, ამ რაიონიდან თბილისისთვის კარტოფილის მოსაწოდებლად.

გარდა ამისა ჩვენ ვსვამთ საკითხს რძის პროდუქტებით უზრუნველყოფის შესახებ. ეს წარმოება უნდა მოვაწყოთ ქალაქის ახლო მდებარე რაიონებში.

ჩვენ უნდა მივსცეთ ბაზარს თევზის საკმაო რაოდენობა. კასპიის ზღვაზე აუარებელ თევზს იჭერენ. დღეს თევზი ხშირად გააქვთ ამიერ-კავკ. ფარგლებიდან. მაშინ, როდესაც ჩვენი ბაზარი ამ პროდუქტის ერთგვარ ნაკლებობასაც განიცდის. მომავალში დადებულ უნდა იქნეს ხელშეკრულება სათანადო ორგანოებთან თევზეულობის მიწოდების შესახებ.

თუ აქედანვე მივიღებთ ენერგიულ ზომებს ჩვენი ბაზარი სავსებით უზრუნველყოფილი იქნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

## კ ა მ ა თ ი

### ამხ. კიკვაძე

პურის წიგნაკების შემოღებამ უსათუოდ კარგი შედეგი მოგვცა. კარგი იქნება თუ კი ეს სისტემა დარჩება დიდ ხანს. ჩვენს ბაზარზე ხორცის ერთგვარი ნაკლებობა გვაქვს. ამას აქედანვე უნდა მიექცეს ყურადღება. კოოპერატივებს შორის პური და ხორცი არ არის სწორად განაწილებული, რაც მოსახლეობაში კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს.

### ამხ. ხარატაშვილი

ხშირად კოოპერატივებს ნაკლები ხარისხის ხორცი აქვთ, ვიდრე ვაჭრებს. ეს უმთავრესად აიხსნება იმ გარემოებით, რომ ხორცის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე ამ დარგში ჩვენ ალბათ არ გვყავს გამოცდილი მუშაკები.

ამ საკითხებს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

### ამხ. ფეიქრიშვილი

კარტოფილის ნათესების გაფართოებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან კარტოფილი ერთ-ერთი უსაჭიროესი პროდუქტია. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მებოსტნეობას.

### ამხ. მეცხო

ჩვენი კოოპერაცია ვერ აკმაყოფილებს მუშათა მასების მოთხოვნილებებს. ამის დამტკიცება მრავალი ფაქტებით შეიძლება. ავიღოთ თუ გინდ ხორცი. ხორცი კოოპერატიულ სავაჭროებში დახარისხებულია სამ ნაწილად. პირველი ხარისხის ხორცი მიაქვთ ნეპმანებს და სხვებს, რადგან ის შედარებით ძვირია. მესამე კი მიაქვთ მუშებს. ეს სისტემა უსათუოდ უნდა შეიცვალოს.

### ამხ. ჟღენტი

ხორცის ბაზრის მოსაწესრიგებლად საჭირო იქნება მესაქონლეთა კოლექტივების ჩამოყალიბება, რომლებიც სისტემატიურად მიაწოდებენ ბაზარს ხორცს. შეიძლება ამ კოლექტივმა პირველ ხანებში კარგი შედეგი ვერ მოგვცეს, მაგრამ საბოლოოდ, მე ვფიქრობ, ის კარგ ნაყოფს გამოიღებს. წილკანის რაიონში ჩამოყალიბებულია მერძევეთა არტელი. მას იმდენი თანხა არ აქვს, რომ შესძლოს მუშაობის გაფართოება. მერძევეთა არტელების მოწყობას და გაძლიერებას ფართოდ უნდა შეუწყოთ ხელი.

### ამხ. როსნაძე

პირველ ხანებში პურის წიგნაკების შემოღების დროს ერთგვარ შიშს ჰქონდა ადგილი ზოგიერთ პარტიულ ამხანაგებშიაც კი. ეხლა ყველამ დაინახა ამ სისტემის უპირატესობანი. კარგი იქნება თუ მომავალშიაც პურის წიგნაკები დარჩა ხმარებაში. მუშკოოპს ხელშეკრულება აქვს დადებული პურის მცხობელებთან, რომლის მიხედვით ვინც ორ ტომარა ფქვილს გამოაცხობს, მას 7-ღი მანეთი უნდა დარჩეს. პურის მცხობელები ამგვარ გარიგებებზე საკმაოდ ითბობენ ხელს. საჭიროა პურის მცხობელებზე კონტროლის გაძლიერება.

ჰალის თემში არსებობს მერძევეთა არტელი, რომელიც თბილისს ყოველდღიურად აძლევს 300 ფუთ რძეს. რძის გადმოსაზიდათ არ არის საკმარისი ჭურჭლები. ჰქონდა ადგილი ასეთ შემთხვევას: გლეხებმა რძე მოიტანეს და რადგან ჭურჭელი არ იყო უკანვე წაიღეს. არტელები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ ჭურჭლებით.

### ამხ. მარქმანი

ბაზრის საჭირო სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი შრომის დისციპლინაზე. ჩვენ კი ვიცით, რომ შრომის დისციპლინის განმტკიცებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლევა თანამედროვე პერიოდში. ამიტომ ბაზრის მოწესრიგების საკითხს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ. უნდა ითქვას, რომ სასურსათო ბაზრის მოუწესრიგებაში დამნაშავეა ჩვენი კოოპერატიული ორგანიზაციები. პარტიულ ორგანიზაციებმა რამდენჯერმე წინადადება მისცა მუშკოოპს, რომ მას ფართედ გაეშალა კოოპერატიული სავაჭროების ქსელი, განსაკუთრებით მუშათა რაიონებში, მაგრამ ამაოდ.

დილის სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ამხ. გოგიბერიძემ, ოთაროვმა და ზრულავამ.

## კონფერენციის დღიური

— გუშინ საღამოს სხდომაზე დასრულდა კამათი ამხ. ბუკრეევის მოხსენების გარშემო, რის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა.

— დღეს, დილის 8 საათზე, ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში შესდგება კომისიის სხდომა რეზოლიუციის შესამუშავებლად ამხ. კანდელაკის მოხსენების გარშემო.

სრულ ათ საათზე თბილისის მუშათა თეატრის შენობაში მოწვეულია ცალკე რაიონების დელეგაციათა თათბირები.

—კონფერენციის უკანასკნელი სხდომა შესდგება დღის 11 საათზე.

## წყალთა მეურნეობის სამუშაოები აზერბეიჯანში

**მოსკოვი,** 28 ივნისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ იანვარში დაადგინა — მიეცეს აზერბეიჯანს გეგმის ზევით 1.700.000 მ. წყალსაქაჩავის და 500 ჩარხის მოსაწყობად. ამ დადგენილების მიღების დროს შრომისა და თავდაცვის საბჭომ აღნიშნა, რომ ეს მშენებლობა არ უნდა დაიწყოს იმ დრომდე, სანამ ამიერ-კავკასიის წყალთა სამმართველო არ დაამტკიცებს საჭირო გეგმებს. მაშინვე მიეცა ამიერ-კავკასიის მთავრობას 200.000 მანეთი ავანსის სახით. ამიერ-კავკასიის მთავრობამ არ შეასრულა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივა და გეგმების შედგენამდე დაიწყო მუშაობა; მეტიც: მან მოსთხოვა შრომისა და თავდაცვის საბჭოს ამ მშენებლობისათვის იანვარში გადადებული თანხების გადაცემა. შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიუთითა ამიერ-კავკასიის მთავრობას გეგმის შეუსრულებლობაზე, ამასთან, მიიღო რა მხედველობაში, რომ წყლის საქაჩავებისა და ჩარხების მშენებლობა აზერბეიჯანის რესპუბლიკას 1928—29 წლის დამლევისთვის სარწყავ მოედანს გაუდიდებს 10.500 ჰექტარზე არა ნაკლებით, გადასცა ამიერ-კავკასიის მთავრობას 500.000 მანეთი.

საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიას დაევალა — სასწრაფოდ წარადგინოს დასკვნა წყალსაქაჩავებისა და ჩარხების მშენებლობის შესახებ, რის შემდეგაც მშენებლობისათვის საჭირო მთელი თანხის გაცემის საკითხი უნდა დაისვას შრომისა და თავდაცვის საბჭოში.

## კაზანცევის მუხრუჭების გამოცდა

### ამიერ - კავკასიაში გამოემგზავრა სპეციალისტთა კომისია

**მოსკოვი,** 27 ივნისი. 27 ივნისს ამიერ-კავკასიაში გამოემგზავრა გზათა სახ. კომისარიატის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელმაც ჯაჯურის გზაზე უნდა გამოსცადოს კაზანცევის მუხრუჭი სერია „ქ". ცდები მოხდება 100 ვაგონიანი შემადგენლობის მატარებელზე, 60 ვერსის მანძილზე. ყველა დაკვირვება იწარმოებს ახალი თვითჩამწერი ხელსაწყოებით, რომლებითაც მოწყობილია გზათა სახკომისარიატის სამუხრუჭო დინამომეტრიული ვაგონი. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულტურული მშენებლობის 5 წლიანი გეგმა

## ამხ. დ. კანდელაკის მოხსენება თბილისის მე-10 პარტკონფერენციაზე

### გეგმის კლასობრივი სახე

დღეს თბილისის კონფერენცია განიხილავს კულტურული მშენებლობის ხუთწლიან გეგმას. ეს გეგმა უშუალოდ და მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმასთან. სავსებით აშკარაა, რომ კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა ვერ განხორციელდება, თუ ის ორგანიულად არ იქნა ჩართული სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმაში.

პარტიის მე-15 ყრილობის დადგენილებაში ხუთწლიანი გეგმის შედგენის შესახებ ნათქვამია:

„ხუთწლიანმა გეგმამ, სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან დაკავშირებით, უნდა გაითვალისწინოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლების საჭიროება, საბჭოთა კავშირის ერების ეროვნულ კულტურათა განვითარება და კულტურული მშენებლობის გეგმა დაუკავშიროს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, როგორც საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის საერთო გეგმის განუკვეთელი ნაწილი. კულტურული მშენებლობის გეგმას საფუძვლად უნდა დაედოს სახალხო განათლების ის ამოცანები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მშრომელთა ფართო მასების კულტურულ ზრდას (საყოველთაო განათლება, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მასიური პროფტეხნიკური განათლება და სხვა), და კვალიფიციური სპეციალისტებისა და სამეცნიერო მუშაკების მზადების ამოცანები“. (მე-15 პარტყრილობის რეზოლიუცია).

მე-15 ყრილობის ამ დადგენილებაში სავსებით გარკვევით და მკაფიოდ არის ნათქვამი, თუ რა ადგილი უნდა დაიჭიროს კულტურულმა მშენებლობამ სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმაში.

უნდა ითქვას, რომ **კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის გამოცდილება ჩვენ აქამდის არ გვქონია.**

ამიტომ გასაგებია, რომ კულტურული მშენებლობის ხუთწლიან გეგმას საქართველოში, ისევე, როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, აქვს მთელი რიგი არსებითი დეფექტები, რომლებიც გამოსწორებულ უნდა იქნან. ხუთწლიანი გეგმა, რომელსაც დღეს აქ განვიხილავთ, არ არის საბოლოოდ დამუშავებული იმ მხრივ, რომ საჭირო არ გახდეს ამა თუ იმ შესწორების, დამატებისა და ცვლილების შეტანა მასში.

სანამ შეუდგებოდეთ ხუთწლიანი გეგმის განხილვას, უნდა შევეხოთ ზოგ საკითხებს, რომელნიც განსაზღვრავენ ჩვენი ხუთწლიანი გეგმის კლასობრივ ხასიათს, კლასობრივ ფიზიონომიას.

ჩვენს გეგმაში სავსებით ნათლად უნდა აისახოს კულტურული მშენებლობის მრავალი საკითხი. როგორია ეს საკითხები? ჯერ ერთი, ჩვენ უნდა შევამოწმოთ, თუ რამდენად სწორია კულტურული ხუთწლიანი გეგმა, რომელმაც უნდა მოამზადოს კვალიფიციური მუშა ხელის უდიდესი კადრები ჩვენი ინდუსტრიისათვის, ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის, იმ უმნიშვნელოვანესი ისტორიული ამოცანებისათვის, რომლებიც პარტიამ დაისახა სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენის. უნდა შევამოწმოთ, რამდენად სწორია ჩვენი კლასობრივი ხაზი კულტურული მშენებლობის სფეროში, ადგილი ხომ არა აქვს აქ დამახინჯებას ან გამრუდებას. თუ ამ თვალსაზრისით შევამოწმებთ იმას, რაც დღეს გვაქვს—ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. უნდა შემოწმებულ იქნას ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმასაც ჩვენ ვაპირებთ არსებული დეფექტების გამოსასწორებლად.

ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევის გაძლიერების გამო, კლასობრივი ბრძოლა ჩვენში გამწვავდა აგრეთვე იდეოლოგიურ ფრონტზე, კულტურული მშენებლობის ფრონტზე. წინად წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიონის, ჩვენთვის უცხო იდეოლოგიის ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ საკმაოდ გარკვეულ ხასიათს არ ატარებდა. ამჟამად კი, ჩვენს შეტევასთან დაკავშირებით, როგორც ლიტერატურაში, ისე სკოლაში თავი იჩინა ჩვენთვის უცხო და მტრულმა განწყობილებამ.

ჩვენი ახალგაზრდობისა და სკოლის დაპყრობისათვის წარმოებული ეს ბრძოლა ამჟამად მკვეთრ და სავსებით გარკვეულ ფორმებს ღებულობს. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ეს ბრძოლა ღებულობს არა უცხო იდეოლოგიის ჩვენდამი აშკარა დაპირდაპირების ფორმას, არამედ ისეთი თეორიის ფორმას, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნია მშვიდობიანი თანამშრომლობა მარქსისტული და იდეალისტური იდეოლოგიებისა. ჩვენ ვხვდებით არა თუ მსჯელობებს, არამედ დასკვნებს ჩვენს სკოლებში, სადაც პედაგოგთა ჯგუფები, მთელი კატეგორიები აყენებენ იმ იდეას, იმ აზრს, რომ შესაძლებელი და დასაშვებია საზოგადოებათმეცნიერების მარქსისტულად გაშუქება,—ეს თქვენი საგანია და აქ შეგიძლიათ იბატონოთ, მაგრამ დანარჩენი დისციპლინები—ლიტერატურა, ისტორია და სხვ., რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, განსაზღვრავენ ბავშვის მსოფლმხედველობას, ჰქმნიან მისგან შეგნებულ მოქალაქეს,—შეიძლება გაშუქდეს ანტიმარქსისტულად.

არსებობს პედაგოგების მეორე უდიდესი კატეგორია, რომელსაც მარქსიზმის მიმართ, ჩვენი კლასობრივი მიდგომის მიმართ ლოიალური პოზიცია უჭირავს. ეს ჯგუფი უკვე აყენებს იდეოლოგიის საკითხებში მშვიდობიანი თანამშრომლობის თეორიას. ჩემის აზრით, ჩვენში ეს ჯგუფი განსაკუთრებით მავნებელია, ვინაიდან ამ კატეგორიის ხალხი არა მარტო ახერხებს შეჭრას, არამედ უკვე ორგანიზაციულად არის გამაგრებული ჩვენს კულტურულ დაწესებულებებში. ეს ჯგუფი ცდილობს და, ჩვენდა საუბედუროდ, ახერხებს კიდეც იმას, რომ ჩვენი პარტიული ამხანაგების ერთი ნაწილი ექცევა მისი გავლენის ქვეშ.

ამ შემთხვევაში, როგორც განათლების საქმესთან ახლოს მდგომმა, უნდა მოვახსენო პარტორგანიზაციას, რომ ამხანაგების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ითვისებს ამ განწყობილებას და მთლად გარკვეულად და გასაგებად არა, მაგრამ მაინც გვთავაზობს იდეოლოგიის საკითხებში ამ მშვიდობიან თანამშრომლობის თეორიას.

ჩვენი სახალხო-სამეურნეო ხუთწლიანი გეგმის იმ უდიდესი ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგშია წამოყენებული, ჩვენ უნდა გვყავდეს მუშაკთა შესაფერი არმია; ეს არმია უნდა გამოვიდეს ჩვენი კულტურული დაწესებულებებიდან. ამის გამო, **საკითხს განათლების მუშაკთა ამ კადრების შესახებ, რომლებიც ჩვენთვის საჭირო მუშაკებს მოამზადებენ, მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა.**

ჩვენი ხუთწლიანი გეგმა, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გეგმასთან დაკავშირებით, იმ უდიდეს ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც წამოყენებულია ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმით, წინა რიგში აყენებს მთელი ხალხის კულტურული დონის ამაღლების აუცილებლობას, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციალისტური მშენებლობის დიდი ამოცანების განხორციელება.

### აღმოვფხვრათ წერა-კითხვის უცოდინარობა

ჩვენში ჩვეულებრივ მიღებულია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენ ძლიერნი ვართ ინტელიგენციით. მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქართველოში **880 ათასამდე წერა-კითხვის უცოდინარი ყოფილა.** უმთავრესი მაინც აქ ის არის, რომ **ჩვენში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი მატულობს.**

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა არ შეიძლება მარტო საუწყებო და ტეხნიკური საშუალებით. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანა ისეთი ამოცანაა, რომელმაც უნდა მიიქციოს მთელი პარტიისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება. ყოვლად შეუძლებელია კოლექტივიზაციის განხორციელება, თუ გვეყოლება გლეხობის ისეთი უდიდესი არმია, რომელიც ვერ შეძლებს გაერკვეს აგრონომიისა და ჩვენი პოლიტიკის ძირითად საკითხებში.

ამ მხრივ სავსებით სამართლიანი იყო ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის შესწორება, რომელიც მან შეიტანა კულტურული მშენებლობის ხუთწლიან გეგმაში, სახელდობრ, ის, რომ **წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია უნდა დამთავრდეს სამი წლის განმავლობაში.** ეს უეჭველად სწორია და არა თუ არ წარმოადგენს გადაჭარბებულ გაბედულობას, არამედ სავსებით განსახორციელებელია. მხოლოდ, რა თქმა უნდა, საჭიროა, რომ ყველამ შეიგნოს ამ ამოცანის დიდი მნიშვნელობა. რა იძლევა იმის საბუთს, რომ ამის განხორციელება შესაძლებელია. ჩვენ მოგვეპოვება ციფრები, რომლებიც ამას გვეუბნებიან. ჩვენ გვყავს საქართველოში წერა-კითხვის 880 ათასი უცოდინარი. მართალია, 1926 წლის სტატისტიკა წერა-კითხვის 826 ათას უცოდინარს გვიჩვენებს, მაგრამ მწარე გამოცდილებით ვიცით, რომ უკეთესია უფრო რეალური რიცხვი ავიღოთ, ესე იგი ცოტათი მეტი. ყველაზე რეალურია 880 ათასი. როგორ ვფიქრობთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩატარებას? მარტო სახელმწიფო ღონისძიებათა საშუალებით? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ამ საქმეში უნდა ჩავაბათ მთელი რიგი თავისუფალი ორგანიზაციებისა, როდესაც გადავსინჯეთ ის რეზერვები, რომლებიც ჩვენ გვყავან და რომელთა გამოყენებაც შეიძლება ამ საქმეში, აღმოჩნდა, რომ არსებობს ასეთ მუშაკთა ძალიან დიდი რაოდენობა.

ვინ იქნება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ფრონტზე პირველი? რა თქმა უნდა კომკავშირი, რომელიც 5.000 კაცს იძლევა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ეხლავე დასაწყებად. ყოველ კომკავშირელზე 3 უცოდინარი. ამ გზით შევძლებთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას 15.000 კაცს შორის. ჩვენ გვყავს შემდეგ მასწავლებლობის უდიდესი არმია, გვყავან ექიმები და აგრონომები, აგრეთვე სტუდენტობის უდიდესი არმია, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ამ საქმეში. შემდეგ—შრომის სკოლებისა და ტეხნიკუმების უფროსი ჯგუფების მოწაფეები, მასწავლებლობა, სოფლის ინტელიგენცია გამოდის, რომ ამ გზით ჩვენ ყოველწლიურად შეგვიძლია მოვსპოთ 40—50.000 კაცის და მეტის უცოდინარობა.

სახელმწიფო ღონისძიებებით და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით სამი წლის ვადაში შევძლებთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. საჭიროა მხოლოდ მტკიცედ შევიგნოთ, რომ ეს მეტად სერიოზული ამოცანაა, რომლისგანაც დამოკიდებულია მთელი კულტურული მშენებლობა, მთელი სახალხო მეურნეობის მშენებლობა. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ჩვენმა პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა, ჩვენმა კომკავშირმა, ჩვენმა სტუდენტობამ აქვე მიიღონ თავიანთ თავზე შესაფერი ვალდებულებანი. მაშინ შევძლებთ მთლიანად განვახორციელოთ დასახული ამოცანა.

ჩვენ საჭიროდ ვთვლით შეიქმნას სპეციალური ორგანო, რომელიც თავს მოუყრის ყველა საზოგადო საშუალებას, ყველა საზოგადო ღონისძიებას და გამოიყენებს მათ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. ასეთი ორგანო შეიძლება იყოს სპეციალური კომიტეტი სახკომსაბჭოსთან, კომიტეტი, რომელიც განუწყვეტლივ ადევნებს თვალს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

ამასთან არის დაკავშირებული ასაკგადასულთა სკოლის საკითხი. ამჟამად ამ მხრივ მდგომარეობა ძალიან ცუდია. თუ ჩვენი პარტია, საბჭოთა საზოგადოებრიობა ყურადღებას არ მიაქცევენ ასაკგადასულთა სკოლების შექმნის საკითხს ჩვენ ყოველთვის გვეყოლებიან წერა-კითხვის უცოდინართა ახალი კადრები. სკოლის გარედ დარჩენილი ბავშვები 11-დან 15 წლამდე წარმოადგენენ იმ ელემენტს, რომლებიც ყოველწლიურად მოამზადებენ წერა-კითხვის უცოდინართა არმიას. ამიტომ მტკიცედ უნდა შეუდგეთ ასაკგადასულთა სკოლის შექმნას.

ასეთი სკოლების რიცხვი ამჟამად უმნიშვნელოა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ სკოლების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ასაკგადასულთა სკოლები დიდი რაოდენობით მოვაწყოთ ხუთი წლის განმავლობაში. **ხუთი წლის დამლევს ჩვენ უნდა გვქონდეს 450 ასეთი სკოლა, სადაც ისწავლის მთელი ბავშვთა მოსახლეობის 45 პროცენტი.** ეს უეჭველად გაგვანთავისუფლებს წერა-კითხვის ახალი და ახალი კადრების წარმოშობისაგან.

როცა ვამბობთ, რომ ამ სკოლებში უნდა ისწავლოს მთელი ბავშვთა მოსახლეობის 45 პროცენტმა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ ახალი სამსწავლო წლიდან ჩვენ შეუდგებით საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებას. ამის გამო სასკოლო ქსელი საგრძნობლად გაფართოვდება. ამგვარად, წერა-კითხვის უცოდინარ ბავშვთა ახალი კატეგორიების წარმოშობის შესაძლებლობა შემცირდება.

### მასების კულტურული დონის აწევისათვის

ამ ღონისძიებებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოსახლეობის საერთო კულტურული განვითარების ღონისძიებებს. აქ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმ დაწესებულებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ამ მუშაობას. ასეთი დაწესებულებანი არიან, ერთის მხრით, სოფლის სამკითხველოები. საქმე შეეხება არა მარტო სოფლის სამკითხველოების რაოდენობას (სამკითხველო ძალიან ცოტა გვაქვს), არამედ ხარისხსაც. არ შეგვიძლია სოფლის სამკითხველო დავტოვოთ იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იგი ეხლა იმყოფება, რადგან სოფლის სამკითხველოები და ბიბლიოთეკები წარმოადგენენ კულტურის ძირითად კერას სოფელში. უნდა გავაუმჯობესოთ სოფლის სამკითხველოების მუშაობის ხარისხი და ამავე დროს გავადიდოთ მათი რიცხვი.

როგორ იზრდება ჩვენში სოფლის სამკითხველოების რიცხვი? 5 წლის დამლევს სამკითხველოების რაოდენობა გაიზრდება 154 პროცენტით.

გარდა ამისა, ძალიან დიდი ზრდა მოხდება რადიოს და კინოს ხაზით: კინოს ხაზით ზრდა შეადგენს 244 პროცენტს, რადიოს ხაზით—437 პროცენტს.

შემდეგ, დასახულია საღამოს საბჭოთა-პარტიული სკოლების და დაუსწრებელი საბჭოთა-პარტსკოლების ზრდა. ისინი მეტად დიდ როლს თამაშობენ პარტიული განათლების საქმეში. საბჭოთა-პარტიული სკოლების რაოდენობა გაიზრდება 480 პროცენტით. ძალიან გაიზრდება აგრეთვე მუშათა უნივერსიტეტების რიცხვი—200 პროცენტით. პოლიტცოდნის სკოლების რიცხვი მოიმატებს 160 პროცენტით. ამგვარად, პოლიტგანათლების ღონისძიებათა განხორციელების საქმეში ძალიან დიდი ზრდა არის დასახული.

ხუთწლიან გეგმაში დასახული ღონისძიებათა განხორციელება მოითხოვს ფინანსების ძალზე დატვირთვას, იგი მოითხოვს აგრეთვე მუშაკთა დიდ რაოდენობას. მაგრამ ჩვენი ხუთწლიანი გეგმა არ არის, როგორც ზოგიერთები გაიძახიან სასოწარკვეთილად, იმის აღნუსხვა, რაც ჩვენ გვსურს. იგი არის იმის აღნუსხვა, რაც უნდა გავაკეთოთ იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც დგანან სოციალისტური მშენებლობის დარგში. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ ციფრებს ვერ მოვეპყრობით პესიმისტურად. ჩემის აზრით, ეს ციფრები სისწორით არის ნავარაუდევი და ისინი უნდა განვახორციელოთ, რაც უნდა დაგვიჯდეს.

რაც შეეხება იმ საკითხს, რომელიც აგრეთვე დაკავშირებულია მოსახლეობის კულტურული დონის საერთო ამაღლებასთან—საყოველთაო სწავლების საკითხს, როგორც ხედავთ, ეს საკითხი პარტიული კონფერენციის დადგენილებაში მოქცეულია იმ საკითხების რიცხვში, რომლებიც, პარტიის აზრით, მთავარია. ეს მართლაც ასეა. მაგრამ უნდა განვაცხადოთ, რომ კულტურული განვითარების ხუთწლიან გეგმაში არ არის გათვალისწინებული საყოველთაო სწავლების განხორციელება საქართველოს ფარგლებში ხუთი წლის განმავლობაში. ეს განხორციელება გადადებულია მეორე ხუთი წლისათვის, რადგან სრული საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებისათვის საჭიროა თანხების და მუშაკთა დიდი რაოდენობა. ასე რომ პარტიას ეხლა არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია იკისროს ეს ვალდებულება და არ შეუძლია მისი განხორციელება კულტურული მშენებლობის იმ ტემპების დროს, რომლებიც დასახულია ეხლა და იმ მაჩვენებლების დროს, რომლებიც ეხლა გვაქვს სახალხო მეურნეობის საერთო გეგმაში. ამიტომ ჩვენ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას დირექტივის განსახორციელებლად ცალკე გამოვყავით ეროვნული უმცირესობებით დასახლებული ეროვნული მაზრების საკითხი. ამის მიხედვით, **საყოველთაო სწავლების ზრდის ტემპი ხუთი წლის დამლევს მაზრებში შეადგენს 21 პროცენტს, ეროვნულ უმცირესობათა მაზრებში კი ზრდის ტემპი უნდა უდრიდეს 40 პროცენტს.** აქ ზრდის ტემპი 100 პროცენტით მეტია, ვიდრე მაზრებში. ცკას დირექტივის სისწორით შესრულებისთვის დღეს საჭირო რომ გვქონდეს, არ შეგვიძლია 100 პროცენტზე მეტი ავიღოთ, რადგან მუშაკთა ის კადრი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში შეიძლება მოვამზადოთ, ვერ გასწვდება სკოლების მეტ რაოდენობას. მე ვლაპარაკობ განათლების მუშაკთა კადრებზე, რომლებიც უნდა შევქმნათ ჩვენი სომხური, და თურქული სკოლებისათვის. აგრეთვე ხუთი წლის დამლევს ახალციხის მაზრის სკოლებში იქნება ამ მაზრის მთელი ბავშვთა მოსახლეობის 72,4 პროცენტი, ბორჩალოს მაზრის სკოლებში—78,9 პროცენტი; საშუალოდ ამ მაზრებში—74,5 პროცენტი, ასეთი მდგომარეობა იქნება ეროვნულ უმცირესობათა მაზრებში პირველ ხუთ წელს.

ჩვენ მოვახერხებთ საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებას 8 მაზრაში—ოზურგეთის, სენაკის, რაჭის, ლეჩხუმის, ზემო-სვანეთის და სხვ. მაზრებში. ამას უნდა მივუმატოთ თბილისი და მისი მაზრა. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ თბილისის და მისი მაზრის შეტანა იმ 8 მაზრის რიცხვში, რომელთაც პირველი ხუთი წლის განმავლობაში უნდა განახორციელონ საყოველთაო სავალდებულო სწავლება.

### ნამდვილი სოციალისტური სკოლის შექმნის გზით

ეხლა გადავიდეთ სკოლების სოციალურ შემადგენლობაზე. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამორკვევას, თუ რა მდგომარეობაშია ეს საქმე. მდგომარეობა კი ასეთია: თუ პარტიამ არ მიიღო რაიმე გენერალური გადაწყვეტილებანი, თუ ნამდვილად ვერ განვახორციელეთ ის, რაც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით, მაშინ განათლებისა და აღზრდის საკითხები, ჩვენს სკოლებში ღარიბ გლეხთა და მუშათა ბავშვების მიზიდვის პრობლემა, ახალი კადრების მომზადების საკითხი და სხვ.,—ყველაფერი ეს ჩაიშლება. გაგაცნობთ ერთ ციფრს, რომელიც პირდაპირ კატასტროფიულია. ეს ციფრი გვიხატავს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას. ვნახოთ როგორია ჩვენი ოთხწლედების გაცხრილვა. აქ ვხედავთ შემდეგ სურათს: მეორე ჯგუფში გაიცხრილა 74 პროცენტი, მესამეში—51 პროც., მეოთხეში—31 პროც. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ეს არ არის კულაკების გაცხრილვა. თუმცა არა გვაქვს გარკვეული დიფერენციაცია ამ ციფრების გამო, მაგრამ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს გაცხრილვა სავსებით შეეხება ღარიბ და საშუალო გლეხების ბავშვებს. სწორედ ეს ელემენტები სტოვებენ ჩვენს სკოლებს.

ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმასთან, თუ რამდენად შევძლებთ ღარიბთა ფონდების უზრუნველყოფას ჩვენს სკოლებში. ჩვენ განზრახული გვაქვს ხუთი წლის განმავლობაში **ღარიბთა ფონდისათვის გადავდოთ რამდენიმე მილიონი მანეთი.**

ეს სახსრები მოხმარდება ღარიბ გლეხთა ბავშვების უზრუნველყოფას ტანისამოსით და სასწავლო ნივთებით.

თუ სავსებით განვახორციელებთ დასახულ ღონისძიებებს, მივიღებთ შემდეგ სურათს, ხუთი წლის დასასრულს ჩვენს სკოლებში იქნება 99,6 პროც. მშრომელი მოსახლეობა, ამ 99,6 პროცენტში შედის: ღარიბი და საშუალო გლეხი—71 პროც., მუშა—18 პროც., მოსამსახურე—მხოლოდ 10 პროცენტი, ეს რასაკვირველია, დიდი მიღწევაა იმ ციფრთან შედარებით, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს. როცა გვექნება ღარიბთა ფონდი, შევძლებთ თვალყური ვადევნოთ, თუ რამდენად ემსახურება პირველი საფეხურის სკოლა ღარიბთა მოთხოვნილებებს და ინტერესებს. სამწუხაროდ, პირველი საფეხურის შრომის სკოლები არ არის შესწავლილი ამ მხრივ. არ ვიცით, რა მდგომარეობაშია იქ გაცხრილვა. მაგრამ მეორე საფეხურის სკოლებში ღარიბთა გაცხრილვა მეტად მაღალ პროცენტს იძლევა. მეორე საფეხურის სკოლების და ტეხნიკუმების სოციალური შემადგენლობის ციფრები გვიჩვენებენ, რომ სოციალური შერჩევის საქმე არ არის მოგვარებული, მაგრამ ახალი კადრების შექმნას უზრუნველჰყოფენ არა მარტო ღარიბთა ფონდის შექმნა, არამედ მთელი რიგი სხვა ელემენტები—პედაგოგები, სასწავლო წიგნები და სხვ.

პირველი საფეხურის სკოლაში, სადაც იქმნება ბავშვის მსოფლმხედველობა, ხშირად ზის თავისი მსოფლმხედველობით ჩვენთვის უცხო ადამიანი, ან ჩვენ მიმართ ლოიალურად განწყობილი ადამიანი, ან კიდევ ისეთი, რომელსაც აქვს სურვილი, მაგრამ არ შესწევს უნარი გადაიხარშოს ჩვენს ქვაბში.

მოვიყვან ორიოდე ციფრს. ხუთწლედებში გამოკვლეულ იქნა 1.237 ბავშვი მათი რელიგიური განწყობილების მხრივ. გამოკვლევის შემდეგ მესამე ჯგუფში მორწმუნე ბავშვი აღმოჩნდა 5 პროცენტი, მეოთხე ჯგუფში კი—7 პროცენტი. აქ ვხედავთ რაღაც თავისებურ პროცესს.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? დასკვნა აშკარაა—საჭიროა დაისვას პედაგოგების საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. მე ვფიქრობ, თუ ამ მხრივ პარტია და ხელისუფლება ენერგიულად მოჰკიდებენ საქმეს ხელს, სასურველ შედეგებსაც მივიღებთ. თვითმომზადების მხრივაც ჩვენ პედაგოგებს უნდა წაუყენოთ განსაზღვრული მოთხოვნილებები.

ჩვენ ვიცით, რომ მეორე საფეხურის სკოლა, ჩვენი ცხრაწლედი, ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს, რომ ის არ იძლევა პრაქტიკულ ცოდნას, სქოლასტიურია და სწავლების მხრივ დაბლა სდგას. ამაზე ჩვენ არა ერთხელ გვილაპარაკნია ჩვენს პლენუმებზე, ყრილობებზე, თათბირებზე და კონფერენციებზე. რის გაკეთებას ვაპირებთ ჩვენ ამ მიმართულებით? ჯერ ერთი, ამჟამად სერიოზულად განიხილება ძველი დავა პოლიტეხნიზმის შესახებ ჩვენს სკოლებში.

რა არის ეს? ეს არ არის სახელოსნო სკოლა, რომელიც ხელოსნურ ცოდნას აძლევს მოწაფეს.

ეს არის განათლების სისტემის ისეთი ნაწილი, რომლის დროსაც მოსწავლე ითვისებს ტეხნიკურ ცოდნას. ჩვენ ვიცით, რომ არის ერთგვარი მომენტი მოწაფის ცხოვრებაში, როცა მასში იღვიძებს მისწრაფება ტეხნიკური ცოდნისაკენ. და აი, ეს მისწრაფება დაკმაყოფილებულ უნდა იქნას სახელოსნოების, ფაბრიკების და ქარხნების გამოყენების გზით. ეს არის ხუთწლიანი გეგმის ერთგვარი გატარება ანუ დამუშავება ჩვენს სკოლებში. ხუთწლიანი გეგმა არის საუკეთესო თემა ჩვენი სახალხო მეურნეობის შესასწავლად. და აქ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენში ძალიან ცუდი მდგომარეობაა. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველი ზომა იმისათვის, რომ მეორე საფეხურის შრომის სკოლამ გამოიყენოს ის შესაძლებლობანი, რომლებსაც მას აძლევს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. არის ბევრი ასეთი შესაძლებლობა, მაგრამ ჩვენი სკოლა განზე სდგას და არ სარგებლობს ამით. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ჩვენ მასწავლებლებს, იმათ, რომელნიც უშუალოდ მუშაობენ ჩვენს სკოლებში, არ ესმით, თუ რამდენად დიდი ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე. თქვენ რომ შეეკითხოთ რომელსამე პედაგოგს—იცის თუ არა მან, რა არის ხუთწლიანი გეგმა, როგორია მისი ძირითადი მომენტები, ის ვერაფერს გიპასუხებთ. რასაკვირველია ასეთ პედაგოგს, პოლიტეხნიკური ცოდნის ასეთ მასწავლებელს არ შეუძლია განავითაროს ჩვენი ტეხნიკური მრეწვ. და მშენებლობის რომანტიკა. დიდი ინტერესიც რომ ჰქონდეთ ამ მიმართულების ბავშვებს, ასეთი პედაგოგების წყალობით ეს ინტერესი თანდათან მოჩლუნგდება. ამიტომ სდგას ჩვენს წინაშე სერიოზულად ამ სკოლების არსებითად გარდაქმნის საკითხი.

ის ღონისძიებანი, რომლებიც მიიღო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რომელნიც განხორციელდნენ მხოლოდ ლენინგრადსა და საქართველოში, ამჟამად საკავშირო მასშტაბით ხორციელდებიან. ჩვენ გვაქვს პარტორგანიზაციების დადგენილება **ათწლედზე გადასვლის შესახებ.** მახლობელ სრულიად საკავშირო თათბირზე ეს საკითხი, ალბად, საბოლოოდ იქნება გადაჭრილი. ათწლედი გვჭირია, ერთის მხრივ, პრაქტიკული მუშაკების მოსამზადებლად, ხოლო მეორეს მხრივ—უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა მოსამზადებლად. ასეთი იქნება მეორე საფეხურის სკოლების ამოცანა. ეს სკოლები გადაიქცევიან იმ გზად, რომლითაც ახალგაზრდობა უმაღლეს სკოლებში მიდის. მაგრამ ჩვენთვის მარტო ამ ღონისძიების გატარება როდია საკმარისი. არის სერიოზული საკითხი, რომელიც ჩვენ უნდა განვიხილოთ—საკითხი სასწავლო გეგმების შესახებ. უნდა ვსთქვა, რომ ზოგიერთი ჩვენი პედაგოგი სრულიად სერიოზულად გვიმტკიცებდა, რომ ჩვენი სკოლების პროგრამაში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეტანილ იქნას სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განმარტება და გარჩევა, ვინაიდან ამ საკითხის განმარტება ბავშვებისათვის შეუძლებელია.

პირველი და მეორე საფეხურის სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შედგენის საკითხი დიდ მნიშვნელობას ღებულობს. აქ მე თვითკრიტიკის წესით უნდა ვაღიარო, რომ ამ სფეროში უდიდესი ნაკლი გვაქვს. **ჩვენში არის პირდაპირ კონტრ-რევოლიუციონური სახელმძღვანელოები, რომლებიც ყოველგვარი თვალსაზრისით მიმართულნი არიან ჩვენს წინააღმდეგ.** არაფერს ვამბობთ ზოგიერთ სახელმძღვანელოზე, რომელიც ყოვლად უმეცრულად არის შედგენილი.

ალბად ყველა ამხანაგმა წაიკითხა ამას წინად „ზარია ვოსტოკა“-ში მოთავსებული წერილი, სადაც მოყვანილი იყო გეოგრაფიის სახელმძღვანელო, როგორც უმეცრების ნიმუში. ამ წიგნს რედაქცია გაუკეთა კომუნისტმა. ის იყო სერიოზული მუშაკი, ბევრ წიგნს გაუკეთა რედაქცია. სხვათა შორის, ამ სახელმძღვანელოს რედაქცია გაუკეთა აგრეთვე თბილისის ერთ-ერთმა ცნობილმა პედაგოგმა.

მე შემიძლია მრავალი ასეთი მაგალითი მოვიყვანო. ეს მოწმობს საქმის აბუჩად აგდებას იმათ მხრივ, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან ამა თუ იმ სახელმძღვანელოსთვის. ხოლო მეორეს მხრივ ეს მოწმობს, რომ ჩვენში ძალიან ცუდად არის დაყენებული ის კადრების ჩამოყალიბების საქმე, რომელნიც უნდა ჰქმნიდნენ საბჭოთა წიგნს. ეს არის არა უბრალო ტეხნიკური საკითხი, არამედ მთელი კულტურული მშენებლობის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. მე დღეს მოხსენების წინ გამოვიკვლიე და აღმოჩნდა, რომ **ჩვენში არის 50 კაცი, რომელნიც ადგენენ სახელმძღვანელოებს, და მათ შორის სულ ორი-სამია კომუნისტი.** ნორმალურია თუ არა ეს? ჩვენს პარტიას ჰყავს ძველი კომუნისტების ძლიერი კადრები, არის საკმაოდ დიდი ინტელიგენტური ფენა. თუ ასეა, ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლია ბლომათ ჩავაბათ კომუნისტები ამ საქმეში? ეს არ ხერხდება იმიტომ, რომ ზოგიერთ კომუნისტს თავის ღირსების დამამცირებლად მიაჩნია ამ საქმისთვის ხელის მოკიდება. მე ვფიქრობ, უნდა გავადიდოთ ეს კადრები ყოველ მიზეზს გარეშე, რათა შევსძლოთ ამ დეფექტების გამოსწორება.

რაც შეეხება ჩვენი პედაგოგების პარტიულ შემადგენლობას, აქ საქმის ვითარება ასეთია: 1928—29 წელს იყო პარტიული შემადგენლობის 6,2 პროცენტი (მთელ საქართველოში) და კომკავშირის — 3,5 პროცენტი, ესე იგი 9,7 პროცენტი. ხუთი წლის დამლევს იქნება 18,4 პროცენტი. ეს ნავარაუდევი ციფრი, ალბად, გადიდებულ უნდა იქნას. გადიდება აუცილებლად გამოიწვევს მეორე საკითხის — ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტეხნიკუმებში სტიპენდიის საკითხის გადასინჯვას, რადგან ჩვენ კომკავშირს, ღარიბთა ნაწილს არ შეუძლია მიაღწიოს უმაღლეს საფეხურის სკოლამდე, თუ იგი სათანადოდ არ იქნება უზრუნველყოფილი. სწორედ ამიტომ ეს ნავარაუდევი ციფრები უნდა გავადიდოთ. კომუნისტ-პედაგოგების ძირითად ჯანსაღ მასასთან ერთად არის კიდევ ორი უარყოფითი ჯგუფი: ერთი, რომელიც შემარიგებლობის გზით სცდილობს როგორმე შეეგუოს ძველი სკოლის ტრადიციებს, რომელიც სცდილობს ჩვენთვის უცხო ელემენტები წამოაყენოს ჩვენს სკოლებში და სხვადასხვა საშუალებით გაამაგროს ისინი იქ, ან მშვიდობიანად იცხოვროს მასთან; არის მეორე ჯგუფიც, რომელიც პარტიაში, საერთოდ, საკმაოდ საფუძვლიანად მივიწყებულია, მაგრამ რომელმაც ჩვენს წრეში ეხლა წამოჰყო თავი, ეს არის კომყოყოჩობის ჯგუფი. სავსებით აღმაშფოთებელია, როცა კომუნისტი, რომელმაც ძლივს გაათავა მეორე საფეხურის სკოლა, არ თანხმდება მასწავლებლობაზე, ან გამგის მოადგილეობაზე, მას უცებ სურს გახდეს გამგე და იკისროს რამოდენიმე საგნის სწავლება. მუშაობის პროცესში კი ირკვევა, რომ იგი ასწავლის ფიზიკას, და არც კი იცნობს ხელსაწყოებს. ეს სახელს უტეხს ჩვენს პარტიას, ჩვენს სკოლას. ვფიქრობ, რომ ამ ელემენტებს დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ. ჩვენს სკოლებში ვადიდებთ პარტიულ შემადგენლობას, მაგრამ არავის მივცემთ უფლებას სახელი გაუტეხოს ჩვენს იდეას და კომუნისტის ღირსებას. ამიტომ სასტიკად უნდა მოვეპყროთ ასეთ პირებს. ვფიქრობ, რომ ამ ორი ჯგუფის წინააღმდეგ ჩვენს წრეში უმკაცრესი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ.

რაც შეეხება პედაგოგების რაოდენობას, ჩვენ განზრახვა გვაქვს ამ ხნის განმავლობაში პედაგოგიური ფაკულტეტებიდან, პედაგოგიური ტეხნიკუმებიდან და სხვ. მოვამზადოთ 5.895 კაცი (მათ შორის 1.014 სტიპენდიანტი). ამ საერთო რიცხვიდან პარტიული იქნება 3.227 კაცი, ანუ 59,8 პროცენტი. ეს ძალიან დიდი მიღწევაა. თქვენ, უეჭველია, გაინტერესებთ საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ძლიერია მუშათა კავშირის და თვით მუშების ლტოლვა პედაგოგიური ფაკულტეტებისაკენ. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი ამხანაგების რაოდენობა უმნიშვნელოა. ამ ფაკულტეტებზე მეტ წილად მიდიან სოფლელები. ამიტომ პედაგოგიური ფაკულტეტის შევსების საკითხი განსაკუთრებული მსჯელობის საგნად უნდა გადაიქცეს. პედაგოგიური ფაკულტეტის შევსების დროს ბევრად მეტი სიმკაცრეა საჭირო, ვიდრე სხვა რომელიმე ფაკულტეტის შევსების დროს. აქ საჭიროა კომკავშირის დახმარება. კომკავშირმა ამ საქმეში მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს. პედაგოგიურ ფაკულტეტზე მისაღებად უნდა წამოვაყენოთ შემოწმებული ამხანაგები, რომლებსაც მართლაც შეგვიძლია დავემყაროთ.

ეხლა მეორე საფეხურის სკოლის შემადგენლობის შესახებ. მე ამ საკითხს ვუბრუნდები იმიტომ, რომ იგი სერიოზულ საკითხად მიმაჩნია. როცა პარტკონფერენციაზე ვაკეთებთ მოხსენებას კულტურული მშენებლობის შესახებ, არა გვაქვს უფლება მივჩქმალოთ ასეთი საკითხები. პარტიას უნდა გავაგებინოთ, რომ ხუთი წლის დამლევს საშუალება არ გვექნება ჩვენი მბრძანებელი მაღლობები უზრუნველვყოთ საჭირო ელემენტებით, თუ ღარიბთა ფონდი არ იქნება უზრუნველყოფილი, თუ მიღების დროს კლასობრივი გეზი მტკიცედ არ იქნება განხორციელებული. ეს კლასობრივი გეზი ბურჟუაზიული ელემენტების, კულაკების და ინტელიგენციის უკმაყოფილებას იწვევს. მაგრამ ჩვენს ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ **ეს პრინციპი მკაცრად უნდა გავატაროთ.** ჩვენ, ამხანაგებო, ვგრძნობთ ერთგვარ განწყობილებას, რომელიც იქმნება ამ საკითხის ირგვლივ და ეს სავსებით გასაგებია, რადგან ჩვენ შეტევას ვაწარმოებთ ამ ელემენტების წინააღმდეგ. რაც უფრო ღრმავდება ჩვენი სოციალისტური მშენებლობა, მით უფრო ძლიერდება ამ ელემენტების უკმაყოფილება.

რამდენ პროცენტს შეადგენენ სკოლებში მიუღებელი მუშები და ღარიბთა ბავშვები? ეს პროცენტი უდიდესია. რით აიხსნება ეს? უეჭველია, ეს აიხსნება იმ კომისიების გულგრილობით, რომლებსაც ეკისრებათ სკოლების შევსება. ჩვენ გვყავს ისეთი პედაგოგიური პერსონალი, რომელიც გვისმენს, რომელიც სცდილობს შეგვეგუოს და, რასაკვირველია, ადგილობრივ ორგანიზაციებს რომ მტკიცე ხელმძღვანელობა გაეწიათ, ადგილი არ ექნებოდა ასეთ მდგომარეობას.

ჩვენ გვაქვს დადგენილება სკოლების სოციალური შემადგენლობის შემოწმების შესახებ, სადაც სავსებით გარკვევით არის ნათქვამი, რომ სკოლებიდან გარიცხული უნდა იქნან ჩვენთვის სოციალურად აშკარა უცხო ელემენტები, თუ გავითვალისწინებთ ეხლანდელ მდგომარეობას და მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ყოველთვის სწორად არ ხორციელდება ჩვენი დირექტივები, აშკარა გახდება, რომ ადგილებზე გვაქვს დაუდევრობისა და უყურადღებობის შემთხვევები.

უნდა ითქვას, რომ უმაღლეს სკოლებში ჩვენ უკვე მოვახდინეთ კულაკების გაცხრილვა. საარჩევნო უფლება წართმეულნი ირიცხებიან უმაღლეს სკოლებიდან. რაც შეეხება დანარჩენი კატეგორიების სკოლებს, მათ შესახებ საკითხი ეხლა მუშავდება და სექტემბერში გეგმიანი წესით შეუდგებით სკოლების სოციალური შემადგენლობის გადათვალიერებას.

### ვინ უნდა მოვამზადოთ

კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება შეთანხმებულ უნდა იქნას მრეწველობის მოთხოვნილებასთან. როცა შეუდექით ხუთწლიანი გეგმის შედგენას, განათლების სახალხო კომისარიატს მოუხდა თავის ტეხა იმაზე, თუ რამდენი ინჟინერი და ტეხნიკოსია საჭირო ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის. მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში იმუშავებდნენ მრავალ ღონისძიებას კვალიფიციური მუშა-ხელის გაუთვალისწინებლად, ხოლო თუ ხდებოდა გათვალისწინება, ხდებოდა ყოველგვარი დანაწილების გარეშე. მაგალითად, განა სწორი და დასაშვებია, რომ ჩვენ დღემდე არა გვქონდა ციფრები იმის შესახებ, თუ რამდენი ინჟინერია საჭირო ჩვენი მრეწველობისათვის მახლობელი ხუთი წლის განმავლობაში? ამხანაგებო, ჩვენ ვართ ის ორგანიზაცია, რომელიც ამზადებს კვალიფიციურ მუშა-ხელს, ჩვენ ვქმნით ამ ხალხს, მაგრამ ჩვენ უნდა მივიღოთ დაკვეთა მათზე. ხომ არ შეგვიძლია თვითონ შევადგინოთ ეს დაკვეთა? ის, რაც ჩვენ ამჟამად გვაქვს ის, რაც საფუძვლად დაედო კულტურული განვითარების ხუთწლიან გეგმას, ის, რაც საფუძვლად დაედო განყოფილებას კვალიფიციური მუშა-ხელის შესახებ, ვარაუდის ხასიათს ატარებს. აქ საჭირო იქნება ცვლილებების შეტანა არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

ჩვენ გვაქვს დაკვეთა აგრონომებზე. არსებობს აგრონომების თავისებური დაყოფა. მაგალითად, ჩვენში არის სოფლის მეურნეობის მთელი დარგი — მესაქონლეობა. ამ დარგს აქვთ თავისი განვითარების პერსპექტივები, განსაზღვრული ადგილი უჭირავს ჩვენი სოფლის მეურნეობის სექტორში, მაგრამ არ ვიცით, რამდენი გვჭირდება მესაქონლე აგრონომი. სწორედ ასევე არ ვიცით, რამდენი გვჭირდება მემინდვრე, მებაღე - აგრონომი და სხვ. ჩვენ გვაქვს მხოლოდ საერთო დაკვეთა აგრონომებზე, ასეთ დაყოფას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ სხვადასხვა დარგში მომუშავე ხალხს.

ასეთივე მდგომარეობაა კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების მხრივ. ჩვენ გვყავს 24 ათასი კვალიფიციური მუშა, 9 ათასი — ნახევრად კვალიფიციური და 38 ათასი არაკვალიფიციური.

საკითხი ეხება იმას, თუ რა ელემენტებად იყოფა ჩვენი დაკვეთები. მრეწველობა დაკვეთებს გვაძლევს უმთავრესად დაბალ კვალიფიციურ მუშა - ხელზე. მოთხოვნილება ამ მუშა-ხელზე დაახლოებით აღწევს 15 ათას კაცამდე. როგორ ივსება ეს ციფრი? ის ივსება ისე, რომ ხუთი წლის დამლევს ჩვენ მივიღებთ 57 პროც. დეფიციტს. ეს დეფიციტი პირობითია იმიტომ, რომ აქამდის ეს 15 ათასი ვერ იქნა განაწილებული მრეწველობის სათანადო კატეგორიების მიხედვით.

6.200 კაცს ჩვენ ვამზადებთ საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებში, ქარხნებთან არსებულ სახელოსნოებში, აგრეთვე მოწაფეების დაწინაურების გზით. მაშასადამე, ერთის მხრივ, საზოგადო მოწაფეობა, მეორეს მხრივ — საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლა, ხოლო შემდეგ—ქვედა საფეხურის პროფესიონალური კურსები. ყველა ეს იმ პირობით, თუ საქარხნო საფაბრიკო შეგირდობის სკოლების განვითარების ტემპი სწრაფი იქნება, თუ ათი ასეთი სკოლის ნაცვლად ჩვენ გვექნება 15 სკოლა და თუ ქვედა საფეხურის პროფესიონალურ სკოლების რიცხვს გავადიდებთ 310-მდე.

დანარჩენი მუშა-ხელის მიღებას ჩვენ ვაპირებთ მუშებისათვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი კურსების მოწყობით. ჩვენი ვარაუდით ამ ღონისძიებათა შედეგად გვეყოლება 8 ათასი კაცი, რომლებიც ჩვენ ამჟამად გვაკლია. ამისთვის რაც შეიძლება სწრაფი ტემპით უნდა განვავითაროთ ეს კურსები, რომელნიც მოამზადებენ კვალიფიციურ ძალას ინდუსტრიისა და ტრანსპორტისათვის.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ჩვენ მხოლოდ ამ ბოლო დროს შევისწავლეთ ეს საქმე და „საქართველოს ჩაი“-სათვის ვაპირებთ 1.100 კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადებას.

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების რიცხვს ჩვენ გავადიდებთ 219-მდე, სასოფლო-სამეურნეო სკოლებისას — 25-მდე, სასოფლო-სამეურნეო სკოლების და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების საერთო პროდუქციას კი—19.869 კაცამდე.

ეხლა ვიკითხოთ, რამდენად უზრუნველყოფილი იქნება სათანადო სოციალური შემადგენლობით სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში 28—29 წელს ჩვენ გვყავს 65,8 პროც. ღარიბი გლეხი, 32—33 წელს კი გვეყოლება 92 პროცენტი.

მაგრამ სათანადოთ ვერ არის მოგვარებული საქმის ერთი მეტად მნიშვნელოვანი მხარე. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები საკმაოდ უზრუნველყოფილნი არ არიან არც მოწყობილობისა და არც პედაგოგების მხრივ. სკოლების უმრავლესობას არა აქვს მიწა, არა ჰყავს აგრონომები, ან თუ ჰყავს, ისეთები, რომელნიც გაიქცნენ სახ.-სამ. ფაკულტეტის მეორე კურსიდან და აგრონომებად გამოაცხადეს თავიანთი თავი. ასეთი აგრონომები, როგორც ეტყობა, ბევრია. ეს კი გვეუბნება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ნორმალურად განვავითაროთ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები. ამიტომ ჩვენი პროექტი ითვალისწინებს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მეტად უმნიშვნელო ზრდას და შეიძლება, ამ ზრდის შემცირებაც მოგვიხდეს ცოტათი, ვინაიდან არ შეგვიძლია შევქმნათ სკოლები, თუ მათ არ უზრუნველვყოფთ სათანადო პედაგოგებით და სამეურნეო ბაზისით.

უმთავრესია ის, რომ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან და იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებსაც ჩვენ ვატარებთ სოფლის მეურნეობაში, სათანადოთ იქნენ გადაკეთებულნი ისე, რომ მათ აქტიური მონაწილეობის მიღება შეეძლოთ ყველა ამ ღონისძიებაში. თუ დაუკვირდებით და ანალიზს გაუკეთებთ მათ მდგომარეობას, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული სკოლების უმრავლესობა ამ მხრივ ვერ უძლებს კრიტიკას. ეს არის ჩვეულებრივი სკოლები, რომლებშიაც სრულიად არა სჩანან სოციალური აღზრდის, კომუნისტური აღზრდის ელემენტები. ეს ნაწილობრივ აიხსნება სამეურნეო ორგანოების, კერძოდ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის უყურადღებობით ამ სკოლებისადმი. ეს ორგანოები არავითარ ინტერესს არ იჩენენ ამ მხრივ. მათ ავიწყდებათ, რომ სოფლად კოლექტივიზაციის ჩატარების საქმეში გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებმა უდიდესი როლი უნდა ითამაშონ, მათ უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ მთელ რიგ კამპანიების ჩატარებაში, მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელებაში.

სამეურნეო ორგანიზაციები ხშირად სრულიად დაუსაბუთებლად დეკლარატიულ განცხადებას აკეთებენ იმის შესახებ, რომ ესა თუ ის არ ვარგა ამა თუ იმ სკოლაში, ხოლო, თუ ზოგიერთ სამეურნეო მუშაკს შეეკითხები, რა არის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა, ის ვერაფერს ვერ აგიხსნის, გეტყვის, რომ ეს რაღაც უცხო სიტყვაა. ამიტომ საჭიროა გავაგებინოთ იმათ, ვისაც ამის გაგება არ სურს, რომ მუშა-ხელის მომზადება არ არის საუწყებო, განათლების სახალხო კომისარიატის საკითხი, არამედ არის მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხელისუფლების საერთო საკითხი, რომელზედაც დაყრდნობილია ჩვენი ხუთწლიანი გეგმა. მათ უნდა შეითვისონ ეს აზრი და ამან რაიმე რეალური შედეგები უნდა მოგვცეს. მათი დახმარება არ უნდა გამოიხატებოდეს მარტო კონსულტაციებში, რომლებიც არ არის ჩვენთვის მაინცა და მაინც საჭირო.

რაც შეეხება საშუალო კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადებას, აქ ჩვენ გვაქვს მიღწევები, რომლებზედაც მე საჭიროდ მიმაჩნია შეჩერება. თუ ავიღებთ სპეციალურ ტეხნიკუმებს, რომელნიც ამზადებენ მუშაკების მეტად მნიშვნელოვან კატეგორიას, ისეთ კატეგორიას, რომელიც ხშირად სცვლის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ კადრებს, დავინახავთ შემდეგ სურათს: 1928—29 წელს სპეციალურ ტეხნიკუმებში პარტიის წევრი და კომკავშირელი იყო 2.500 კაცი, ესე იგი 39 პროც., პირველ კურსზე—58,5 პროცენტი, მეორეზე—37,2 პროც., მესამეზე—44,5 პროც., მეოთხეზე—32,5 პროც., უკანასკნელზე კი—39 პროც. ხუთი წლის დამლევს ჩვენ უკანასკნელ ჯგუფში გვეყოლება 60 პროც. კომკავშირელი.

საშუალო კვალიფიციური ძალების მომზადების სისტემაში ჩვენ გვაქვს ისეთი დაწესებულებანი, რომლებმაც უნდა მოამზადონ ჩვენი იდეების, კომუნიზმის იდეების გამტარებელნი სოფლად. მე ვლაპარაკობ მიწათმომწყობი ტეხნიკუმების შესახებ. ჩვენ ჯერ კიდევ შარშან გადავწყვიტეთ, რომ მიწათმომწყობი ტეხნიკუმები შევავსოთ მხოლოდ ახალგაზრდა კომკავშირელებით. მახლობელი ხუთი წლისათვის სწორედ ასე მოვიქცევით.

სამრეწველო - ეკონომიური განათლების დარგში, არსებულ მოთხოვნილებათა მიხედვით, ჩვენ გვაკლია 5.551 კაცი. საშუალო კვალიფიციური ძალის მომზადების თითქმის არც ერთ ნაწილში— არც ინდუსტრიის, არც ტრანსპორტის და არც სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ კაცები არ გვაკლია, სოციალურ - ეკონომიურ დარგში კი გვაკლია. ამას სერიოზული მიზეზები აქვს, რომელთა შესახებაც შემდეგ ვილაპარაკებ. ჩვენს ეკონომიურ ქსელში, კოოპერატიულ ქსელში და ეკონომიურ დარგში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციებში— ბანკებში, საკრედიტო ამხანაგობებში, კოოპერაციაში და სხვაგან — სრულიად მიუღებელი ელემენტები მუშაობენ. დაე, კოოპერაციისა და სხვადასხვა ეკონომიური ორგანიზაციების წარმომადგენლები გამოვიდნენ აქ და სთქვან, რომ იქ მცოდნე და მომზადებული პირები მუშაობენ. იქ მეტ წილად მოეწყვნენ ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს შრომის სკოლა ან საბუხჰალტრო კურსები. ეს სკოლები და კურსები, ჩვენდა საუბედუროდ და ჩვენი შეცდომის წყალობით, აუარებელი დავხსენით. ისინი ყოველ წელიწადს რამდენიმე ას კაცს უშვებდნენ. შედეგი ის არის, რომ ტეხნიკუმებში კურსდამთავრებულნი ვერსად ვერ ეწყობიან, მათ სტაჟზე იღებენ, მაგრამ, როდესაც სტაჟს ათავებენ, ეუბნებიან: „გუდა-ნაბადი აიკრიფეთო“. ეს იმიტომ ხდება, რომ არიან მუშაკები, რომლებიც წლობით შერჩნენ ადგილებს და მათი მოხსნა უხერხულად მიაჩნიათ. ამას შედეგად ის მოჰყვება, რომ ჩვენ ვერასოდეს ვერ შევძლებთ არაკვალიფიციური მუშაკების შეცვლას კვალიფიციური მუშაკებით.

ეს სერიოზული საკითხია. ეხლა განსაკუთრებით სერიოზულად დასვა იგი სტუდენტობამ კონტრაქტაციის ჩატარების დროს, როდესაც სამეურნეო ორგანიზაციებს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ ამა თუ იმ კანდიდატის წინააღმდეგ, გარდა ერთი საბუთისა: „მე ამას ვიცნობ, იმას კი არაო“,

აი, ეს მომენტები უსათუოდ უნდა გამოსწორდეს.

რაც შეეხება დეფიციტს, რაკი ბევრი ამხანაგი ამ ციფრების წინააღმდეგია, ჩვენ უნდა გადავათვალიეროთ იგი და თუ დეფიციტი დიდი გამოდგება, საკითხი დავსვათ ქსელის გაფართოების შესახებ.

მე ვფიქრობ, ის ამხანაგები, რომლებიც წარმოებაში მუშაობენ, დაადასტურებენ ჩემს აზრს, რომ ჩვენი ტეხნიკა უეჭველად მოითხოვს მეტ კვალიფიკაციას. ეს სერიოზული საკითხია, იგი სდგას იმ მუშების წინაშე, რომლებიც ამჟამად წარმოებაში მუშაობენ. ხელახალი კვალიფიკაციის დაწყებას 1929—30 წლიდან ვაპირებთ, ხუთი წლის დამლევს 30.000 მუშის ხელახალი კვალიფიკაცია გვაქვს გათვალისწინებული.

დღემდე მუშების კვალიფიკაციის საქმეს თავისი პატრონი არა ჰყოლია. ეხლა ჩვენ ვფიქრობთ, რომ საერთო კულტურულ მშენებლობაში ხელახალმა კვალიფიკაციამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაიჭიროს. მუშათა ის კადრები, რომლებიც დღეს ჩვენს მრეწველობას ემსახურებიან, ხვალ ამას ველარ მოახერხებენ, ვერ გაუძლებენ მათს წინაშე დასახულ ამოცანებს, თუ ეხლავე არ შევქმნით პირობებს ამ მუშების ხელახალი კვალიფიკაციისათვის.

### ჩვენი უმაღლესი სკოლა

რაც შეეხება უმაღლეს კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადებას, უნდა ვსთქვათ, რომ, ჩვენი პარტიის გადაწყვეტილების თანახმად ამ მუშაობის ერთი დიდი ნაწილი უკვე შევასრულეთ. მოვახდინეთ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების რაციონალიზაცია. ჩვენ მოვახდინეთ უმაღლესი განათლების რაციონალიზაცია, ესე იგი შევუერთეთ სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი უნივერსიტეტს, ხოლო ამ უკანასკნელიდან პოლიტეხნ. ფაკულტეტი გადავიტანეთ ინსტიტუტში.

მაგრამ კომპარტიის ც. კ.-მა ფაკულტეტების მარტო მექანიკური შედუღების საკითხი არ დასვა. მან მოგვცა სხვადასხვა მნიშვნელოვანი დირექტივები, რომლებიც ჩვენს წინაშე რამდენსამე წელს იდგებიან განსახორციელებლად.

რანაირია ეს დირექტივები?

მთავარ დირექტივას წარმოადგენს ჩვენი ფაკულტეტების სწორი მიზნობრივი დაყენება, ესე იგი ის, რომ სასოფლო-სამეურნეო, საინჟინერო და სამკურნალო ფაკულტეტებმა ისეთი მუშაკები მოამზადონ, რომელთა გამოყენებაც დღესვე შეეძლება ჩვენს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

ჩვენი ფაკულტეტები მოწყვეტილი არიან სინამდვილეს. თუმცა სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი უკვე 8 წელიწადია არსებობს, მხოლოდ ეხლა მოვახერხეთ ისეთი სასწავლო გეგმის შედგენა, რომელიც შეთანხმებულია სამეურნ. ორგანოებთან. რითი აიხსნება ეს? მთავარი გზები და დირექტივები ხომ ჩვენთვის სრულიად ცხადია. უეჭველია. მიზეზი ის არის, რომ სასწავლო გეგმას მხოლოდ თეორეტიულად ვუდგებოდით, მოწყვეტილნი ვიყავით წარმოების ინტერესებს, გვსურდა მოგვემზადებინა ეს კადრები და არ ვზრუნავდით იმაზე, რომ ისინი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობასთან დაგვეკავშირებინა. ეხლა ჩვენ იმ აზრს ვახორციელებთ, რომ სასწავლო გეგმები დაუკავშირდეს ჩვენს სამეურნეო ორგანოებს, მრეწველობას და სოფლის მეურნეობას.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს, სამწუხაროდ, არავითარი ბაზისი არა აქვთ თავიანთი მეცნიერული მუშაობის მხრით. სამეურნეო ორგანოები, მაგალითად, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი აშენებს საცდელ და სხვა სადგურებს, რომელთა ამოცანები ენათესავება სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთ დისციპლინას. აქ საჭიროა ამ ამოცანების შეთანხმება უმაღლესი სასწავლებლების მუშაობასთან. მე ვფიქრობ, ეს წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საკითხს იმ საკითხთა შორის, რომლებიც უნდა განვახორციელოთ ხუთი წლის განმავლობაში.

შემდეგ, ამხანაგებო, მეტის-მეტად მნიშვნელოვანია სტუდენტობის სოციალური შემადგენლობის საკითხი. თქვენთვის განუმარტებლადაც ცხადი უნდა იყოს, რომ ამ საკითხს ძალიან დიდი მნიშვნელობა ეძლევა. უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში უმაღლესი სასწავლებლების შევსების საქმე სერიოზულად გაუმჯობესდა. ამ ორი-სამი წლის განმავლობაში უნივერსიტეტი და განათლების სახ. კომისარიატი სერიოზულად შეუდგნენ სწორი კლასობრივი პოლიტიკის გატარებას სტუდენტობის მიღების საქმეში. მაგრამ უნდა ვსთქვათ, თუ წავიკითხავთ გაცხრილვის შედეგების მაჩვენებელ ციფრებს, დაინახავთ, რომ მდგომარეობა სახარბიელო არ არის.

რამდენად შეეფერება სტუდენტთა რიცხვი ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებებს? ბევრ ამხანაგს ჰგონია, რომ სტუდენტთა შემადგენლობა რიცხვობრივად ძალიან დიდია. ცენტრალური კომიტეტი ამ მიმართულებით დირექტივებს გვაძლევდა, ჩვენ მოვახდინეთ შემცირება და ახლა, შესაძლებელია, მტკიცება დაგვჭირდეს ცენტრალური კომიტეტის წინაშე, რომ საჭიროა სტუდენტთა რიცხვის გადიდება, რადგან ის მოთხოვნილებანი, რომლებსაც ჩვენ გვიყენებენ, ამას გვიკარნახებენ. მაგალითად, აგრონომების მხრით ჩვენ კადრების სიმცირეს განვიცდით. სხვადასხვა დარგში რომ საკმაო კვალიფიციური ძალა გვყავდეს, ჩვენის აზრით, საჭიროა სტუდენტთა რიცხვის გადიდება.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ არა მარტო ჩვენში, საქართველოში, არამედ რუსეთისა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში ხდება 7—8 პროცენტის ბუნებრივი გაცხრილვა. ეს პროცენტი აუცილებელია, თუ გვინდა 4—5 წლის შემდეგ ინჟინერი გვყავდეს. თქვენ კი იცით, რომ ძველ დროს საგზაო ინსტიტუტი ინჟინერებს უშვებდა 10—11 წლის შემდეგ. ამიტომ თუ ყოველსავე ამას მხედველობაში მივიღებთ, ძალიან დიდ შემცირებას ვერ მოვახდენთ.

ეხლა, ამხანაგებო, შევეხები უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის დაკავშირებას სამეურნეო ორგანოებთან. აქ საჭიროა, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები მივამაგროთ არა მარტო ადგილობრივ ორგანიზაციებს, არამედ საბჭოთა კავშირის უდიდეს სამრეწველო ორგანიზაციებსაც. ნაციონალისტურად და შოვინისტურად განწყობილი ინტელიგენციის ერთი ნაწილის აზრით, უმაღლესი სასწავლებლები უნდა მივამაგროთ ადგილობრივ საწარმოებს, ადგილობრივ სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს. მე ვფიქრობ, ეს დიდი შეცდომაა. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, ჩვენი პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საინჟინერო ფაკულტეტი მივამაგროთ უდიდეს საკავშირო ტრესტებს, მით უმეტეს, რომ ამის წინადადებას გვაძლევენ? მოგებით მოვიგებთ, წაგებით კი არაფერს წავაგებთ. მოიგებენ ჩვენი სტუდენტები, მოიგებს ჩვენი მრეწველობა.

ჩვენი აგრონომიული ფაკულტეტიც საჭიროა მივამაგროთ სათანადო ორგანიზაციას, რომ ერთგვარი სამეურნეო დახმარება იყოს.

ამ საკითხთან დაკავშირებულია კონტრაქტაციის საკითხი. ჩვენ ვფიქრობთ, მთლიანად კონტრაქტაციაზე ავაგოთ უმაღლესი კვალიფიციური ძალის მთელი წარმოება. ჩვენ ვფიქრობთ, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შემდეგი საკითხი დავუსვათ: **თქვენ გჭირდებათ უმაღლესი კვალიფიციური ძალა, დაჰყავით იგი კატეგორიებათ და მოგვთხოვეთ. მაშინ ჩვენ შეუდგებით საკონტრაქტო ხელშეკრულებათა დადებას. ამ კამპანიის დაწყებას ეხლავე ვაპირებთ გეგმიანი წესით.**

მაგრამ აქ ერთი საკითხი არსებობს, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველგვარი ჩვენი მეცადინეობის მიუხედავად, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები მთლად ჩვენი ელემენტებით არ არიან შევსებულნი. **საჭიროა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონტროლი** იმისათვის, რომ ჩვენ შეგვეძლოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას მოუმზადოთ ისეთი პირები, რომლებიც ნამდვილად ჩვენები იქნებიან. ამიტომ კონტრაქტაციის დროს ჩვენთვის სულ ერთი არ იქნება, ვისზე გავრცელდება კონტრაქტაცია —ივანოვზე თუ პეტროვზე. საჭიროა გულმოდგინე საზოგადოებრივ - პოლიტიკური კონტროლი სასწავლებლებთან არსებული კომუნისტების ფრაქციის, კომბიუროს მხრით. ამ საზოგადოებრივ - პოლიტიკურ კონტროლს დიდი მნიშვნელობა ექნება.

უკანასკნელი საკითხია ბიუჯეტის საკითხი. უნდა შევქმნათ მტკიცე ბიუჯეტები უმაღლეს სასწავლებლებისათვის. აქამდე ეს ვერ მოვახერხეთ. მე ვფიქრობ, სრულიად სამართლიანია უმაღლესი სასწავლებლებს მოთხოვნა, რომ მათ მტკიცე ბიუჯეტი ჰქონდეთ, უზრუნველყოფილნი იყვნენ, რომ უმაღლესი განათლებისათვის გადადებული თანხები სახალხო განათლების სხვა დარგებს არ მოხმარდეს. ამ მომენტმა თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს რეზოლიუციაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ვერ [illegible] ვალდებულებას სათანადო კვალიფიციური ძალის მომზადებისათვის.

რამდენიმე სიტყვა საერთო საცხოვრებლების შესახებ. ეხლა საერთო საცხოვრებლებს უზრუნველჰყოფილი ჰყავთ სტუდენტების 5,4 პროცენტი. ხუთი წლის დამლევისათვის ჩვენ ვფიქრობთ, რომ უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტების 25 პროცენტი.

ჩვენ ვაპირებთ სპეციალური შენობების აგებას იმ სასწავლებლებისათვის, რომლებსაც საერთო რესპუბლიკანური ხასიათი აქვთ: ინდუსტრიალური ტეხნიკუმისათვის, სასოფლო-სამეურნეო და პედაგოგიური ტეხნიკუმებისათვის. სულ განზრახულია 4 შენობის აგება. შემდეგ განზრახულია სპეციალური შენობის აგება ავტონომიურ რესპუბლიკებში.

### მეცნიერული მუშაობის საკითხები

კიდევ ერთი საკითხი—სამეცნიერო საზოგადოებათა და სამეცნიერო ორგანიზაციათა შესახებ. ჩვენში ბევრია სამეცნიერო საზოგადოება, სამეცნიერო ინსტიტუტი, მაგრამ ეს ორგანიზაციები მოწყვეტილნი არიან ცხოვრებას, გარდა, შესაძლებელია, გეოლოგიური ინსტიტუტისა, რომელიც მჭიდრო კონტაქტით მუშაობს სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს გეოლოგიურ კომიტეტთან. დანარჩენი ორგანიზაციები სრულებით მოწყვეტილნი არიან ჩვენს წინაშე დასახულ პრაქტიკულ საკითხებსა და ამოცანებს. ჩვენში დღემდე მოწესრიგებული არ არის ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა გეგმიანი შესწავლის საქმე.

სამთო-მადნო ქიმიური მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარების საქმეში ჩვენს წინაშე უდიდესი ამოცანები დგანან.

როგორ უნდა მოვაწესრიგოთ გეგმიანად ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა შესწავლის საქმე? როგორ უნდა გამოვიკვლიოთ ის უდიდესი სიმდიდრე, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება მიწის წიაღში? აქამდის საქართველოს გეოლოგიური რუქაც კი არ არსებობს.

საწარმოო ძალების გეგმიანად შესწავლის საკითხი უაღრესად სერიოზული საკითხია. ჩვენი სამეცნიერო ინსტიტუტებმა, ჩვენი სამეცნიერო ორგანიზაციები ჩაბმულ უნდა იქნან იმ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ ამჟამად. ხუთწლიან გეგმაში ჩვენ შევიტანეთ **სპეციალური სამეცნიერო ინსტიტუტის დაარსება.** მაგრამ ასეთი ინსტიტუტის შექმნას უნდა წინ უძღოდეს ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებს ყველა ამ სამუშაოს. ჩვენ უნდა შევქმნათ მტკიცე საფუძველი, რომელზედაც აღმოცენდება ეს დაწესებულება. ასეთ საფუძვლად ჩვენ მიგვაჩნია **ქიმიური ინსტიტუტი, რომელსაც ჩვენ ვაარსებთ. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა შევქმნათ ორგანიზაცია ჩაის საქმისთვის, შევქმნათ რასიული პათოლოგიის ინსტიტუტი, გეოლოგიური ინსტიტუტი, ნიადაგის გამომკვლევი ინსტიტუტი, რომელმაც დიდი როლი უნდა ითამაშოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების შედგენაში.** გარდა ამისა, განზრახულია კაპიტალური შენობების აგება, რაც აუცილებელია სწორი მუშაობისათვის. ასეთი შენობებია—**ბიბლიოთეკა და მუზეუმი.**

ჩვენი წიგნის პროდუქციის მხრივ აუცილებელია ხუთწლიანი გეგმის გადათვალიერება, იმიტომ, რომ ეს პროდუქცია მეტად მცირეა და მისი მაჩვენებლები უმნიშვნელონი არიან. ჩვენი ლიტერატურა და ჩვენი მწერლები, რომელნიც თანდათან იზრდებიან, სათანადოთ უნდა იქნან დაკმაყოფილებულნი.

პოლიტიკური და პარტიული ლიტერატურა, რომელზედაც ჩვენ უნდა აღვზარდოთ, გვაქვს 5,1 პროც. ხუთი წლის დამლევსაც 5,1 პროც. გვექნება. ვფიქრობ, რომ ეს სწორი არ არის. ეს გენერალურ შესწორებას მოითხოვს. მთელი თავისი [illegible] სდგას საკითხი მასიური გლეხური ლიტერატურის შესახებ, ისეთი ლიტერატურის, რომელშიაც ჩვენ გავაშუქებთ გლეხობის წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ეს ლიტერატურა კი პროექტში შეტანილია მეტად მცირე რაოდენობით. მისი პროდუქცია 0,2 პროცენტიდან გაიზარდა 0,4 პროცენტამდე. რაც შეეხება ლიტერატურას ეროვნულ უმცირესობათათვის, ეს ლიტერატურაც პროექტში შეტანილია მეტად მცირე რაოდენობით, ალბად, იმ მოსაზრებით, რომ ეს ლიტერატურა უნდა შემოვიდეს უმთავრესად სომხეთიდან და აზერბეიჯანიდან. მაგრამ ეს არ არის საკითხის სწორად დაყენება.

### 190 მილიონი კულტურულ მშენებლობისათვის

რაც შეეხება, ამხანაგებო, ჩვენს დამოკიდებულებას ავტონომიურ რესპუბლიკების კულტურულ მშენებლობის საკითხებისადმი, ყველაფერი ის, რაც ვსთქვი საქართველოს შესახებ, შეეხებოდა ავტონომიურ რესპუბლიკებსაც. ბიუჯეტი არის ჩვენი ზრდის მაჩვენებელი, ამ მხრივ კი ვხედავთ შემდეგ სურათს: ხუთი წლის განმავლობაში საქართველოსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში დაიხარჯება 62.549 ათასი მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტით და 129.171 ათასი მანეთი ადგილობრივი ბიუჯეტით.

სახელმწიფო ბიუჯეტი ხუთი წლის განმავლობაში გაიზარდა 225 პროცენტით, ადგილობრივი ბიუჯეტი—223 პროცენტით. 5 წლის განმავლობაში სახალხო განათლებაზე დაიხარჯება საქართველოში (ავტონომიურ რესპუბლიკების გარეშე)—165.865 ათასი მანეთი (ზრდა უდრის 280 პროცენტს), აფხაზეთში — 19.835 ათას მან. (ზრდა—432 პროც.), აჭარისტანში —17.884 ათასი მან. (ზრდა—224 მან.), სამხრეთ-ოსეთში — 8.560 ათასი მან. (ზრდა—597 პროცენტ.).

აქ სწორად არის დაცული ჩვენი პოლიტიკა — ჩამორჩენილი მაზრები უნდა წავსწიოთ წინ და დაუახლოვოთ დაწინაურებულ მაზრებს.

ეხლა, ამხანაგებო, ვნახოთ, რამდენად მივდივართ წინ სწავლების ხარისხის მხრივ. სწავლების ხარისხი სავსებით დამოკიდებულია სკოლის პირობებზე, მის მოწყობაზე და სხვ., ესე იგი იმ პირობებზე, რომლებიც ჩვენში არსებობენ ამჟამად.

ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია შემდეგი: თუ, მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტი წინად ითვალისწინებდა — 27 მანეთის დახარჯვას თვითეულ სტუდენტზე, ხუთი წლის დამლევს ეს თანხა გადიდებული იქნება 596 მანეთამდე, ესე იგი 118 პროცენტით. თუ წინად სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის თვითეულ სტუდენტზე გათვალისწინებული იყო 173,8 მანეთის დახარჯვა, ხუთი წლის დამლევს ეს თანხა გაიზრდება 584,5 მანეთამდე და სხვ. ამგვარად, ხუთი წლის განმავლობაში ხარჯები საგრძნობლად გაიზრდება. ეს ხარჯები ასეთივე პროგრამით გაიზრდება 1-ლი და 2-ე საფეხურის სკოლების მიმართაც.

ჩვენი პედაგოგების სამუშაო ხელფასიც თანაბრად გაიზარდა. ხუთწლიანი გეგმის საბოლოოდ გადათვალიერებისა და წლიური საკონტროლო გეგმების შედგენის დროს, შეიძლება, საჭირო გახდეს ხელფასის შემცირება ალაგ-ალაგ, რადგან ის დიდ სახსრებს ითხოვს.

ამხანაგებო, ყველა ის, რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხებს.

კულტურულ მშენებლობაში შედის ჩვენი მუშათა კლუბების კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და საკლუბო მშენებლობა პროფკავშირების ხაზით. მინდა განვაცხადო კონფერენციის წინაშე, იმედი მაქვს, პროფკავშირებში მომუშავე ამხანაგებს არ ეწყინებათ ეს, — რომ საკლუბო მშენებლობის გეგმა ჩვენ არა გვაქვს. **მხოლოდ დღეს წავიკითხეთ „ზარია ვოსტოკა“-ში, რომ საქართველოს პროფსაბჭომ წინადადება მისცა კლუბებს — შეიმუშაონ საკლუბო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა.** სამწუხაროა, რომ აქამდის არა გვაქვს საკლუბო მშენებლობის გეგმა, [illegible]

# კულტურული მუშაობა სოფლად

## კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სოფლად ფართოვდება.—მშრომელი გლეხობა აქტიურადაა ჩაბმული კულტურულ საქმიანობაში.—დიდი-ჯიხაიშის თემში გაიხსნა მუსიკალური სკოლა—სამაზრო პოლიტგანებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ თემებში სამკითხველოების მუშაობის გაჯანსაღებას.

### მშრომელი მასების თვითმოქმედება ფართოვდება

სოციალისტური მშენებლობის და სოფლის მეურნეობის კოლექტიურად გარდაქმნისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლება. კულტურულად მაღლა მდგომ მშრომელ მოსახლეობას ყოველთვის უფრო ადვილად შეუძლია წარმატებით აწარმოოს სოციალისტური აღმშენებლობა.

კულტურული რევოლუციის განხორციელება საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობის მესამე ფრონტია. ამ ფრონტზე მუშაობა ისეთივე წარმატებით მიმდინარეობს, როგორც მრეწველობის აღორძინება და სოფლის მეურნეობის განვითარება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე კულტურულ მუშაობას აღრესად დიდი ყურადღება ექცევა და მას საგრძნობი თანხები იხარჯება. დღითი მრავლდება სკოლების, სახალხო სახ, სამკითხველოების და წითელ კუთ ის რიცხვი. წერა-კითხვის უცოდინარო ალმოსაფხვრელად გადადგმულია გადამ ი ნაბიჯი, მშრომელი მოსახლეობისა იაფი წიგნის მიწოდების საქმე თანდა მჯობესდება და სხვა.

კუთრებულ მიღწევად უნდა ჩაითვა ს გარემოება, რომ კულტურულ მუ მშრომელ ინტელიგენციასთან ერ იურად ჩაბმულია მშრომელი გლე რასოდეს ადგილი არ ქონია გლე ეთ ლტოლვას კულტურისაკენ, რო ეამად. კულტურული კერის შესა მშრომელი გლეხობა არ ზოგავს თა სა და ენერგიას. დღეს იშვიათად შეხვდებით ისეთ თემს, და თითქმის სოფელსაც, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების და მშრომელი გლეხობის ინიციატივით არ შენდებოდეს შენობა სკოლისათვის, თეატრისათვის, თუ სამკითხველოსათვის. ასეთი შენობების ასაგებად გლეხობა იყენებს თვითდაბეგვრის წესებს, იხდის როგორც ფულად გადასახადს, ისე აქტიურ მონაწილეობას იღებს მუშაობაშიაც.

გურიის ერთ-ერთ სოფელში—ბუკნარში გლეხობამ ააგო ვებერთელა შენობა, რომელშიაც უნდა მოთავსდეს სკოლა, სამკითხველო და სათეატრო დარბაზი. ამ შენობის აგება თავიანთი საკუთარი შრომით შესძლო ხსენებული სოფლის გლეხობამ. მაგრამ შენობის სავსებით დამთავრებას და მის კეთილმოწყობას კიდევ საგრძნობი თანხები ესაჭიროება. ამ მიზნით, ამ დღეებში თბილისში შესდგა საინიციატივო კომისია, რომელმაც უნდა გამონახოს საშუალება სოფ. ბუკნარის გლეხობის დასახმარებლად შენობის დამთავრების საქმეში. კომისიას მიზნად აქვს დასახული, ერთ-ერთ მუშათა კლუბში მოკლე ხანში მოაწყოს დიდი საღამო, შეაგროვოს დახმარების სახით ფული თბილისში მცხოვრებ გურულებისაგან და სხვ.

კულტურულ მუშაობაში ჩაბმულ გლეხობის ასეთ ინიციატივას უსათუოდ უნდა მივესალმოთ. საჭიროა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ ზემოხსენებულ კომისიას დასახული მიზნის განხორციელებაში. ეს განსაკუთრებით თბილისში მცხოვრებ გურულებს ევალება.

**ინი.**

### ავაუმჯობესოთ სამკითხველოების საქმიანობა

(წერილი ბორჩალოდან)

ლო კულტურის ერთი მნიშვნე აა სოფლად. ბევრ სოფლებში, კები და სხვა შესაკრები ადგილი აპმა, სამკითხველო ერთ და იმავე კლს როლსაც ასრულებს. აქ იყრიან გლეხ ყოველ დღე ერთმანეთისათვის ქირ-ვარამის გასაზიარებლად, აქ სწარმოებს გაზეთების მაღლა კითხვა, იურიდიული რჩევა - დგების მიცემა, ხშირად სამკითხველო გარის გამავრცელებელიც არის სოფლად. თხველოს გარშემო იკრიბება აგრეთვე კ ის გაზეთის ორგანიზატორები და მრავალ ა.

ერთი სიტ თ, სამკითხველო, თუ კი მუშაობა მასში კ ადაა დაყენებული, საზოგადოებრივ ლტურულ ცხოვრების მამოძრავებელია ლად.

სინამდვილე სამწუხაროდ, წინააღმდეგ მოვლენას აქვს ადგილი. სამკითხველოს მუშაობა უმთავრეს სამკითხველოს გამგეზეა დამოკიდებული, თუ მუშაობა მოისუსტებს, ეს უნდა აეხსნათ გამგის დაუდევრობით და უსაქმურობით.

არიან სამკითხველოების ისეთი გამგეები, რომელნიც სოფლის კულტურულ მუშაკების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენენ. მაგრამ არიან ზოგჯერ ისეთებიც, რომელნიც თავიანთ მოვალეობას სხვათა შორის ასრულებენ. ამიტომაა, რომ ასეთ გამგეებს უმეტეს ნაწილად ბოქლომები უკიდიათ სამკითხველოს კარებზე, წიგნები და გაზეთები არეულდარეული აქვთ, თვითონ სამკითხველო დაუვლელი და დაუსუფთავებელია. რა გასაკვირია, როცა ასეთ სამკითხველოში გზა გავლით თუ შედის კაცი, თორემ ისე არავინ იწუხებს თავს.

მაზრის პოლიტგანმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სამკითხველოების გამგეთა შერჩევის საკითხს და აგრეთვე მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. ამასთანავე საჭიროა ზრუნვა სამკითხველოების შესაფერ ბინებში მოსათავსებლად.

**ჟანელი.**

### კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა გაუმჯობესდა

(წერილი ზესტაფონიდან)

ამ უკანასკნელ დრომდე ზესტაფონის რკ. გზის. ს. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში ყოველგვარი კულტურულ - განმანათლებელი მუშაობა სუსტ დონეზე იყო დაყენებული. მაგრამ მას შემდეგ, რაც კლუბის გამგეობის თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. ს. ბუაჩიძე, მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა.

ამ ჟამათ ხსენებულ კლუბში გაცხოველებული კულტურული მუშაობა სწარმოებს. ჩამოყალიბებულია დრამატიული, ლიტერატურული, მუსიკალური, მღერალთა, მოჭადრაკეთა და სხვა წრეები, რომლებშიც ჩაბმულია ადგილობრივი მუშა-მოსამსახურენი და აქტიურ მუშაობას ეწევა.

ამას წინად კლუბის გამგეობამ მოიწვია მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, სადაც ქიმმა წაიკითხა ლექცია „ლოთობა და მისი მავნებლობა“-ს შესახებ. ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის და მოითხოვეს ლოთობასთან ბრძოლის ჯგუფის ჩამოყალიბება. ასეთი ჯგუფი მართლაც ჩამოყალიბდა, რომელიც ლოთობის წინააღმდეგ აწარმოებს სათანადო ბრძოლას.

აგრეთვე ჩატარებულია მოხსენება: „მომავალი ომი და სსრკ. გამხედროება“-ს შესახებ, რომლის შემდეგ ჩამოყალიბდა სამხედრო წრე და მოეწყო სამხედრო კუთხე. წრის მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს.

გარდა ამისა ეწყობა ლიტ. გასამართლებანი, თვითმოქმედების და კითხვა - პასუხის საღამოები, უჩვენებენ უფასო კინო-სურათებს და იდგმება საღამო - წარმოდგენები. კლუბთან მოწყობილია ცნობათა ბიურო, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს აძლევს რჩევა-დარიგებებს. ამუშავდა ახალგაზრდობის სექციაც, რომელიც დღემდე მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა.

საერთოდ კლუბში დღეს კულტ-განმანათლებელი მუშაობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს რამოდენიმე ნაკლი: კლუბთან არსებულ სამკითხველოს და ბიბლიოთეკის მუშაობა მოისუსტებს. სამკითხველოსათვის არ არის გამოწერილი საკმარისი ჟურნალ - გაზეთები, ბიბლიოთეკაში თითქმის ახალი ლიტერატურა სავსებით არ მოიპოვება, და რაც არის მისი მოხმარა ნაკლებია. კლუბიან არ გამოდის კედლის გაზეთი, რომელიც აუცილებელია საკლუბო მუშაობის უფრო გაჯანსაღებისათვის, არ მუშაობს აგრეთვე რადიო.

იმედია, კლუბის გამგეობა უყურადღებოთ არ დასტოვებს ამ მნიშვნელოვან დეფექტებს და ახლო მომავალში გამოასწორებს მას.

**ვ. ზამბაროდნი.**

### გაიხსნა გლეხთა მუსიკალური სკოლა

(დიდი ჯიხაიშის თემი, ქუთ. მაზრა)

ამ დღეებში მოხდა გლეხთა მუსიკალური სკოლის საზეიმო გახსნა. ეს სკოლა ქუთაისის მუსიკალური ტეხნიკუმის ფილიალური განყოფილებაა. მუსიკალური სკოლის გახსნაში დიდი შრომა მიუძღვის ქუთ. მუსიკ. ტეხნიკუმის გამგეს ი. აბაშიძეს და ტეხნიკუმის მასწავლებლებს. სკოლის გახსნისას მათი ძალებით მოეწყო კონცერტი, რომლის შემოსავალი მთლიანად გადაირიცხა სკოლის სასარგებლოდ. სკოლაში მეცადინეობა სწარმოებს სასულე ორკესტრის, როიალის და ქალ-ვაჟთა მომღერალი გუნდის სპეციალურ სკოლებში. თემის მშრომელი გლეხობა და კულტურული ძალები აღფრთოვანებით შეხვდა სკოლის გახსნას.

ჯერ-ჯერობით სასულე ორკესტრის სკოლაში მეცადინეობს 25 მოწაფე, როიალზე—20 და ქალ-ვაჟთა მომღერალ გუნდში—30.

საჭიროა ასეთ სასურველ სკოლას მიექცეს ყურადღება დახმარების მხრივ საქ. განათლების კომისარიატისაგან.

**ანძი.**

### პოლიტგანი უნდა დაგვეხმაროს

(საგარეჯოს თემი, თბ. მაზრა)

1926 წელში საგარეჯოს სახალხო თეატრს თავისი არსებობის 50 წ. შეუსრულდა. მას შემდეგ ყოველ ზაფხულის სეზონის განმავლობაში თბილ. პოლიტგანის დახმარებით თეატრის მუშაობა სათანადო სიმაღლეზე იდგა. თეატრში ბლომად იდგმებოდა რევოლიუციონური პიესები და მშრომელი გლეხობაც ბლომად ესწრებოდა წარმოდგენებს. ასეთი პიესების დადგმის ხელმძღვანელები იყვნენ თბილისის პოლიტგანის მიერ მომაგრებული პირები.

წელს საზაფხულო სეზონის დრო კარგა ხანია დადგა, საჭიროა თეატრის მუშაობის გაღრმავება, მაგრამ თბილისის პოლიტგანი არავითარ ხარჯებს არ იღებს თეატრის სასარგებლოდ.

იმედია, როგორც პოლიტგანი, ისე თბილისის აღმასკომი გაიღებს საჭირო თანხებს საგარეჯოს თეატრში საზაფხულო სეზონის ნაყოფიერად ჩატარებისათვის.

**ლევ. გარეჯელი.**

### კულტმუშაობისათვის არავინ ზრუნავს

(ბაღდათის თემი, ქუთაისის მაზრა)

სოფლად თეატრს და კედლის გაზეთებს დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელი ხალხის კულტურული დონის ამაღლების საქმეში. ისინი ჩვენი ჩამორჩენილი სოფლის ყოფა-ცხოვრების ძირიან - ფესვიანად გარდაქმნას უნდა ემსახურებოდნენ.

სამწუხაროდ ამ დანიშნულებას ოდნავადაც ვერ ასრულებს ბაღდათის თემში არსებული თეატრი და კედლის გაზეთი. კედლის გაზეთი ორკვირეულია, მაგრამ სინამდვილეში თვეში ან თვენახევარში ერთხელ ძლივს იცემა.

რაც შეეხება თეატრს, მისი შენობა აღფრთოვანებით ააგო გლეხობამ იმიტომ, რომ ეგონა დაიკმაყოფილებდა სულიერ მოთხოვნილებას. მაგრამ დრამწრე და თეატრის გამგეობა საღათას ძილით არიან შეპყრობილნი. წარმოდგენების დადგმას აქ იშვიათად შეხვდებით, იშვიათია რაიმე სახის გასამართლებაც.

დროა, როგორც თეატრის გამგეობამ და წრემ, ისე კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიამ გააცხოველონ კულტმუშაობა.

**ქვიშა.**

### გავწმინდოთ საფოსტო აპარატი

დ. საჩხერე, შორაპნის მაზრა

საჩხერის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გამგე ვალოდია ვეშაპიძე სისტემატიურად ეწევა კარტის თამაშს. ალბად ამის შედეგია, რომ რევიზიის დროს აღმოაჩნდა 260 მანეთი დანაკლისი. ვეშაპიძეს აქვს ნორმაზე მეტი ადგილ-მამული, თავის მამულში მოსდის 12 საპალნე ღვინო, აქვს რამდენიმე ოთახიანი სახლი საჩხერეში, რომლიდანაც შემოუდის საკმაო შემოსავალი. შეიძლება ითქვას, რომ ვეშაპიძე კულაკია. რა უნდა ასეთ პირს საბჭოთა დაწესებულებაში?

**იელი.**

# საქ. სახკომსაბჭოში

### მიწსახკომის ზოგიერთი საცდელ-საჩვენებელი და აგრიკულტურული დაწესებულებათა სახ. ბიუჯეტზე გადაყვანა

სახკომსაბჭომ და ეკონომსაბჭომ დაადგინა აყვანილ იქნას სახელმწიფო ბიუჯეტზე 1929—30 წ. ოქტომბრის 1-დან მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის შემდეგი დაწესებულებანი: საქართველოს ექსპერიმენტალური აგრონომიის ინსტიტუტი, თესლის ცენტრალური საკონტროლო საცდელი სადგური, ცენტრალური სასელექციო სადგური, მეხილეობა-მებოსტნეობის საცდელი სადგური, მანქანა-იარაღების შემკეთებელი ცენტრალური რესპუბლიკანური სახელოსნო და მანქანათა ნაწილების ბაზა.

### პროფტეხნიკური განათლების ფონდის განმანაწილებელი კომისია

პროფტეხნიკური ფონდის განმანაწილებელი საუწყებათაშორისო კომისია დამტკიცებულ იქნა ამხ. გ. ყურულიშვილის (თავმჯდომარე), დ. კანდელაკის, ბუაჩიძის (პროფკავშირიდან) და გ. ვაშაძის შემადგენლობით (კანდიდატი ვ. მესხი).

### სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა

წინადადება მიეცეს ყველა სამაზრო აღმასკომს მიიღონ ყოველგვარი სავალდებულო-საგანაკვეთო დაზღვევის თაობაზე საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების სისწორით ცხოვრებაში გასატარებლად, სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულ ღარიბ გლეხობისათვის კანონით გათვალისწინებული შეღავათების მინიჭებით.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს წინადადება მიეცა მიიღოს ზომები სახელმწიფო დაზღვევის კანონის ადგილობრივ პოპულიარიზაციისათვის.

### ინჟ. დიასამიძის მივლინება გერმანიაში

სახკომსაბჭომ და ეკონომსაბჭომ დააკმაყოფილა თბილისის აღმასკომის შუამდგომლობა გერმანიაში, წყალსადენის საერთაშორისო გამოფენაზე დასასწრებლად ინჟ. დიასამიძის მივლინების შესახებ.

### სამანქანო - სატრანსპორტო სადგურების მომწყობი ცენტრალური ორგანო

სახ. კომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს დადგენილებით დაარსებულ იქნა მიწადმოქმედების სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით სამანქანო -სატრაქტორო სადგურების მომწყობი და სახელმძღვანელო ცენტრალური ორგანო, რომელშიაც შევლენ წარმომადგენლები სოფლის კავშირის, წყალთა მეურნეობის სამმართველოს, კოლმეურნეობათა ცენტრის, „საქართველოს ჩაი“-ს, სას.-სამ. ბანკის და მანქანა-იარაღების საცდელი სადგურების და საბჭოთა მამულების ტრესტის წარმომადგენლები.

### ინჟ. ბ. ჭიჭინაძის მივლინება საზღვარგარეთ

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დააკმაყოფილა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შუამდგომლობა სმუსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ინჟ. ბ. ჭიჭინაძის საზღვარგარეთ მივლინების შესახებ.

### ინჟ. ბერიძის მივლინება მოსკოვში

ქიმიზაციის სრულიად საკავშირო კონფერენციაზე მივლინებულ იქნა მოსკოვში ინჟ. ბერიძე.

# ავტო-ტრანსპორტის განვითარება

საქართველოს ყველა გზატკეცილებზე მგზავრების გადაყვან-გადმოყვანას აწარმოებს „ზაკავტოპრომტორგი“ გარდა ზოგიერთი— კერძო მანქანებისა.

საკურორტო სეზონის დადგომასთან ერთად გაიზარდა მგზავრების მიმოსვლა. „ზაკავტოპრომტორგს“ დღემდე 309 მანქანა ჰყავს, რითაც მთელი 100 პროცენტით მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეუძლია.

აღნიშნულ რიცხვიდან 78 ავტო-მანქანა მუშაობს თბილისს-მანგლისს და კავკავს შუა.

ბათომის განყოფილების განკარგულებაში 40 მანქანა, აფხაზეთის განყოფილებას—35 მანქანა ყავს. დანარჩენი მანქანები განაწილებულია სხვა 31 განყოფილებებს შორის.

1929—30 საოპერაციო წლისათვის „ზაკავპრომტორგი“-ს გამგეობას გადაწყვეტილი აქვს შეიძინოს სხვადასხვა სისტემის ავტომანქანები, როგორც სამგზავრო (ავტობუსები) ისე საბარგო.

ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ავტო-მანქანების შესაძენად საჭირო თანხების რაოდენობა განსაზღვრულია 1.046.000 მანეთით.

# რა ხდება ადგილებზე

### ამხ. მიხა ცხაკაია და ს. თოდრია ახალციხის მაზრაში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**აბასთუმანი,** 28 ივნისი. 27 ივნისს ამხ. მიხა ცხაკაიამ და ს. თოდრიამ დაათვალიერეს ახალციხის გამსახლი, საიდანაც გაანთავისუფლეს მცირე დამნაშავე 18 მუშა და გლეხი. გარდა ამისა დაათვალიერეს საბავშო სახლი თავისი სახელოსნოებით და სხვა დაწესებულებებით. შემდეგ ამხ. ცხაკაიამ და თოდრიამ დაათვალიერეს სუხლისის და კარხანის თემები. აღნიშნული თემების მოსახლეობამ ამხ. მიხა ცხაკაიას და თოდრიას სთხოვეს მიიღონ ზომები მიწადმოწყობის დასაჩქარებლად.

სოფელ ბენარაში დათვალიერებული იქნა საბჭოთა მეურნეობა, რომელიც კარგად არის მოწყობილი და მომგებიანია.

საღამოზე ამხ. მიხა ცხაკაია და ს. თოდრია ჩავიდნენ აბასთუმანში. გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა საგანგებო კრება, რომელზედაც საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მიხა ცხაკაიამ. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ამხ. ს. თოდრია. ამხ. მიხა ცხაკაიას და ს. თოდრიას აუდიტორიამ გაუმართა მხურვალე ოვაციები.

### მოხალისე კორესპონდენტები

**ქუთაისი,** 27 ივნისი. მაზრის ნათესებისა და მოსავლის პირის შესახებ რეგულიარული ცნობების მიწოდების მიზნით, ქუთაისის აღმასკომის სტატისტიკური განყოფილების გარშემო გაერთიანდა ასი მოხალისე კორესპონდენტზე მეტი. კორესპონდენტებს შეადგენენ, უმთავრესად, მასწავლებლები, გლეხი - აქტივისტები და მაზრის სხვადასხვა სათემო და სასოფლო ორგანიზაციების მუშაკები. მოხალისე კორესპონდენტები სტატისტიკურ განყოფილებას რეგულიარულად აწვდიან ცნობებს მოსავლის პირისა და ნათესის მდგომარეობის შესახებ მაზრაში. (ადს)

### პარტიის წმენდა

**ფოთი,** 27 ივნისი. ფოთში პარტიის წმენდა დაიწყო 23 ივნისს მტვირთავების უჯრედის შემოწმებით. წმენდაზე უპარტიო მასის მისაზიდად, შემმოწმებელმა კომისიამ საწარმოებს აცნობა გასაწმენდი უჯრედის სახელწოდება და გაწმენდის დრო. მუშაობს ერთი შემმოწმებელი კომისია. წმენდის დამთავრება განზრახულია 30 ივლისს. (ადს)

### მასწავლებელთა გამოშვება

**ონი,** 27 ივნისი. ონის პედაგოგიურმა ტეხნიკუმმა გამოუშვა 20 მასწავლებელი, აქედან 8 ქალია. კურსდამთავრებულნი საექსკურსიოდ გაემგზავრნენ ამიერ - კავკასიის გასაცნობად. (ადს)

### მამაპაპური წესით

**წითელი წყარო,** 27 ივნისი. თუქურმიშაში სათიბი მინდვრების გაყოფა ისევ მამაპაპური წესით ხდება. თიბვის დაწყებამდე მთიბავები სოფლის ბოლოში იკრიბებიან — ზოგი ცხენით, ზოგი ფეხით. ნიშნის მიცემის შემდეგ ყველა ქირაქის მინდვრისაკენ მიეშურება. ჩვეულების მიხედვით, ვინც ადრე მივა და საცა თავის ცელს დააგდებს, იქ დაიწყებს თიბვას. საუკეთესო ადგილები კულაკებს ხვდებოდათ. ეს ჩვეულება დღესაც არსებობს. (ადს)

### არაჩვეულებრივი მოსავალი

**წითელი წყარო,** 27 ივნისი. წელს თუქურმიშის რაიონში და შირაქში პურის არაჩვეულებრივი მოსავალია. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 1 ნახ. ტონაზე მეტს მოელიან. არის ისეთი ადგილები, საცა 3 ტონასა და მეტსაც მოელიან. ქერს უკვე მკიან. პური თითქმის მზად არის. სიმინდსა და მზესუმზირას 4 ბალად აფასებენ. (ადს )

# ჩვენს აგარაკებზე

## ქობულეთი

თუმცა ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც იწყებს ქობულეთი თავის სააგარაკო სეზონს. ქვედა ბაზარი გამოცოცხლებულია. აგარაკის მთელ სიგრძეზე თანდათან იღება უსეზონობის დროს დაკეტილი კოოპერატიული და კერძო დუქნები. მუშაობს უკვე რამოდენიმე სასადილო. კურორტთა სამმართველოს მუშაკთა ინიციატივით ორ-სამ დღეში უნდა გაიხსნას კიდევ ახალი სავაჭრო წერტები. მოაგარაკენი ნელ-ნელა იკრიბებიან. ამინდი შესანიშნავი სდგას.

# ამიერ-კავკასიის ს.მ.უ.ს. ორგანიზაცია და მუშაობა

ამიერ-კავკასიის ს.მ.უ.ს. თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გულოიანმა ამიერ-კავკასიის ს.მ.უ.ს. მუშაობის შესახებ განაცხადა:

— საორგანიზაციო პერიოდის განმავლობაში, რომელშიაც ფაქტიურად ეხლაც იმყოფება ამიერ-კავკ. ს.მ.უ. საბჭო, უკვე დასრულებულია და მუშაობას შეუდგნენ საგეგმო-ეკონომიური სამმართველო, ადმინისტრატიულ-საფინანსო სამმართველო და დაიწყო სამეცნიერო-ტეხნიკურ სამმართველოს ორგანიზაცია, რომლის ზოგიერთი განყოფილებები (რაციონალიზაციის განყოფილება, გამოგონებათა ბიურო) უკვე მუშაობენ.

საგეგმო-ეკონომიური სამმართველო ამჟამად ადგენს ამიერ-კავკ. მრეწველობის საკონტროლო ციფრებს 1929—30 წლისათვის. უკვე დამუშავებულია და შესასრულებლად გადაეცა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს დირექტივები საკონტროლო ციფრების შედგენის შესახებ. უახლოესი მნიშვნელოვანი ამოცანაა სამეცნიერო-ტეხნიკურ სამმართველოს გეოლოგიური და სააღმშენებლო კომიტეტების მოწყობა. აღნიშნულ სამმართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია იქნება აღმშენებლობის გაუმჯობესება და მოწესრიგება ამიერ-კავკ. რესპუბლიკების მრეწველობაში.

სამეცნიერო-ტეხნიკური სამმართველო უკვე შეუდგა მუშაობას ამიერ-კავკასიის ზოგიერთ დაწესებულებების (ამიერ-კავკ. ზომა-წონის პალატა, გეოდეზიური სამმართველო, ამიერ-კავკ. მებამბეობის კომიტეტი და სხვა) შესაერთებლად ამიერ-კავკ. ს.მ.უ. საბჭოს აპარატთან.

დაარსებულია აგრეთვე შინა-მრეწველობის კომიტეტი, რომელიც შეუდგება ამიერ-კავკ. შინამრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის მოწესრიგებას.

ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის საკითხებს დაამუშავებს ენერგეტიკის ბიურო, რომელიც ახლო ხანში იქნება ჩამოყალიბებული.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული კაპიტალურ მშენებლობას სამთო მრეწველობაში, სააღმშენებლო მასალების და საექსპორტო მნიშვნელობის მრეწველობას. ამასთანავე დიდი მუშაობა იქნება ჩატარებული სამეცნიერო-საგამოკვლეო სამუშაოების დარგში, რისთვისაც უკვე დაწყებულია ხუთწლიანი გეგმის შედგენა. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ს.მ.უ. საბჭოებთან და აგრეთვე საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოსთან უკვე დამყარებულია საჭირო კონტაქტი. ამიერ-კავკ. ს.მ.უ.ს. შეუდგა იმ ღონისძიებების შესწავლა-დამუშავებას, რომელთა საშუალებითაც გამოსწორებული უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სამრეწველო მშენებლობაში დაშვებული ზოგიერთი შეცდომები.

მომავალ სამეურნეო წლის დასაწყისისათვის ამიერ-კავკ. ს.მ.უ.ს. საბოლოოდ ჩამოყალიბებული იქნება და შესძლებს სავსებით გაუძღვეს ამიერ-კავკასიის მრეწველობის დაგეგმვა-მოწესრიგებას.

# საქართველოს საბინაო კოოპერაცია

(ყრილობის გამო)

საბჭოთა კავშირში მომქმედ კოოპერატიულ სისტემათა შორის საბინაო კოოპერაცია ახალი სისტემაა, რომელიც ყოველწლიურად იზრდება და აფართოებს თავის ხვედრითი წონას მთლიან სახალხო მეურნეობაში. თუ 1923 წელს საბინაო კოოპერაციამ შესძლო მხოლოდ ერთი სახლის (5 ოთახით და 2 ბინით) აგება, რომლის ღირებულებაც არ აღემატებოდა 8.300 მანეთს,—1928 წელში მან ააგო 18 დიდი სახლი (126 ბინით და 369 ოთახით), რაზედაც დაიხარჯა 1.383.500 მანეთი. საბინაო კოოპერაციის ხვედრითი წონა ძველ საბინაო მშენებლობაში ამჟამად უკვე უდრის 24 პროცენტს (1927 — 28 წელში საბინაო მშენებლობაზე, მთელ საქართველოში დაიხარჯა სულ 5. 785.823 მანეთი, აქედან საბინაო კოოპერაციის მიერ დახარჯულია 1.374.760 მანეთი).

საბინაო კოოპერაციის საქმიანობა მიმდინარეობს ორი მიმართულებით: საბინაო - საამშენებლო ამხანაგობები და საბინაო საიჯარო ამხანაგობები. 1928 წლის 1-ლ იანვრისათვის საბინაო კავშირში გაერთიანებული იყო 32 საბინაო - საამშენებლო ამხანაგობა 1.087 წევრით, რომელთა საპაიო თანხა უდრიდა 152.500 მანეთს, ხოლო ნასესხები თანხები 1.881.500 მანეთს. 1929 წლის 1-ლ იანვრისათვის წვრილი ამხანაგობების გაერთიანების გამო ამხანაგობათა რიცხვი შემცირდა 24-მდე, ხოლო წევრთა რიცხვი გაიზარდა 1300 კაცამდე, საპაიო თანხა 341.800 მანეთამდე და ნასესხები თანხა 2.311.600 მანეთამდე.

საბინაო - საამშენებლო ამხანაგობების წევრთა შორის მუშების ხვედრითი წონა თანდათანობით იზრდება. 1928 წლის 1 იანვრისათვის მუშები შეადგენდნენ წევრთა მთელი რაოდენობის 52 პროცენტს, 1929 წლის 1-ლ იანვრისთვის კი —54 პროცენტს.

საბინაო - საიჯარო ამხანაგობების რაოდენობა 1929 წლის 1 იანვრისთვის უდრიდა 62-ს (აქედან პროვინციაში—3 ამხანაგობა). მათ განკარგულებაში იყო. 1.686 სახლი. საბინაო-საიჯარო ამხანაგობათა რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა თბილისში ჩატარებულ სახლების მუნიციპალიზაციის შემდეგ, ვინაიდან მუნიციპალიზაციაქმნილი სახლები მთლიანად გადაეცა საბინაო კოოპერაციას. მართალია საიჯარო ამხანაგობები უფრო სწრაფად გაიზარდნენ, მაგრამ საბინაო კოოპერაციის ამ ნაწილს აქვს თავისი დეფექტები. სათანადო სიმაღლეზე ვერა სდგას საპაიო თანხის აკრეფის საქმე. საპაიო გადასახადი განსაზღვრულია 10 მანეთით და ამ თანხიდან ჯერ-ჯერობით აკრეფილია წევრზე მხოლოდ 2 მან და 80 კაპ. ასევე მოისუსტებს ბინის ქირების აკრეფის საქმეც. 1928 წლის 1 იანვრისათვის ბინის ქირების დავალიანება უდრიდა 119.374 მანეთს, 1929 წლის 1 იანვრისათვის კი-238.166 მანეთს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საიჯარო კოოპ. ამხანაგობები გაცილებით უკეთ უვლიან სახლებს, ვიდრე თბილისის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველო. 1928 წლის განმავლობაში საიჯარო კოოპ. ამხანაგობებმა სახლების შეკეთებაზე დაიხარჯა 240 მილიონი მანეთი. ჩვეულებრივ პირობებში ამ ღირებულების შეკეთება სავსებით საკმარისია წლის განმავლობაში, მაგრამ ვინაიდან ეს სახლები შეუკეთებლად იყვნენ მიტოვებული 1913 წლის შემდეგ მათ ესაჭიროებათ დიდი კაპიტალური შეკეთება. საიჯარო კოოპ. ამხანაგობების წლიური შემოსავალი უდრის 1.930.014 მანეთს აქედან წლიური არა საწარმოო ხარჯები უდრის 1.329.320 მანეთს, ხოლო სახლების აღდგენაზე წლიურად შეიძლება დაიხარჯოს—662.000 მანეთი. საბინაო - საიჯარო ამხანაგობებში შექმნილია კულტ.-ყოფაცხოვრების ფონდი, რომელიც ეძლევა კულტურული მუშაობის წარმოების საშუალებას. ამჟამად საიჯარო ამხანაგობებში მოწყობილია 11 წითელი კუთხე, 4 საზოგადოებრივი სამრეცხაო, 2 ჭრა-კერვის სკოლა, უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები, 6 საბავშო მოედანი და სხვ.

საბინაო კოოპერატიული ამხანაგობების ორივე სახე მთელი თავის არსებობით ემსახურებიან ჩვენი ყოფა-ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის საქმეს, როგორც ზევით ვთქვით საბინაო - საამშენებლო ამხანაგობების ხვედრითი წონა საბინაო მშენებლობაში თანდათან იზრდება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობა საბინაო კოოპერაციას უფრო იაფი უჯდება, ვიდრე სხვა რომელიმე მშენებელ ორგანიზაციას (ერთი კუბიკური მეტრის აშენება მრეწველობას გასულ წელს დაუჯდა 22 მან. და 30 კაპ., თბილისის აღმასკომს — 18 მან. და 81 კაპ. საბინაო კოოპერაციას კი 17 მან.) ყველა ეს ფაქტები და ის გარემოება, რომ კოოპერატიულ საბინაო ამხანაგობებში ფართო გასაქანი ეძლევა მუშათა თვითმოქმედებას, იმისი საფუძველია, რომ საბინაო კოოპერაცია ხელისუფლების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით გაფართოვდება, თანაბრად გაიშლება მთელს რესპუბლიკაში და ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში დაიჭერს საპატიო ადგილს.

**ნ.**

# საოჯახო ქონების სახელმწიფო დაზღვევა

საქართველოში სახელმწიფო დაზღვევა შემოღებული იქნა 1923 წ. პირველად იგი ცენტრალურ და სამაზრო ქალაქებში გავრცელდა, შემდეგ კი თანდათანობით გატარდა მთელს რესპუბლიკაში. სახელმწიფო დაზღვევა ჩვენში სავალდებულო და ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს და მიზნათ ისახავს ოთხ მთავარ ამოცანას: 1) სასოფლო მეურნეობის 2) ნაგებობების, ფაბრიკა-ქარხნების, ტრანსპორტის და ტვირთების, 3) ადამიანთა სიცოცხლის და 4) საფინანსო დარგში მომუშავეთა საგარანტიო დაზღვევას.

ამ წერილში მე მინდა შევეხო ცეცხლისაგან დაზღვევის წესს, სახელდობრ, საოჯახო მოძრავი ქონების დაზღვევას ხანძრის სტიქიისაგან, დაზღვევის ეს სახე ნებაყოფლობითია და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით მუშა-მოსამსახურეებისათვის. საოჯახო მოძრავი ქონების ცეცხლისაგან დაზღვევა მიზნათ ისახავს მოსახლეობის და მუშა მოსამსახურეთა უზრუნველყოფას ხანძრით გამოწვეული ზარალისაგან. ცნობილია, რომ ჩვენში ხანძართან ბრძოლის საქმე ვერაა დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. საკმარისია გავიხსენოთ ქუთაისის დიდი ხანძარი, რომელმაც გაანადგურა 3.000 ადამიანის საცხოვრებელი ბინა და საოჯახო ქონება. სოფლებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იქ ხანძარი ანადგურებს ყველაფერს, რაც კი ადამიანს აბადია.

ერთად ერთი რადიკალური საშუალება, რომელიც შველის მოქალაქეებს ხანძრის სტიქიისაგან დაზარალების დროს, ეს არის სახელმწიფო დაზღვევა. მხოლოდ საჭიროა მოსახლეობამ გაიღოს მცირედი თანხა ამ საქმისათვის.

საოჯახო მოძრავი ნივთების დაზღვევა ხდება შემდეგ პირობებში: ყოველ 1.000 მანეთად დაზღვეულ ავეჯზე, თბილისში და ბათომში წლიურად ყველა მოქალაქეები იხდიან 80 კაპ., ქუთაისში, ფოთში და სოხუმში ამავე ოდენობით დაზღვეულ ავეჯზე იხდიან 1 მან. 60 კაპ. საქართველოს დანარჩენ ადგილებში—1—50 კაპ. კავშირის წევრთათვის, სამხედრო მოსამსახურეებისათვის და პენსიონერებისათვის დაწესებულია შეღავათები — 20 პროც. რაოდენობით, გლეხობისათვის კი დაწესებულია 20 პროცენტი შეღავათი 500 მანეთის ფარგლებში.

ამგვარი დაზღვევისათვის საჭიროა მოქალაქემ წარადგინოს სახდაზღვევის ორგანოს დასაზღვევი ნივთების სია.

არსებობს საოჯახო ქონების დაზღვევის მარტივი წესიც, რომელიც შემოღებულია მარტო ქ. თბილისში და ბათომში. ყველა მოქალაქეს შეუძლია დააზღვიოს საოჯახო ნივთები ყოველგვარი აღწერისა და სიის წარდგენის გარეშე, დაზღვევის ეს წესი მარტოხელა პირისათვის ითვალისწინებს არა უმეტეს 1.000 მ. ნივთების დაზღვევას, ოჯახიანი პირისათვის—2.000 მანეთისას. დასაზღვევ გადასახადათ ყოველ 1.000 მანეთზე წლიწადში კავშირის წევრებისათვის, სამხედრო მოსამსახურეებისათვის და პენსიონერებისათვის დაწესებულია 1 მ. და 20 კ., დანარჩენ მოქალაქეებისათვის—1 მან. 50 კაპ..

უნდა აღინიშნოს, რომ დაზღვევის ამ სახის გავრცელება ძალზე მოისუსტებს მთელს საქართველოში, რაიც აიხსნება იმით, რაიც მოსახლეობის ფართო მასები, განსაკუთრებით კავშირის წევრები, მაკლებათაა გაცნობილი საოჯახო მოძრავი ქონების დაზღვევის მნიშვნელობასთან. ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, დაზღვევის სარგებლობა ფართოდ უნდა გავაცნოთ კავშირის წევრებს და მშრომელ-გლეხობას. ამ მუშაობაში სახდაზღვევის ორგანოებს საჭირო მატერიალური დახმარება გაუწიონ პროფკავშირებმა, გლეხკომებმა, კომკავშირმა, მასწავლებლობამ და სოფლად მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციებმა.

**შ. პაიჭაძე.**

# თავდაცვის კვირეულისათვის

გუშინ ამხ. ვ. გიორგაძის თავმჯდომარეობით შესდგა საქ. თავდაცვა - ავიაქიმის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა საკითხი თავდაცვის მესამე კვირეულის ჩატარების შესახებ.

პრეზიდიუმის დადგენილებით თავდაცვის კვირეული ჩატარებული იქნება საქართველოში 21 ივლისიდან 28 ივლისამდე. იმ შემთხვევაში, თუ საკავშირო ავიაქიმის საბჭო შესცვლის კვირეულის ჩატარების ვადას, ამის შესახებ დროზე ეცნობება ავიაქიმის ორგანიზაციებს, მხოლოდ ამ გარემოებამ არ უნდა დააბრკოლოს სამზადისი კვირეულისათვის.

კვირეული გამოყენებული იქნება თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საავიტაციო-ორგანიზაციულ და აღმზრდელობითი მუშაობის განსამტკიცებლად; ამასთანავე ყურადღება მიექცევა სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის, ქიმიურ და საავიაციო მრეწველობის განვითარება-განმტკიცებისათვის ხელის შეწყობის გაძლიერებას და საზოგადოების რიგებში ახალი წევრების მიზიდვას.

კვირეულის განმავლობაში მოეწყობა მოხსენებები კვირეულის მიზნებისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის ირგვლივ. მოხსენებებისათვის ფართოდ იქნება გამოყენებული რადიო.

ქართულ და რუსულ ენაზე გამოცემული იქნება სპეციალური მხატვრული პლაკატები და ლოზუნგები. კვირეულის დროს გამოვა ჟურნალ „ავიაქიმელი“-ს სპეციალური ნომერი.

როგორც თბილისში, ისე ადგილებზე გაიმართება სამხედრო პროპაგანდის საღამოები. საქ. ავიაქიმს დაევალა მოკლე ხანში შეადგინოს და დაუგზავნოს ადგილებს საღამოს პროგრამა. იმ ადგილებში, სადაც კი შესაძლებელი იქნება, მოეწყობა „ქიმიური ნათლობა“, ავიაქიმელების გატარება მხამიან გაზებით სავსე კამერებში. ადგილებზე ჩატარდება შაბათობა დასაფრენი მოედნების მოსაწყობად.

კვირეულის დროს თბილისში მოეწყობა მოდელების შეჯიბრება სრ. საქართველოს შეჯიბრება სროლაში. ავიაქიმის ფინანსიური მდგომარეობის გასაძლიერებლად კვირეულის დროს იწარმოებს ფულების შეგროვება ყუთებით. პრეზიდიუმმა დაადგინა სთხოვოს საქ. ცაკს, რათა გამოცემული იქნეს განკარგულება რესტორანების, თეატრების, კინოების, ლოტოსა და სხვა გასართობების დასაბეგვრად (10 პროცენტით) ავიაქიმის სასარგებლოდ.

ავიაქიმის პრეზიდიუმმა გამოჰყო თავდაცვის კვირეულის ჩამტარებელი ცენტრალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), ვ. გიორგაძე, ს. ბუაჩიძე, ყუფუნაშვილი, ბ. მაჩაიძე, ჯავახიძე, გეგეშიძე, პატარაია (№ ქართ. დივიზია), ეგიკოვი (ა.-კ. ავიაქიმი), ბელოვი (თბილისის ავიაქიმი), ჩხარტიშვილი (პოლიტგანი), ბოხუა (ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო), დოინჯიშვილი და იაგნეტინსკი.

# დავეხმაროთ საბჭ. კავშირის ინდუსტრიალიზაციას

### პროფკავშირების მონაწილეობა ობლიგაციების შენახვის კამპანიაში

საქ. პროფსაბჭომ მოახდინა გამოკვლევა იმისა, თუ რამდენათ შეასრულეს პროფკავშირებმა ს.პ.კ.ს. დირექტივა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების შენახვის კამპანიის ჩატარების შესახებ. გამოირკვა, რომ მთელ რიგ პროფორგანიზაციებს ეს დირექტივა სულ არ გაუტარებიათ ცხოვრებაში, მეორე ნაწილი კი კაზიონურად მიუდგა საკითხს და დაკმაყოფილდა მხოლოდ ცირკულიარების გაგზავნით. მხოლოდ რამოდენიმე ორგანიზაციამ შეიგნო აღნიშნული დირექტივის განხორციელების მნიშვნელობა და აუცილებლობა და საფუძვლიანად დამუშავა იგი თავის აქტივის და მის მიერ გაერთიანებულ პროფკავშირის წევრთა კრებებზე. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ამ კამპანიას მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში მოაქვს სასურველი შედეგები და ობლიგაციების გაყიდვა ან დაგირავება მინიმუმამდე მცირდება.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა კატეგორიული წინადადება მისცა ყველა პროფორგანიზაციებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ აღნიშნული კამპანიის ჩატარებას და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მას.

პროფკავშირებმა უნდა განუმარტონ მასებს, რომ ობლიგაციების შენახვაზე ბევრად არის დამოკიდებული კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოების გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და მისი კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ობლიგაციების შენახვის პრაქტიკული ღონისძიების სახით ურჩევს პროფორგანიზაციებს ობლიგაციების კოლექტიურად შენახვას ფინსახკომის ორგანოებში; ასეთი გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

ფაბ-ქარხ-ადგილკომებმა და სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობ კომისიებმა თვალყური უნდა ადევნონ ასეთი დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას.

### არ გავყიდით ობლიგაციებს

დეპოს მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებაზე 27 ივნისს სახელმწიფო სესხების შესახებ მოხსენება გააკეთა ა.-კ. ფინსახკომის წარმომადგენელმა ამხ. მაშინმა. მომხსენებელს მისცეს შეკითხვები სესხების ტეხნიკის შესახებ. დასასრულ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „მუშა-მოსამსახურეთა კეთილდღეობის ზრდა საბჭოთა კავშირში დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელებაზე, რაც შესაძლო იქნება იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებას განკარგულებაში ექნება საჭირო სახსრები. ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ, რომ არ გავყიდით სესხის ობლიგაციებს და კოლექტიურად შევინახავთ მათ რომელიმე საკრედიტო დაწესებულებაში“.

### ობლიგაციებს ინახავენ კოლექტიურად

რკ. გზ. ვაგონების პარკის მუშათა საერთო კრებამ მოისმინა ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელ ამხ. ასათიანის მოხსენება სახელმწიფო სესხების მიზნების შესახებ და დაადგინა უკიდურეს გაჭირვებამდე არ გაჰყიდონ სესხის ობლიგაციები, რომლებიც შენახული უნდა იქნან კოლექტიურად რომელიმე საკრედიტო დაწესებულებაში.

### კახეთის და ბორჩალოს მაზრებში კამპანია სუსტად მიმდინარეობს

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალიუტო სამმართველოს უფროსმა ამხ. შ. ქოიავამ დაიარა კახეთის და ბორჩალოს მაზრები, სადაც გაეცნო სესხის გასახანგრძლივებლად წარმოებულ კამპანიის მსვლელობას. ამის შესახებ ამხ. ქოიავამ შემდეგი აცნობა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილებს მიეცათ არა ერთი და ორი წინადადება ფართოდ გაეშალათ ახსნა-განმარტებითი კამპანია,—ბორჩალოსა და კახეთის მაზრაში აქამდე სრულიად არაფერი არ გაუკეთებიათ. ბორჩალოს მაზრაში სამაზრო აღმასკომის ფინგანყოფილებას ადგილებისათვის დაუგზავნია ცირკულიარი და ამით დაუმთავრებია თავისი საქმიანობა. ხოლო კახეთის მაზრის სამაზრო აღმასკომის ფინგანყოფილებას აქამდე ვერ შეუგნია ახსნა-განმარტების კამპანიის მნიშვნელობა და გამოუტანია დადგენილება, რომ კამპანია სესხების გასახანგრძლივებლად ჩაატაროს მას შემდეგ, როდესაც დამთავრდება სას.-სამ. გადასახადის კამპანია. თანახმად საკავშირო სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა, 1 ივნისიდან ხმარებაში შედის გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები (შეიძლება მათი დაგირავება, გაყიდვა, ეს ობლიგაციები მიიღება სას.-სამ. გადასახადის ანგარიშში და სხვ).. როგორც ეკონომიურად ძლიერ რაიონებში ბორჩალოსა და კახეთის მაზრებში ეს სესხი გასაღებულია დიდი რაოდენობით და ადგილობრივ ორგანოებს არაფერი არ გაუკეთებიათ რომ მოსახლეობისათვის გაეცნოთ ამ სესხით სარგებლობის უპირატესობანი, რაც არ შეიძლება ნაკლად არ ჩაეთვალოს ჩვენ სამაზრო მუშაკებს.

მიღებულია ზომები ამ მაზრებში კამპანიის გასაცხოველებლად. მოეწყო ადგილობრივი მუშაკების ფართო თათბირები და შემუშავებული იქნა კამპანიის წარმოების პრაქტიკული გეგმა. ადგილობრივ ფინორგანოებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ შეუდგენ კამპანიის გეგმის განხორციელებას და კამპანიის მსვლელობის შესახებ სისტემატიურად მოაწოდონ ცნობები საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატს.

# კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის ათი წლისთავი

ა.-წ. 6 ივლისს კომმეურნეობის მუშაკთა კავშირი დღესასწაულობს თავის არსებობის 10 წლის თავს.

დღესასწაულის ჩასატარებლად საქ. კომ. მეურნეობის მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობამ გამოყო კომისია. კომისიის 1-ლ საორგანიზაციო სხდომაზე კომისიის თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ბ. მაჩაიძე, მოადგილეთ ამხ. გ. შახნაზაროვი, გამოყოფილია აგრეთვე ქ.-კომისიები: კომუნალურ მეურნეობის მუშების გამოგონებათა გამოფენის მოსაწყობად, კულტურულ სამხატვრო კუთხის გამოფენის მოსაწყობათ და სარედაქციო ქ.-კომისია.

საიუბილეო საღამო ჩატარებული იქნება ა.-წ. 6 ივლისს ტრამვაის მუშათა კლუბში, საღამოზე კავშირის ისტორიის ირგვლივ მოხსენებას გააკეთებენ ამხ. თავდგირიძე და მარიამიძე, აგრეთვე ძველი მუშები გამოვლენ თავიანთი მოგონებებით.

დასასრულ, გაიმართება კავშირის სამხატვრო წრეების გამოსვლა ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე.

# თამბაქოს მრეწველობა ამიერ-კავკასიაში

ა.-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოში განხილულ იქნა ა.-კავკასიის თამბაქოს მრეწველობის საკითხი წარმოების რაციონალიზაციისა და თვითღირებულების შემცირების ღონისძიებათა თვალსაზრისით ა.-კ. სახ. კომ. საბჭოს პლენუმმა მოისმინა საქართველოს და აზერბეიჯანის ს. მ. უ. საბჭოების მოხსენებანი და ა.-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს კომისიის თანამოხსენება თამბაქოს მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შესახებ.

1928 — 29 წლის პირველ კვარტალში, 1927 — 28 წლის კვარტალთან შედარებით, თამბაქოს მრეწველობის მდგომარეობის მთავარმა მაჩვენებელმა თვალსაჩინო გაუმჯობესება დაგვანახვეს. მაგრამ ეს მაჩვენებლები გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს მაინც ჩამორჩებიან. მაგალითად, ერთი მუშის საშუალო ნამუშევარი საქართველოს თამბაქოს ტრესტში გაიზარდა მხოლოდ 13 პროცენტით, გათვალისწინებული 36,7 პროცენტის ნაცვლად.

საფაბრიკო - საქარხნო თვითღირებულება შემცირდა საქართველოს თამბაქოს ტრესტში 1,1 პროცენტით, 5,1 პროცენტის ნაცვლად, აზერბეიჯანში — 2,2 პროცენტით, 6,5 პროცენტის ნაცვლად.

ა.-კავკასიის სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა საქართველოს და აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭოებს — დაავალონ სახ. მეურ. უმაღლ. საბჭოებს, რათა მათ გააძლიერონ მუშაობა წარმოების შემდგომი რაციონალიზაციისათვის და საამისოდ გამოიყენონ ყველა არსებული შესაძლებლობა. ა.-კავკასიის სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ა.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან, ა.-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატთან და საქართველოს სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოსთან ერთად, ერთი თვის განმავლობაში დაამუშავებს ქუთაისის თამბაქოს ფაბრიკის შემდგომი არსებობის ეკონომიური მიზანშეწონილობის საკითხს, მხედველობაში მიიღებს რა თბილისის ფაბრიკების არა სრულ დატვირთვას, და სათანადო მოხსენებას წარუდგენს საქართველოს და ა.-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოებს.

აზერბეიჯანის სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭომ, აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად, უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად შესძლებს აზერბეიჯანის თამბაქოს ტრესტი იმ დირექტივის შესრულებას, რომელიც შეეხება, ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირებას. ამიერ - კავკასიის წარმომადგენლობასაც მიეცა დირექტივა მოახდინოს ა.-კავკასიის თამბაქოს ტრესტებისათვის მოწყობილებისა და კარგი მასალის მიწოდების საქმის რაციონალიზაცია. გარდა ამისა, ა.-კავკასიის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინადადება მიეცა — გამოარკვიოს, თუ რამდენად არის შესაძლებელი მთელი თამბაქოს მრეწველობის წარმოების კონცენტრაცია საქართველოს და აზერბეიჯანის საწარმოებში. (ადს).

# პენსიონერების წმენდა

საკავშირო სოცდაზღვევის კომიტეტის დადგენილებით ახლო ხანში დაიწყება პენსიონერთა წმენდა.

საქ. სოცდაზღვევის მთავარი კომიტეტი უკვე შეუდგა სამზადის მუშაობას წმენდის ჩასატარებლად.

პენსიონერთა შემადგენლობიდან გამორიცხული იქნებიან ყველა ისინი, რომლებიც თავიანთი წარსული მოქმედებით და მდგომარეობით ეკუთვნიან საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო ელემენტებს.

წმენდის ჩასატარებლად საქ. სოცდაზღვევის მთ. კომიტეტთან დაარსებულია ცენტრალური კომისია, ასეთივე კომისიები დაარსებული იქნება ადგილებზე.

წმენდისთვის მოსამზადებელი მუშაობა ჩატარებული იქნება 1-ლ ოქტომბრამდე. ამ ხნის განმავლობაში მთელ რესპუბლიკაში ჩატარდება ახსნა-განმარტებითი კამპანია წმენდის მნიშვნელობის შესახებ. ამასთანავე მოეწყობა საუბრები და სხ. კამპანიის მიზანია მშრომელთა ფართო მასამ აქტიური დახმარება გაუწიოს გამწმენდ კომისიებს და ხელი შეუწყონ მათ მუშაობას.

ყველა მშრომელი და პატიოსანი მოქალაქე ვალდებულია კომისიას აცნობოს ამა თუ იმ პირის შესახებ, რომელიც თავის წარსულის მიხედვით არ შეიძლება იყოს სახელმწიფო უზრუნველყოფაზე და რომელიც პენსიას იღებს დაუმსახურებლად.

ცნობების გადმოგზავნის და შეკრების გაადვილების მიზნით, საჭირო ადგილებზე, შესაფერ დაწესებულებებში, კლუბებში და ორგანიზაციებში მოეწყობა სპეციალური ყუთები.

მასალების დაგროვების შემდეგ დაიწყება პენსიონერთა წმენდა.

# ფარმაცევტ-ტეხნიკოსთა პირველი გამოშვება

20 ივნისს, თბილისის ფარმაცევტიულ ტეხნიკუმში მოხდა ფარმაცევტ - ტეხნიკოსთა 1-ლი საზეიმო გამოშვება.

ფარმაცევტიული ტეხნიკუმის რუსული ქიმიური განყოფილება დაამთავრეს გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების და პროექტების დაცვით შემდეგმა პირებმა:

გალინა ასათიანმა, მარიამ ამირბეგიშვილმა, მარიამ ბეჟაშვილმა, ლიუბა ბრიანსკაიამ, თამარ დადიანმა, მარიამ დუგლაძემ, ირაკლი ექვთიმიშვილმა, ქეთევან იაშვილმა, ლიუბა იმნაძემ, ტატიანა კაციტაძემ, პროკოფი კაციტაძემ, დავით კაჭკაჭაშვილმა, თამარ კოშკაძემ, მარიამ ლეჟავამ, ნიკოლოზ ნიკურაძემ, თამარ ნოდიამ, თამარ სამხარაძემ, მიხეილ ქათამაძემ, კირილე ფურცელაძემ, ზაბილინა ყრუაშვილმა, ანგელინა შიოშვილმა, გრიგოლ ჩოჩიამ, ნინო ჩერედნიჩენკომ, მარიამ ჭყონიამ, ბარნაბ ხუციშვილმა, მარიამ ხუციშვილმა, თამარ ხუციშვილმა, ოლღა ხუჭუამ, ელენე ჯანელიძემ.

ზემოთაღნიშნულ პირებს მიენიჭათ ფარმაცევტ - ტეხნიკოსთა სახელწოდება.

გარდა ამისა, ქიმიკოს - ტეხნიკოსთა სახელწოდება მიენიჭა შემდეგ პირებს:

ტაისა ალექსანდროვას, ლევან ბაბიევს, ლიდია ბორისენკოს, გიორგი ბრანდს, არუთინ გასპაროვს, ტატიანა გროსმანს, გიორგი კოსტანიანს, ტატიანა ლიაშენკოს, ვლადიმერ მარტინოვს, ვალენტინ მაცნევს, გალინა პავლენკოს, ტატიანა პანფეროვს, კონსტანტინე რონინიშვილს, მარგალიტა სარქისოვას, ვალერიან სიროვს, ოლღა სოლოვეიჩიკს, ირინა სპევაჩევსკაიას, ალექსი ფეტტერს, რაფიელ შაპელნიკოვს, სერგო შირინს და ანნა იაროვენკოს.

---

უხაროა, რომ კულტურული მშენებლობის გეგმას არა აქვს ეს ულრმად მნიშვნელოვანი განყოფილება.

რაც შეეხება ჩვენს ნებაყოფლობით საზოგადოებებს, მათი გეგმა იმდენად დაუსაბუთებელია, იმდენად არ იძლევა რაიმე კონკრეტულ წინადადებებს, რომ არც კი ვიცი, რომელ ნაწილს მივაკუთვნე ისინი. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი ასეთი ნებაყოფლობითი საზოგადოება გადაიქცა მკვდარ ორგანიზაციად, რომელიც, წევრების ჩაწერის გარდა, არაფერს აკეთებს. საჭიროა, მათ ნამდვილად გამოიჩინონ რაიმე საზოგადოებრივობა, ნამდვილად მიიღონ აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაშინ ისინი აუცილებლად დაიჭერენ სათანადო ადგილს ჩვენი კულტურული მშენებლობის გეგმაში.

## ხელოვნება—მასებს

გადავდივარ ხელოვნების საკითხზე. ამ მხრივ ჩვენ, რასაკვირველია, არ ვაპირებთ სანახაობათა დარგის გადიდებას.

ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ რეპერტუარზე — **ჩვენი თეატრის მხატვრულ და იდეოლოგიურ მხარეზე.** შეიძლება ითქვას, რომ თუ ჩვენი განვითარების ტემპი ისეთივე დარჩა, როგორიც ეხლაა, 5 წლის დამლევს ჩვენს კულტურულ მშენებლობაში დიდი მიღწევები გვექნება.

წარსულთან შედარებით ჩვენ სერიოზული მიღწევები გვაქვს რეპერტუარის დარგში. თეატრი დაუახლოვდა რევოლიუციის ძირითად მოთხოვნებს, მასების საჭიროებებს. ჩვენ სწორი იდეოლოგიური გეზი გვაქვს აღებული და ეხლა უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ეს ხაზი განვაგრძოთ და გავაღრმავოთ.

მე არ შემიძლია შევჩერდე ბევრ სხვა საკითხზე. ორიოდე სიტყვა სახელმწიფო კინო - მრეწველობის პროდუქციის შესახებ. საქართველოს სახელმწიფო კინო - მრეწველობის მიერ დამზადებული პროდუქცია ამჟამად შეადგენს საბჭოთა კავშირის საერთო კინო - პროდუქციის 18 პროცენტს, 32—33 წელს კი ეს ციფრი მიაღწევს 17 პროცენტს.

ფითოევი: რომელი ცხოვრებიდან იქნება სურათები?

მე არ შემიძლია დაწვრილებით შევჩერდე იმაზე, თუ რა ხასიათის იქნება ეს სურათები, მაგრამ ჩვენ გეზი გვაქვს და ეხლა უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ჩვენმა რეჟისორებმა დასდგან სურათები ჩვენი რესპუბლიკების ცხოვრებიდან, საქართველოს და იმ ავტონომიური რესპუბლიკების ისტორიიდან, რომელნიც შედიან ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში. საჭიროა შევქმნათ სურათები საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიიდან, საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიიდან. უნდა შევქმნათ აგრეთვე საყოფაცხოვრებო სურათები. სავსებით სამართლიანად აცხადებს ზოგიერთი ოსი ამხანაგი, რომ ეკრანზე უნდა უჩვენოთ ოსეთის აჯანყების ისტორია. სწორი გეზი აღებულია, მაგრამ საჭიროა უფრო დაუახლოვოთ პროლეტარული მწერლები სახელმწიფო კინო - მრეწველობას, რომ მათ შეეძლოთ სცენარიების მიწოდება.

ხელოვნების საკითხებში მეტად საყურადღებოა კადრების შექმნის საკითხი, ჩვენში კი, სამწუხაროდ, კადრები სუსტად მზადდებიან. ამაში ჩვენც მიგვიძღვის ბრალი. ჩვენ ნაკლებად ვამზადებთ კომუნისტებს, ნაკლებად ვაბამთ მათ შემოქმედებითი ძიების საქმეში რეჟისურის და სხვა დარგში ჩვენ გვყავან ხელოვნების უპარტიო ხელმძღვანელნი. მათ საწინააღმდეგო, არაფერი აქვთ, თუ პარტიულები თეატრებში ან კინოებში წავლენ ადმინისტრატორებად, მაგრამ არ სურთ, რომ კომუნისტები უშუალოდ ჩაებან შემოქმედებაში.

აქაც ისე, როგორც მასწავლებლობის მიმართ, ჩვენ ხშირად გვიყენებენ კითხვას: თუ გსურთ თქვენი ელემენტებით სოციალური შემადგენლობა გააძლიეროთ, ამით გაუარესდება მისი თვისება. რასაკვირველია, ამ მხრივ საჭირო არ არის რაიმე ულტრა - მემარცხენე შინაარსის განცხადება, მაგრამ აღებულ უნდას იქნას მტკიცე კურსი იმ მიმართულებით, რომ კომუნისტებმა ხელოვნებაც დაიპყრონ.

## გეგმის შესრულების აუცილებელი პირობა

ჩემი მოხსენების დასასრულ მინდა განვაცხადო, რომ ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავწყვეტთ კულტურული მშენებლობის იმ უდიდეს საკითხებს, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან უახლოესი 5 წლისათვის, თუ გვეყოლებიან შესაფერი კადრები. მე ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ პარტიული კონფერენცია და მთელი ჩვენი პარტია, რომელიც ჩვენს მუშაობას ხელმძღვანელობს, იფიქრებს იმის შესახებ — შესძლებენ თუ არა მუშაკების ის კადრები, რომელთაც დღეს სახალხო განათლების მაღლობები უჭირავთ, დასძლიონ ეს ამოცანა? მე უნდა ვსთქვა სრულის პასუხისმგებლობით, რომ ეს კადრები ასეთ ამოცანებს ვერასოდეს ვერ დასძლევენ, რადგან ისინი ძალიან მოისუსტებენ როგორც მომზადების, ისე კლასობრივი სიმწიფის მხრით. მრავალი შეცდომა, მრავალი გაუგებრობა, ქალაქისა და სოფლის ამა თუ იმ ოპოზიციონურ და უცხო ელემენტებთან დაახლოვების ტენდენცია — ყოველივე ეს აიხსნება იმ კადრების სისუსტით და მოუმზადებლობით, რომელნიც სხედან სკოლებში, ჩემთან აპარატში და სხვა ორგანოებში.

რათა კულტურული მშენებლობის გეგმა განხორციელდეს, ჩვენ უნდა მოვამზადოთ კადრები, ამისთვის კი პარტიამ უნდა გააკეთოს შემდეგი:

პირველი — შემოწმებულ იქნას, რამდენად სწორია ის ხაზი, რომელიც ტარდება კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე.

მეორე — გადაისინჯოს ჩვენი კადრები. პარტიამ ამ მუშაობისთვის არ უნდა დაიშუროს მტკიცე და გამოცდილი ამხანაგები, რათა განხორციელდეს ჩვენს წინაშე მდგომი უდიდესი ამოცანები. (ტაში).

# ამხ. დ. კანდელაკის საბოლოო სიტყვა

მე თავიდანვე განვაცხადე, რომ ხუთწლიანი გეგმა საბოლოოდ არ არის დამუშავებული, იქ არ მოიპოვება კულტურულ მშენებლობის მრავალი უმნიშვნელოვანესი დარგი და ეს იმიტომ, რომ ეს გეგმა არ არის შესწავლილი საქართველოს პროფსაბჭოს მიერ. ესევე ითქმის ბევრ სხვა ორგანიზაციაზედაც. რა[illegible], ამ გეგმაში შევა ყველაფერი, რაც გამოშვებულია. მთელი რიგი შენიშვნები, რომლებიც აქ გამოსულმა ამხანაგებმა მოიტანეს, რა თქმა უნდა, შეიძლება და საჭიროც არის მივიღოთ.

## კლასობრივი ხაზისათვის

მომავალი სრულიად საკავშირო პარტკონფერენცია სახალხო განათლების საკითხებზე დაამუშავებს მთელ რიგ პრობლემებს. კერძოდ, თათბირზე დამუშავდება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდეს კლასობრივი ხაზი სასწავლებლების შევსების საქმეში. ამას წინად ამხ. კრუპსკაიამ მოათავსა წერილი, რომელშიც წამოყენებულია ის იდეა, რომ ოთხწლედის ამოცანაა —ჩვენს ქვაბში გადახარშოს ის სოციალურად უცხო ელემენტები, რომლებიც მოიპოვებიან სკოლაში და არა განდევნოს სკოლიდან მექანიკურად. ასეთი პოზიცია ეთანხმება ილიჩის ანდერძს და კომუნისტური პარტიის ძირითად პრინციპებს. ამის შესახებ არსებობს აგრეთვე საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება. რა თქმა უნდა ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხელს ავიღებთ ტეხნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების სოციალური შემადგენლობის მოწესრიგებაზე.

აქ შეიძლება სხვა საკითხიც დაისვას: სახელმწიფოს ამჟამად არ მოეპოვება საშუალება და შესაძლებლობა მთლიანად განახორციელოს სავალდებულო სწავლება. მაშასადამე, პირველი საფეხურის და საერთო სავალდებულო სწავლების სკოლათა შევსების დროს სახელმწიფომ უპირატესობა უნდა მისცეს სოციალურად ჩვენთან მყოფ ელემენტებს. მაგრამ, თუ ჩვენს სკოლებში არიან გარეშე ელემენტები, მაშინ ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს ქვაბში გადავხარშოთ ისინი და არა მექანიკურად გავაძეოთ. ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი წესი გავავრცელოთ იმ სასწავლებლებზე, რომლებმაც დღეს-ხვალ და ახლო მომავალში უნდა გამოუშვან ჩვენი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელნი. აქ ჩვენ უცვლელად უნდა შევასრულოთ პარტიის ცეკას დადგენილება. ჩვენ იმიტომ არ შეგვიძლია სოციალურად უცხო ელემენტების დატოვება, რომ მათი ხელით სოციალისტურ მეურნეობას ვერ ავაშენებთ.

## კულტურული მშენებლობის ძირითადი ამოცანა

ის გეგმა, რომელიც ჩვენ საქარხნო - საფაბრიკო სკოლებისთვის და, საერთოდ, კვალიფიციური მუშა-ხელის მოსამზადებლად შევიმუშავეთ, აგებულია მტკიცე საფუძველზე და ჩვენი შესაძლებლობის გათვალისწინების ნიადაგზე. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გადაჭარბებულად იზრდებიან საქარხნო - საფაბრიკო და პროფტეხნიკური სკოლები, არ შეეფერება სინამდვილეს.

არ არის მართალი იმის მტკიცება, რომ განათლების სახალხო კომისარიატი ნაკლებ ყურადღებას აქცევს კულტურულ მუშაობას ეროვნულ უმცირესობათა შორის. ეროვნული უმცირესობანი ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ნაწილს წარმოადგენენ და მათ თანაბარ კულტურულ სამსახურს ვუწევთ. უკანასკნელ წლებში, მუშაობის ამ დარგში ჩვენ განსაზღვრული მიღწევები გვაქვს. ჩვენ ამჟამად გვჭირდება სომხური და თურქული პედაგოგიური ტეხნიკუმების ხელმძღვანელი შემადგენლობის განმტკიცება, რომ ეროვნულ უმცირესობათა შორის სამუშაოდ საჭირო კადრები იქიდან მივიღოთ.

**დღევანდელი დღის ძირითადი ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობის საერთო კულტურული დონის აწევა და ხელმძღვანელი შემადგენლობის მომზადება იმ ჩვენი გეგმების შესასრულებლად, რომლებიც მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში გვაქვს.** რასაკვირველია მხატვრულ განათლებას და ესთეტიურ აღზრდას ჩვენს სკოლებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა — მივცეთ სახალხო მეურნეობას ისეთი ხალხი, რომელიც შესძლებს გაატაროს ცხოვრებაში სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა. ზოგი ეჭვს გამოსთქვამს, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ გეგმით გათვალისწინებული 750 ინჟენერის მომზადებას. ნებას ვაძლევ თავს დაგარწმუნოთ, რომ ეს რიცხვი საფუძვლიანად არის დამუშავებული და ჩვენ მას შევასრულებთ.

ამიერ - კავკასიის საბეითლო ინსტიტუტი ხუთი წლის დამლევისთვის ბეითალ - ექიმების ძალიან ცოტა რიცხვს მოგვცემს. ამიტომ გადავსწყვიტეთ სპეციალური საბეითლო ტეხნიკუმის გახსნა, რომელიც, მართალია, ნაკლები კვალიფიკაციის მუშაკებს მოგვცემს, მაგრამ შეავსებს იმ მოთხოვნილებას, რომელიც ამ დარგში გვაქვს, ჩვენ ვფიქრობთ აგრეთვე მელიორატიული ტეხნიკუმის გახსნას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. წელს ჩვენ ვფიქრობთ სამთო ტეხნიკუმის გახსნას, რომლის პირველი გამოშვებაც, უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მოთხოვნით, აჩქარებული იქნება.

## სახსრების საკითხი

ჩვენ დაგვჭირდება იმ სახსრების გადათვალიერება, რომელთა დახარჯვაც განზრახული გვაქვს კულტურულ მშენებლობაზე ხუთი წლის განმავლობაში. დაგვჭირდება შინაგანი გადაჯგუფების მოხდენა. მაგალითად, იქნება ისეთი დარგები, რომლებსაც პირველხარისხოვანი ხასიათი აქვთ. ისეთებიც იქნება, რომლებიც შეიძლება მეორე ხუთი წლისათვის გადავდოთ. ყოველივე ამის გათვალისწინება შეიძლება მაშინ, როდესაც საჭირო გახდება წლიური გეგმების განსაზღვრა სხვადასხვა ორგანიზაციების კულტურული მშენებლობის დარგში.

მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ იმ თვალსაზრისისა, რომელიც აქ გამოსთქვა განათლების მუშაკთა წარმომადგენელმა. მან მირჩია, ნაწყენი კაცის პოზიცია დავიჭირო და განვაცხადო, რომ ჩვენი მაჩვენებლები ღარიბ - ღატაკურია, რომ ასე მუშაობა შეუძლებელია, რომ ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ და სხვ. ასე მსჯელობა არ შეიძლება. ჩვენ ვქმნით კულტურულ ხუთწლიან გეგმას და უკავშირებთ მას სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმას. ჩვენ ვითვალისწინებთ ყველა შესაძლებლობას, რაც კი სახელმწიფოს გააჩნია. ჩემის აზრით, თუ ბიუჯეტის შედგენისა და იმ პერსპექტივების გამორკვევის შემდეგ, რომლებსაც ადგილი ექნებათ სახალხო მეურნეობის დარგში, ჩვენი მშენებლობის ყოველი წლის დამლევს, რაიმე დამატებითი სახსრები გვექნება, ეს სახსრები შეგვეძლება მოვახმაროთ კულტურულ ფრონტს, სწავლა - მეცადინეობის გაუმჯობესებას, ეგრეთ წოდებულ საოპერაციო ხარჯებს. ჩვენ მტკიცედ უნდა უზრუნველვყოთ ბიუჯეტით ყველა დაწესებულება, რომ შესძლონ იმ ამოცანების განხორციელება, რომლებიც მათ აქვთ დაკისრებული.

## რა უნდა მოვსთხოვოთ სკოლებში შემსვლელებს

ჩვენ მოვახდინეთ უმაღლესი სასწავლებლების რაციონალიზაცია, რამაც ბრწყინვალე შედეგები მოგვცა. საჭიროა შემდეგაც გავაღრმავოთ უმაღლესი სწავლა-განათლების რაციონალური მოწესრიგება.

ჩვენ ისეთი სულიერი განწყობილება გვაქვს, რომ თუ კაცი მუშაა ან კომკავშირელი, თუნდაც ცოდნა არა ჰქონდეს, სასწავლებელში უნდა მივიღოთო. ასე საკითხის დასმა აბსოლუტურად შეცდარია. **ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების შევსება სოციალურად სწორედ მოვახერხოთ. მაგრამ სასწავლებელში შემსვლელს ცოდნა აუცილებლად უნდა მოვსთხოვოთ.** ჩემის აზრით, პარტკონფერენციამ მტკიცედ უნდა სთქვას, რომ შრომის დისციპლინა, სწავლა - მეცადინეობა, ცოდნა, — ყოველივე ეს აუცილებელი მოთხოვნაა, რომელსაც პარტია ჩვენს ახალგაზრდობას უყენებს.

# ქრონიკა

### მისალმება საქ. ცაკს და საქ. სახკომსაბჭოს

საქ. ცაკმა და საქ. სახკომსაბჭომ შემდეგი მისასალმებელი დეპეშა მიიღეს საქ. ცაკის სახელობის კავკასიის მსროლელ დივიზიის წითელ არმიელთა კონფერენციისაგან:

„დივიზიის მებრძოლთა კონფერენცია მხურვალე მეძრულ სალამს უძღვნის თავის შეფს კონფერენცია და მებრძოლები მიიღებენ ყოველგვარ ზომებს, რათა სწავლება და მზადება აყვანილ იქნეს იმ დონემდე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს თქვენი მშვიდობიანი მუშაობა სოციალიზმის მშენებლობისათვის.

გაუმარჯოს საბჭოების ხელისუფლებას!

გაუმარჯოს ჩვენს შეფს — საქ. ცაკს!

### ამხ. მ. ლოგანოვსკის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი სპარსეთში ამხ. მეჩისლავ ლოგანოვსკი.

### ახალი დანიშვნა

განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, პროფ. განათლების მთ. მმართველობის გამგედ დაინიშნა ამხ. დიმიტრი მთვარელიძე.

### 2.643.000 მან. ა.-კ. სოფლის მეურნეობას

ა.-კ. სასოფლო სამეურნეო ბანკმა შეიმუშავა მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის საკრედიტო გეგმა, რომლის მიხედვითაც მეოთხე კვარტალში სასოფლო მეურნეობას სესხად მიეცემა სულ 2.643.000 მანეთი. აქედან საქართველოს სას.-სამ. ბანკს მიეცემა 1.132.000 მ., (703.000 მან. გრძელვადიანი და 429.000 მან. მოკლევადიანი სესხი), აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო ბანკს — 1.005.000 მან. (792 ათასი მან. გრძელვადიანი და 213.000 მანეთი მოკლევადიანი სესხი) და სომხეთის სას.-სამ. ბანკს 506.000 მანეთი (431.000 მანეთი გრძელვადიანი და 75.000 მან. მოკლევადიანი სესხი).

### საბინაო კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობა

დღეს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნება საქართველოს საბინაო კოოპერაციის რწმუნებულთა პირველი ყრილობა.

### საბიუჯეტო შენაკრების საშუალო ღირებულება

საბიუჯეტო შენაკრების საშუალო ღირებულება ამიერ - კავკასიაში მიმდინარე წლის ხუთი თვის განმავლობაში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა 13,9 პროცენტით, კერძო სასოფლო - სამეურნეო ნაწილი მტკიცე ფასების მიხედვით გაიზარდა 20,7 პროც., კერძო ბაზრის ფასების მიხედვით კი—37,6 პროც., სამრეწველო ჯგუფი კი 5,3 და 10,6 პროცენტით.

### ვისზე არ ვრცელდება შრომის კანონები

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით, შრომის დაცვის კანონები არ ვრცელდება ეკლესიის და რელიგიის კულტის სხვადასხვა მსახურებზე. ასეთები არიან: მგალობლები, რეგენტები, მეარგანენი, მედავითნენი, კანონიკები, მოლები, ხახამები, საეკლესიო სკოლების მასწავლებლები, სხვადასხვა რელიგიურ საზ-ბათა ხელმძღვანელები, საეკლესიო საბჭოს წევრები, რელიგიურ საზოგადოებათა და ეკლესიის ადმინისტრატიულ, სამეურნეო და კანცელარიის პერსონალი და იმავე საზოგადოებებისა და ეკლესიების დავალებით მომუშავე მხატვრები.

ჩამოთვლილ პირებზე შრომის კანონი არ ვრცელდება იმ შემთხვევაშიაც, თუგინდ ისინი მსახურებდნენ იმავე დროს სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოება-დაწესებულებებში.

### თანხების გადადება უმუშევრობასთან საბრძოლველად

მოზარდთა შორის უმუშევრობასთან საბრძოლველად საქ. შრომის სახ. კომისარიატმა გადასდო 30.587 მანეთი. აქედან აფხაზეთს მიეცა—4.000 მანეთი, ქუთაისს—3.000 მან., ფოთს—3.000 მან., ჭიათურას—1.000 მან. და დანარჩენი თბილისს.

### შეშის დამზადება

მომავალ ზამთრისათვის შეშის დასამზადებლად საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტს სესხად მიეცა 550.000 მანეთი.

### გერმანელი მსახიობის ჩამოსვლა

ბერლინიდან თბილისში ჩამოვიდა გერმანელი მსახიობი-ქალი ირინა გელცელი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს გაეცნოს საბჭოთა კავშირში თეატრალური ცხოვრების საქმეს და საბჭოთა თეატრების მიღწევებს.

### მიღებისა და გამოცდების დრო უმაღ. სასწავლებლებში

სახ. უნივერსიტეტში და ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში განცხადებების მიღება იწარმოებს 1—15 ივლისამდე, ხოლო გამოცდები—15-დან 31 აგვისტომდე.

### სამეანო-გინეკოლოგთა ყრილობა

საქ. ჯანმრთელობის კომისარიატის თაოსნობით ახლო მომავალში თბილისში შესდგება სამეანო-გინეკოლოგთა ამიერ-კავკასიის ყრილობა. ყრილობის მოსაწყობად დაარსებულია საორგანიზაციო კომისია პროფ. ღამბარაშვილის თავმჯდომარეობით.

### ადგილები სამხედ. სასწავლებელში თბ. მაზრისათვის

საქ. ცაკთან არსებულ სამხედრო სასწავლებელში კანდიდატების შემგროვებელ კომისიის დადგენილებით, სამხედრო სასწავლებელში ადგილების განაწილების დროს თბილისის მაზრას დაეთმო 28 ადგილი. მათ შორის მაზრა-აღმასკომებს უფლება ეძლევათ ზემოხსენებულ ნორმის გარეშე გაგზავნონ კანდიდატები რამდენსაც მოისურვებენ ან თვით აღმასკომის ხარჯზე, ან და თვით გაგზავნილ ამხანაგის პირად ხარჯზე. კანდიდატების გაგზავნის დროს დაცული უნდა იქნას წესები, რომელიც შეეხება სამხ. სასწ. მიღებას. (ასაკი, ჯანმრთელობა, მომზადება და სხვ.).

### თბილისის აღმასკომში

◆ **სამდღიური ქალაქის გასაწმენდად.** თბ. აღმასკომმა დაადგინა ახლო ხანში ჩაატაროს სამდღიური უსუფთაობისაგან ქალაქის გასაწმენდად.

◆ **საზეთლო პუნქტები.** მესაქონლეობის რაიონებში თბ. აღმასკომი დამატებით აწყობს საზეთლო პუნქტებს.

### ექსკურსიები

◆ **კავკავში.** რკინისგზის მუშფაკი კვირას კავკავში აწყობს მუშფაკელების ექსკურსიას.

◆ **ექსკურსია ხარკოვიდან.** კავკავიდან თბილისში ფეხით ჩამოვიდა ხარკოვის განათლების მუშაკთა დიდი ექსკურსია

◆ **თბ. აღმასკომის კომუნალური სექცია** ახლო ხანში ნატახტარის წყალსადენის სამუშაოების დასათვალიერებლად აწყობს მასიურ ექსკურსიას. ჩაწერა შეიძლება სექციის მდივანთან.

### სხვადასხვა

◆ **საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში** შესვლის გასაადვილებლად კამოს სახ. საფაბრიკო-საქარხნო სკოლასთან გაიხსნა მოსამზადებელი კურსები. ასეთივე მოსამზადებელი კურსები გაიხსნება აღმშენებელთა სკოლაში.

◆ **ველო საზ-ბა** 1 სექტემბერს ხსნის ტრაქტორებზე და მოტოციკლეტზე მომუშავეთა მოსამზადებელ კურსებს.

◆ **კვირას, 30 ივნისს, დილის 11 საათზე** სოციალ-ჰიგიენის ინსტიტუტის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) შესდგება სახ. უნ-ის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის საერთო კრება. განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. თუ ქვორუმი არ შესდგა, იგივე კრება იმავე ადგილას მოიწვევა ერთი საათის შემდეგ განმეორებით და ჩაითვლება კანონიერად.

—:—

### შემთხვევები

### მკვლელობა

18 ივნისს სართიჭალის სამილიციო რაიონში, სოფ. ფიქვნარში ამავე სოფლის მცხოვრებმა ერეკლე აბრამის ძე გიგაურმა თოფით მოჰკლა მარიამ ქულამბეგოვი. მკვლელი დაპატიმრებულია.

### შეპყრობა

გრიგოლ გველესიანის ბინაზე (მაგისტრალის ქ. № 3) შეიპყრეს ელიხან ალი-ოღლი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

### ქურდობა

გაქურდეს არჩილ ჩესაშვილის ღვინის სარდაფი (გრიბოედოვის ქ. № 34), წაღებულია 300 მან. ღვინო და ჭურჭლეულობა.—გაქურდეს მიხეილ ქავთარაძის საპარიკმახერო (რუსთაველის პრ. № 32).—სირანუშ მნაცაკანოვის ბინიდან მოიპარეს სხვადასხვა ვერცხლეულობა.

## გეოლოგიური ექსპედიციების მუშაობა

ამჟამად საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მუშაობს რამოდენიმე გეოლოგიური ექსპედიცია, რომელთაც დავალებული აქვთ ამა თუ იმ რაიონში არსებული მადნეულობის მარაგის გამორკვევა, ახალი მადნების აღმოსაჩენათ შესაფერი სამუშაოების ჩატარება და საერთოდ ცალკე სამთამადნო რაიონების სრული შესწავლა გეოლოგიური თვალსაზრისით.

ერთი ასეთი გეოლოგიური ექსპედიცია ამჟამად მუშაობს შროშის რაიონში (შორაპნის მაზრა), ცეცხლმძლე თიხის და ქარსის („სლიუდა") ბუდობების გამოსაკვლევათ. ქარსის მადანს ხმარობენ შუშეულობის წარმოებაში, ხოლო ცეცხლმძლე თიხიდან ამზადებენ საუკეთესო ხარისხის ცეცხლმძლე აგურ-კრამიტს. ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 6 სპეციალისტი.

მეორე გეოლოგიურმა ექსპედიციამ უკვე დაიწყო მუშაობა დიატომიტის ბუდობების რაიონში (ახალციხის მაზრა). დიატომიტს ხმარობენ ქიმიურ, ელექტრო - ტეხნიკურ და საამშენებლო მრეწველობაში. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა დიატომიტზე ელექტრო - ტეხნიკურ მრეწველობაში. დიატომიტის მადნიდან ამზადებენ ე. წ. იზოლიატორებს, სითბოგაუვალ საგნებს და სხვა. ვინაიდან დიატომიტზე მოთხოვნილება თანდათან იზრდება და საჭირო ხდება მისი ამოღება-გატანის გაფართოვება, ამიტომ სამთოქიმტრესტმა გადასდო თანხა მადნის ბუდობების გეოლოგიური გამოკვლევების ჩასატარებლად.

დიატომიტის მადნის გამომკვლევ ექსპედიციაში მონაწილეობას იღებს 7 სპეციალისტი.

მესამე გეოლოგიური ექსპედიცია მუშაობს აზამბურის გლაუბერის მარილის ბუდობების გამოსაკვლევათ. აზამბურის ბუდობები მდებარეობენ დიდ-გარეჯულას ტბის მახლობლად (გარე-კახეთი). გლაუბერის მარილის ამოღება დღემდე სწარმოებდა მუხროვანში, მაგრამ სპეციალისტების დასკვნით იქ გლაუბერის მარილის მარაგი უკვე ილევა და ამიტომ გეოლოგიურ ექსპედიციას დაევალა შეისწავლოს და გამოარკვიოს აზამბურის ბუდობების მარილის მარაგი.

დანარჩენი გეოლოგიური ექსპედიციები მუშაობენ ჩათახში რკინის მადნების გამოსაკვლევათ და ახალქალაქის მაზრაში თაფარავანის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა დაწყებისათვის საჭირო გეოლოგიური გამოკვლევების ჩასატარებლად.

## საქართველოს „ღვინო"-ს საქმიანობა

სრ. საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა კოოპერატივების კავშირი „საქართველოს ღვინო" საქართველოს სხვადასხვა მევენახეობის რაიონებში ამრავლებს და აარსებს მევენახეთა და მეღვინეთა ახალ კოოპერატივებს.

დასავლეთ საქართველოში კოოპერატივ „იმერეთი"-ს გარდა ჩამოყალიბდა: „სვირი"-ს, „ბაღდადი"-ს და „ხვანჭკარა"-ს რაიონის მევენახეთა და მეღვინეთა კოოპერატივები.

აღმოსავლეთ საქართველოში კოოპერატივ „უნიონი"-ს გარდა კახეთში მთავრდება ჩამოყალიბება „ანაგა"-ს, „გურჯაანი"-ს, „ყვარელი"-ს და „შილდა"-ს რაიონის მევენახეთა და მეღვინეთა კოოპერატივებისა. წევრებს „საქართველოს ღვინო"-მ მიუჩინა ინსტრუქტორებათ მევენახეობის და მეღვინეობის კვალიფიკაციური სპეციალისტები, რომელთა მოვალეობას შეადგენს უშუალოდ მუშაობა მევენახეობის სოფლებში გლეხებთან. ამ მიზნით „საქართველოს ღვინო"-მ მოიწვია ორი სპეციალისტი, რომლებიც უკვე შეუდგნენ მუშაობას.

„საქართველოს ღვინო" აშენებს კახეთში სამ უმთავრეს ცენტრში—გურჯაანში, ყვარელში, და კარდანახში მარნებს სარდაფებით თითოს 10.000 ჰექტოლიტრი ღვინის ტევადობით. აგრეთვე შენდება სარდაფი სვირში.

გლეხები ერთიანდებიან კოოპერატივებში არა ნაკლებ 75—80 პროც. სპეციალისტ ინსტრუქტორების რიცხვი მევენახეობასა და მეღვინეობაში „საქართველოს ღვინო"-ს გადაწყვეტილი აქვს გაამრავლოს ისე, რომ ყოველ დიდ სოფელს ეყოლოს ერთი სპეციალისტი.

## სოფელში მიმავალ პედაგოგების კრება

27 ივნისს, საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგა სოფლად მიმავალ მასწავლებელთა კრება. კრების დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხი: განათლების მუშაკთა მონაწილეობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. ხსენებულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჩხარტიშვილმა, რომელმაც აღნიშნა შემდეგი.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება უდიდეს მუშაობას აწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ, წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი, ჯერ კიდევ საგრძნობია. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მთავრულად მიმდინარეობდა განათლების კომისარიატის ხაზით. ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა: კოოპერატიული, პროფკავშირები, კომკავშირი, საზ-ბა „წერა-კითხვა" და სხვა, ამ საქმეში ნაკლებად იყვნენ ჩაბმული.

ამჟამად ჩვენს წინაშე დასმულია ამოცანა 3 წლის განმავლობაში მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა საქართველოს ფარგლებში. ამ ამოცანის შესრულება წარმოუდგენელია მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის აქტიური მონაწილეობის გარეშე; მთავარი როლი კი ამ საქმეში მასწავლებლობამ უნდა იკისროს. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია დღემდე სასწავლებლებში მიმდინარეობდა ჯგუფური წესით. ინდივიდუალურ მეცადინეობას ადგილი თითქმის არ ქონია, რაც ერთ-ერთ ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს.

საბჭოთა სკოლის მასწავლებელი წარმოადგენს ამავე დროს საზოგადოებრივ მოღვაწესაც სკოლის გარეშე. ამიტომ სოფლად მიმავალმა მასწავლებელმა თავისუფალი დრო უნდა მოახმაროს საზოგადოებრივ მუშაობას. ამ მუშაობის ერთ-ერთ დარგად კი ჩაითვლება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. თვითეულმა მასწავლებელმა ინდივიდუალური წესით 3 კაცს მაინც უნდა შეასწავლოს წერა-კითხვა ზაფხულის განმავლობაში და ამით ხელი შეუწყოს კულტურული რევოლიუციის გაღრმავებას.

კამათში გამოსული ამხანაგები: **ბალასანიანი, კანდელაკი, კვეზაძე** და სხვ. სავსებით ეთანხმებოდნენ მომხსენებლის წინადადებას.

მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ სოფლად მიმავალი მასწავლებლები მოვალედ სთვლიან თავს სხვა საზოგადოებრივ სამუშაოთა რიცხვში წერა-კითხვა შეასწავლონ წერა-კითხვის 3 უცოდინარს მაინც.

## დაწინაურებულ მუშების თათბირი

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირმა 27 ივნისს, საღამოს, მოიწვია საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებებში დაწინაურებულ მუშების საქალაქო თათბირი. თათბირის მიზანი იყო დაწინაურებულ მუშების მუშაობის პირობების გამორკვევა და შენიშნულ დეფექტების ასაცილებლათ საჭირო ღონისძიებების გამომუშავება.

თათბირზე დაწინაურებული მუშების მიმდინარე მუშაობის დასახასიათებლათ სიტყვები წარმოსთქვეს სხვადასხვა წარმოებებიდან დაწინაურებულმა მუშებმა, დაწინაურებული მუშები აცხადებდენ, რომ მუშათა დაწინაურების საქმე დღემდე ვერ არის დაყენებული ჯეროვანათ. არავითარი ყურადღება არ ექცევა იმ გარემოებას, თუ რამდენათ მომზადებულია მუშა ამა თუ იმ თანამდებობაზე დაწინაურებისათვის და სხვა. ისინი საჭიროდ სცნობდნენ მოხდეს დასაწინაურებელი მუშების წინასწარი მომზადება წრეების, ან მოკლევადიანი კურსების საშუალებით.

ორატორების ნათქვამიდან გამოირკვა, რომ მთელ რიგ საბჭოთა და სავაჭრო ხასიათის დაწესებულებებში დაწინაურებულ მუშებს დახმარების მაგიერ უდიერათ ეპყრობიან და მათ იძულებულს ხდიან თავი მიანებონ მუშაობას და ისევ წარმოებაში დაბრუნდნენ. დაწინაურებულებს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ აგრეთვე ადგილკომები.

გარდა ამისა, კამათში მონაწილე ზოგიერთი დაწინაურებული მუშები აღნიშნავდენ, რომ ერთბაშად წარმოებიდან რომელიმე მუშის ისეთ სამუშაოზე გაგზავნა, სადაც საჭიროა სპეციალური ცოდნა, არ არის მიზანშეწონილი, თუ პროფესიონალური კავშირი დაწინაურებულს არ აღმოუჩენს რაიმე დახმარებას. დღემდე კი დაწინაურებული მუშები დატოვებული იყვნენ მხოლოდ დაწესებულების ადმინისტრაციის ანაბარა. ადმინისტრაცია კი ხშირათ ძველი მოხელეების გავლენის ქვეშ ექცევა და დაწინაურებულის წინააღმდეგ არის განწყობილი.

თათბირზე შეკრებილი მასალების საფუძველზე პროფესიონალური კავშირი შეიმუშავებს ახალ ღონისძიებებს მუშათა დაწინაურების საქმის გასაუმჯობესებლათ.

## საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირი

27 ივნისს, ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილის ამხ. **ხუმარიანის** თავმჯდომარეობით შესდგა საქ. ფინ. სახ. კომისარიატის, საკრედიტო დაწესებულებების, პროფსაბჭოს და სხ. ორგანიზაციათა წარმომადგენლების ფართო თათბირი, თათბირმა განიხილა სესხის ობლიგაციების ხელზე ხანგრძლივად შენარჩუნების საკითხი.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ სესხის გახანგრძლივების სააგიტაციო კამპანია საერთოდ სუსტად მიმდინარეობს. კამპანიის დროს მოქალაქეებს ვერ ეძლევათ საკმაო ახსნა-განმარტება ჩვენი საკრედიტო სისტემის შესახებ. კამპანიაში სათანადო ყურადღება არ ექცევა იმ გარემოებას, რომ ობლიგაციების დაგროვების დროს ობლიგაციის პატრონს შენარჩუნებული აქვს ყოველგვარი უფლებები როგორც ობლიგაციაზე, ისე შესაძლო მოგებაზე. გამოირკვა, რომ ჯერ-ჯერობით ობლიგაციების გაყიდვა არ ატარებს მასიურ ხასიათს, მაგრამ თუ ახსნა - განმარტების კამპანია არ გაფართოვდა, ობლიგაციების გაყიდვამ შეიძლება მიიღოს არა სასურველი სახე.

ახსნა-განმარტების კამპანიის სისუსტე ნაწილობრივ გამოწვეულია სესხის რეალიზაციისათვის ხელის შემწყობი კომისიების უმოქმედობით, რომელიც განსაკუთრებით შესამჩნევია ა.-კ. რკინის გზებზე.

გამოირკვა აგრეთვე, რომ კოლექტივები აგვიანებენ შეძენილ ობლიგაციების ღირებულების დაფარვას, რომელიც შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ 20 ივლისისათვის.

კომისიამ შეიმუშავა ღონისძიებები ახსნა-განმარტებითი კამპანიის გასაცხოველებლად და დაადგინა, 2 ივლისს მოწვეულ იქნას სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი კომისიების კონფერენცია.

## მშენებლობა აფხაზეთში

### ჰიდრო - ელსადგური

**სოხუმი,** 28 ივნისი. გუმისტის ჰიდრო-ელსადგურის აგების პროექტი სათანადო ინსტანციებმა საბოლოოდ დაამტკიცეს. აფხაზეთში ჩამოსული „გეოლკომ"-ის პარტია უკვე შეუდგა საბურღავ მუშაობას გეოლოგიური გამოკვლევის მიზნით გუმჯესის რაიონში. (ადს).

### აგურისა და კრამიტის ქარხნები

**სოხუმი,** 28 ივნისი. გალსა და გუდაუთში ამ საამშენებლო სეზონში დაიწყება აგურისა და კრამიტის ქარხნების აგება. თვითეული ქარხანა წლიურად დაამზადებს 500.000 აგურს და 100.000 კრამიტს. ქარხნების აგება დამთავრდება შემდეგი ზაფხულისათვის. (ადს).

### კირის ქარხნები

**სოხუმი,** 28 ივნისი. გადასწყდა საკითხი კირის ქარხნების აგების შესახებ სოხუმსა და გაგრაში. ქარხნების ასაგებად საჭირო სახსრები უკვე მიღებულია. ორივე ქარხნის აგება ამ ზაფხულს დაიწყება. (ადს).

### 400.000 მანეთი მშენებლობისათვის

**სოხუმი,** 28 ივნისი. ამიერ-კავკასიის ცენტრალურმა ორგანოებმა აფხაზეთის ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის გადასდეს 400.000 მანეთი. ამ თანხის უდიდესი ნაწილი მოხმარდება საშენებელი მასალის დამამზადებელ ახალ საწარმოთა აგებას. (ადს).

### ქლიავის ექსპორტი

**სოხუმი,** 28 ივნისი. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის დადგენილების თანახმად, ფსირცხის ბაღების ქლიავიდან საექსპორტოდ გამოყოფილი იქნება 81 ტონა ქლიავი. ამ პარტიას დაამზადებს აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო კავშირი, გაიტანს „ზაკგოსტორგ"-ი. (ადს).

## ბრძოლა მავნებლებთან

### თბილისის მაზრაში

მიმდინარე წლის გაზაფხულზე წყნეთის, თელეთის და დიღომის თემებში გაჩნდა პურის ხოჭო, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად თბილისის საადგილ-მამულო განყოფილებამ მიავლინა ადგილებზე სპეციალური რაზმები. რაზმების მუშაობას არავითარი ნაყოფი არ გამოუღია, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ ხოჭოს მოსპობა შესაძლებელია მხოლოდ მათი დაჭერით, რის უფლებაც არ მისცა გლეხობამ გაგზავნილ რაზმებს.

თბილისის მაზრის ზოგიერთ ადგილებში შემჩნეული იყო აგრეთვე მატლი—პავიცა, მაგრამ მათ მიერ მიყენებული ზარალი უმნიშვნელოა, რადგან ყანა უკვე შემოსულია და პავიცას ზიანის მოტანა შეუძლიან მხოლოდ ჯეჯილისათვის.

უკანასკნელ დღეებში მიღებული ცნობებით, თბილისის მაზრის ბევრს ადგილებში გაჩნდა დიდძალი კალია. კალიის წინააღმდეგ—საბრძოლველად გაიგზავნა საგანგებო რაზმები საგარეჯოში, სართიჭალაში, ნორიო-მარტყოფის თემებში, ნავთლუღში, მცხეთა-დიღომის თემებში და ავჭალაში, მაგრამ გაგზავნილ რაზმებს კალიის მოსპობა ამჟამად სავსებით არ ძალუძთ. ამის გამო თბილისის საადგილ-მამულო განყოფილებამ აქედანვე შეიმუშავა ღონისძიებანი, რომ მომავალ წლისათვის კალია სავსებით იქნას განადგურებული შემოდგომაზე კალიის მიერ კვერცხების დადების ადგილების აღმოჩენის გზით. თბილისის საადგილ. მამულო განყოფილების სამაზრო აგრონომის განცხადებით, კალია ხორბლეულობის კულტურას ამჟამად მნიშვნელოვან ზიანს ვერ მოუტანს.

## საზ-ბა „წერა-კითხვა"-ში

საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც შესდგა ამხ. **ფ. მახარაძის** თავმჯდომარეობით, სხვა საკითხებთან ერთად განიხილა სამთო - მადნო კავშირის და ზემო-სვანეთის ორგბიუროს შუამდგომლობანი ჭიათურაში და ზემო-სვანეთში მიმდინარე ზაფხულში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების გახსნის შესახებ საზ-ბა „წერა-კითხვის" ხარჯზე.

პრეზიდიუმის სხდომამ დააკმაყოფილა აღძრული შუამდგომლობანი და გადასწყვიტა ამ ზაფხულის განმავლობაში ჭიათურაში გახსნას წ. კ. უცოდინარ მუშებისათვის 70 სალიკვიდაციო სკოლა და ზემო-სვანეთში 15 სალიკ-სკოლა. აღნიშნული სკოლები სათანადოთ იქნებიან მომარაგებულნი საჭირო სასწავლო ნივთებით. სხდომაზე განხილული იქნება აგრეთვე საქ. სახკინმრეწვის მომართვა კინო „პროლეტარი"-ს დახურვის შესახებ ავლაბარში, რომლიდანაც საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს ეძლეოდა სათანადო პროცენტები. სხდომამ სახკინმრეწვის წინადადება კინო „პროლეტარი"-ს დაკეტვის შესახებ არა სცნო მიზანშეწონილად, რადგანაც ავლაბრის რაიონში „პროლეტარი"-ს გარდა არ მოიპოება სხვა კინო-თეატრი და სთხოვა სახკინმრეწვს განაგრძოს კინო „პროლეტარი"-ს ექსპლოატაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუთმოს საზოგადოებას კინოსათვის საჭირო სურათები. ამავე სხდომამ დაადგინა საზ-ბა „წერა-კითხვამ" მისცეს საქ. „ულმერთოთა" საზოგადოებას დახმარების სახით 1000 მანეთი.

# სასამართლო

### სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს

მიხეილ გრიგოლის ძე დოროშენკო სასტიკად უნდა დაისაჯოს. მან შელახა წითელი მოლაშქრის, წითელი მეთაურის საპატიო სახელი, მან ჩაიდინა აღმაშფოთებელი მხეცობა.

რას იტყვით ისეთ წითელ მეთაურზე, რომელიც სისტემატიურად ლოთობს, გალეშილი გამოდის ქუჩაში, დაბარბაცებს, ისვრის ქუჩურ სიტყვებს, შეურაცხყოფს გამვლელ-გამომვლელთ, სახლში ბრუნდება აურ-ზაურით, აწიოკებს მდგმურებს, ჭერში ისვრის რევოლვერს. ასეთი უღირსი წითელი მეთაური იყო დოროშენკო.

ამისათვის არაერთხელ მიუღია მას გაფრთხილება უფროსისაგან, არა ერთხელ ყოფილა დასჯილი დისციპლინარული წესით, მაგრამ დოროშენკო მაინც განაგრძობდა ხულიგნობას, რაც მან დაამგვირგვინა ა. წ. 21 აპრილს პეტროვის შესახვევში მხეცური მკვლელობით.

ჩვეულებისამებრ გალეშილი დოროშენკო ღამის 12 საათზე დაეხეტება ქუჩა-ქუჩა. ეძებს მიზეზს ჩხუბისათვის. მიმართავს გამვლელებს უწმაწური სიტყვებით. მოქალაქეები ხედავენ, რომ დოროშენკოს წელზე ჰკიდია ნაგანი და შენიშვნის მიცემასაც ვერ უბედავენ.

ეს არ მოსწონს დოროშენკოს. ის ჩხუბის გუნებაზეა. სურს ვინმე გამოედავოს, რომ აამოქმედოს თავისი ნაგანი.

აგერ შესახვევიდან გამოვიდა ყრუ-მუნჯი მოქალაქე **ალექსი ეგოროვი.**

— აწიე ხელები!—დაიყვირა დოროშენკომ და იშიშვლა რევოლვერი.

ყრუ-მუნჯი განაგრძობს თავის გზას. მას არ ესმის მეთაურის „ბრძანება". ერთი, ორი, სამი... ზედი-ზედ ესვრის დოროშენკო მოქალაქეს. გავარდა მეოთხე, მოხვდა გულში ყრუ-მუნჯს ეგოროვს, რომელიც უსულოდ ეცემა ქვაფენილზე.

დოროშენკო განაგრძობს სროლას. „მტერი" ჯერ კიდევ სავსებით დაძლეული არ ჰგონია. „ჰა! კიდევ ცოცხალია",—ჰყვირის გალეშილი მეთაური და აწვიმებს ტყვიას.

ფეხზე დგება მთელი უბანი, მორბიან მილიციელები, მეეზოვეები, მაგრამ ახლოს ვერ ეკარებიან იარაღ მომარჯვებულ დოროშენკოს, რომელიც ყველა მიმართულებით ისვრის ტყვიას და იძახის: „არ მომეკაროთ".

გამოელია ტყვიები დოროშენკოს. იკადრა „ბრძოლის ველის" დატოვება და გაქცევა, მაგრამ მილიციელებმა გზა შეუკრეს და დააპატიმრეს.

ასეთი „გმირობა" ჩაიდინა დოროშენკომ. წინასწარ გამოძიებაზე მან ვერაფერი სთქვა თავის გასამართლებლად, სთქვა მხოლოდ: „მეც არ ვიცი ვინ მოვკალი, ან რას ვერჩოდიო".

დოროშენკო ამ დღეებში წარუდგება სასამართლოს. მხეცი მეთაური ღირსეულ სასჯელს მიიღებს.

### ყაჩაღების გასამართლება

ონის უბნის სახალხო სასამართლომ გაასამართლა ყაჩაღები. **გრიგოლ ილარიონის ძე სუთიძე და აკაკი სოლომონის ძე პეტრიაშვილი,** რომლებმაც გასული წლის 4 ივლისს სამხრეთ-ოსეთის გზატკეცილზე მოახდინეს შეიარაღებული თავდასხმა მგზავრებით დატვირთულ ავტომობილზე.

შოფერი ნესტორ ალავიძეს ქუთაისიდან ონში მიჰყავდა 12 მგზავრი. საირმეს ტყის მახლობლად შოფერმა დაინახა გზაზე გადმოწვენილი ტელეგრაფის ბოძი. გააჩერა ავტომობილი, გადმოხტა და ის იყო უნდა გადაეგდო ბოძი გზიდან, რომ უეცრად იარაღებით თავს დაადგნენ ყაჩაღები და უბრძანეს ხელი არ გაენძრია.

ყაჩაღებმა გაძარცვეს მგზავრები, წაიღეს 300 მანეთამდე ფული და სხვადასხვა ნივთები. ყაჩაღები მიიმალენ ტყეში, მაგრამ მილიციამ იმ ღამესვე მიაგნო მათ კვალს. მათ სცადეს გაქცევა, რომლის დროს ერთი ყაჩაღთაგანი, სახელდობრ, აბესერიძე მოკლულ იქნა. სუთიძე და პეტრიაშვილი შეიპყრეს.

**პეტრიაშვილს** მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, **სუთიძეს**—4 წლით და ექვსი თვით სასტიკი იზოლიაციით.

**ზერ.**

## მომღერალ გუნდების ოლიმპიადა

### მეორე დღე

დღეს, საღამოს 8 საათზე, ს. ორჯონიკიძის სახ. მუშათა კლუბში შესდგება მომღერალ გუნდების მეორე გამოსვლა შემდეგი პროგრამით:

1) ინტერნაციონალი — შეასრულებენ თბ. აკადემ. გუნდი, აჭარის. აკად. გუნდი და ი. კალანდაძის გუნდი, სიმფონ. და ჩასაბერ ორკესტრებთან ერთად სახ. არტისტ. ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

2) კანტატა—მუს. ზაქ. ფალიაშვილი.

3) თბილისის და პროვინციის შერეულ გუნდების გამოსვლა.

ორჯონიკიძის სახ. კლუბის გუნდი (ქართ.) —ი. პაპიაშვილის ხელმძ. შესრულ. 1) მგზავრული (ხალხური), 2) მუშათა სიმღერა (რევ.).

თბ. რკ. გზის გუნდი — ქავთარაძის ხელმძღ. შეასრულებს: 1) ოდა მშრომელ ხალხს (რევ.), 2) ძველი ქვეყანა (რევ.).

ქუთ. რკ. გზ. გუნდი — ბ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით — შესრ.: 1) მესტვირული (ნ. სულხანიშვილის), 2) მიდის გემი (ი. რატილის).

ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გუნდი (რუს.) სლავინ ზაგორსკის ხელმძღ. შესრ.: 1) Песня кузницы (მუს. ტურენკოვის), 2) ერთი სიმღერა თავის ამორჩევით.

მბეჭდავთა გუნდი (რუს.) ივანოვის ხელმძ. შეასრულებს: 1) Песня кузницы (მუს. ტურენკოვის), 2) ერთი სიმღერა თავის ამორჩევით.

ჭიათურის გუნდი — ა. კავსაძის ხელმძღვანელობით შეასრულებს: 1) 25 ოქტომბერი (რევოლ.), დილა (რევოლ.), 3) ცის კიდური (ა. კავსაძისა).

საინსტრ. პედაგოგ. კურ. გუნდი—ი. პაპიაშვილის ხელმძღვანელობით შესრულ.: 1) მესტვირული (ი. სულხანიშვილის), 2) ტაშ-ტაში (დ. არაყიშვილის).

ქუთაისის პროფკავშირთა გუნდი — ბ. კუხიანიძის ხელმძღვ. შესრულ. 1) ოი, და დილა (ხალხური), 2) ძლევის სიმღერა (კ. ფოცხვერაშვილის).

უნივერსიტეტის გუნდი — გ. კოკელაძის ხელმძღვანელობით შეასრულებს: 1) მიდის გემი (რატილის), 2) ლილე (ხალხური-სვანური).

ჰაიარტუნის გუნდი—კ. ზაქარიანის ხელმძღვანელობით შეასრულებენ: 1) Красная весна (მუს. მანუკიანის), 2) Песнь пахаря (ხალხ. კომიტა-ის), 3) Гора Алагез (დამუშ. მირზოიანის).

კალანდაძის გუნდი შეასრულებს: 1) მიდის გემი (რატილის), 2) მაშ გამარჯვება (ნ. სულხანიშვილის).

აჭარისტანის აკადემიური გუნდი — ბ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით და თბილისის აკადემიური გუნდი — კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით შეასრულებენ ცალ-ცალკე: 1) მესტვირული (ნ. სულხანიშვილის), 2) ალიფაშა (დამ. ზ. ფალიაშვილის მ.), 3) ლილე (დამ. მ. ბალანჩივაძის მ.).

დასასრულ აჭარისტანის გუნდი შეასრულებს რჩეულ სიმღერებს.

## რკინის გზებზე

### საშუალო-ტეხნიკურ მეთაურთა კურსები

მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში გზათა სახ. კომისარიატის განკარგულებით რკინის გზებზე შეუდგებიან საშუალო-ტეხნიკურ მეთაურთა კურსებზე მსმენელთა შერჩევას. ასეთი კურსები არსებობენ მოსკოვში, ლენინგრადში და ხარკოვში. გზათა სახალხო კომისარიატს განზრახვა აქვს მიმდინარე წელში ამ კურსებზე მიავლინოს 289 კაცი. ადგილები უკვე დანაწილებულია რკინისგზებს შორის. ა.-კ. რკინის გზას დაეთმო 11 ადგილი, რომელთა შორის 5 კაცი გაიგზავნა—მოსკოვში, 5 ხარკოვში, ხოლო 1 ლენინგრადში. კურსებზე ამზადებენ წევის, ლიანდაგის, მოძრაობის, კავშირთგაბმულობის და სატყეო დარგების მუშაკებს.

### ტვირთვა-გადატვირთვის დაკისრება

ა.-კ. რკინის გზათა გამგეობამ ა.-კ. რკინისგზელთა კავშირთან შეთანხმებით დაადგინა წვრილ სადგურების მეისრეების დატვირთვა ტვირთავ-გადამტვირთავი სამუშაოებით. თუ ხსენებული მეისრეები ყოველთვიურად დაამუშავებენ 8 ტონამდე, მიიღებენ დამატებით ხელფასს 30 მანეთის რაოდენობით. ის მუშაკები, რომლებიც გადატვირთავენ ზედმეტ ტვირთს ყოველ ცალკე შემთხვევაში მიიღებენ ზედმეტ დამატებით ჯილდოს—8—12 ტონამდე—70 კაპ. თითო ტონაზე, 18 ტონამდე—60 კაპ., 27 ტონამდე 50 კაპ., 40 ტონ.—40 კაპ., 60 ტონ.—35 კაპ., 90 ტონ.—30 კაპ., 135 ტონ.—25 კაპ. და ზევით კი—23 კაპეიკს. საქართველოს რკ. გზ. ხაზზე ასეთი სამუშაოების ნორმები მეისრეებს დავალებული აქვთ 41 სადგურზე, აზერბეიჯანის ხაზზე—32 სადგურის მეისრეებს, ხოლო სომხეთის ხაზზე—12 სადგურის მეისრეებს.

### ხარჯების შემცირების შედეგები

ა.-კ. რკინის გზათა გამგეობამ უკვე დაამუშავა მასალები ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ ხარჯების შემცირების შედეგების შესახებ ა.-კ. რკინის გზებზე გ. წ. მე-2 კვარტალის განმავლობაში. როგორც გამოირკვა ხაზზე შემდეგ გადახარჯვას ჰქონდა ადგილი სხვადასხვა დარგებში, სახელდობრ—სალიანდაგო დარგში—5.541 მანეთის რაოდენობით, წევის დარგში, 24.180 მანეთი, კავშირთგაბმულობის დარგში—1.036 მან., ექსპლოატაციის დარგში—9.534 მანეთის, სამეურ-სამასალო დარგში—595 მანეთის, ნავთსადენის დარგში—6.983 მანეთის რაოდენობით. უმთავრესად გადახარჯვებს ადგილი ჰქონია ხაზის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ერთეულებში. მაგრამ ზოგიერთ მათგანს მაინც აღმოაჩნდათ ეკონომია, როგორც მაგალითად სალიანდაგო დარგის მე-4, 5, 6, 9, 16, 18 უბნებს, წევის დარგის 1-ლ და მე-2 უბნებს, კავშირთგაბმულობის მე-2, მე-4 და მე-6 უბნებს, მოძრაობის დარგის 1-ლ უბანს და წევის სახელოსნოს.

სამეურნეო განყოფილებებს და ერთეულებს წინადადება მიეცათ სავსებით დაიცვან მთავრობის დადგენილებები ადმ. - სამეურ. ხარჯების შემცირების შესახებ მე-3 კვარტალშიც.

### შემთხვევები

— 27 ივნისს, სად. რიონში საბარგო მატარებლიდან გადმოხტომის დროს მატარებელმა გადასჭრა მარცხენა ფეხის ტერფი სოფ. ჰოგნარში მცხოვრებ გლეხს დავით გოგიაშვილს. დაჭრილი გადაიგზავნა ქ. ზესტაფონში საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

— იმავე დღეს სად. ნატანებში ტვირთის გადმოცლის დროს დაუშავდა მარცხენა ფეხი გადამტვირთავ მუშას ისიდორე დოლიძეს. დაზარალებული გადაიგზავნა ბათომის რკ. გზ. საავადმყოფოში.

## ფიზკულტურა და სპორტი

### ფოთი - თბილისი

დღეს, 29 ივნისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება საქალაქთაშორისო შეჯიბრება ფეხბურთში ფოთის პროფკავშირების ნაკრებ გუნდსა და თბილისის პროფკავშირების მეორე ნაკრებ გუნდს შორის.

თბილისის გუნდში შედიან მეორე კატეგორიის გუნდების საუკეთესო მოთამაშეები.

შეჯიბრება დაიწყება 5 ნახ. საათზე.

### ველო - მარულა

ერევნიდან თბილისში ჩამოვიდნენ სომხეთის საუკეთესო ველო - სპორტსმენები, რომლებიც ამხანაგურ შეჯიბრებას გამართავენ თბილისის ველოსიპედისტებთან.

შეჯიბრებები გაიმართება 29 და 30 ივნისს ველოდრომზე.

## რადიო-გადაცემა

### შაბათი, 29 ივნისი

დღეს თბილისის რადიო-ცენტრი გადასცემს შემდეგ რადიო-პროგრამას:

საღამოს 6 საათიდან—საუბარი: „როგორ სამსახურს უწევენ პროფკავშირები სეზონურათ მომუშავეებს", ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; საგლეხო კონცერტი; დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი, რადიო-გაზეთი, რუსულ ენაზე; სრულიად საქართველოს მომღერალთა გუნდების ოლიმპიადის ტრანსლიაცია; უკანასკნელი ამბები.

## შრომის ბირჟაში

დღეს, 29 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

**შავ მუშათა სექციიდან:** ვასილ ბოშტაშვილი, იაკობ მანუკიანცი, იოსებ ფუთხური, აველას ტერ-აკოფოვი, სერგო კირიჩევი, დანიელ სელიხოვი, ვერა ტერ-ხაჩატუროვა, ვლადიმერ თოფურია, მიხეილ ბუტაევი, ივანე შაბინი, პავლე ქავთარაძე, სოკრატ ალბოროვი, დავით აბაშიძე, მიხეილ წოწკორაული, მიხეილ ფანოზიშვილი, ვაგარშაკ გევორქიანი, სანდრო ღვინიაშვილი, ნიკოლოზ კვეზერელი, ცოლაკ სუკიასოვი, სოლომონ კანკავა, ხაჩატურ კინოიანცი, ვიქტორ მაღლაკელიძე. ივანე პავლოვი, ივანე პიაურელი, ალექსანდრე მერეზაშვილი, იაკობ ბაბლიძე, ტარტაროს მანუკოვი, კატიკ ვარიანოვი.

**გონებრივ მუშაკთა სექციიდან:** შ. რობაქიძე, მ. გაჩეჩილაძე, ნ. სვანიძე, დ. ყარაური, ლ. ლომინაძე, უჩანეიშვილი, ი. ნაზაროვა, ი. ბელიაშვილი მ. ანდღულაძე, ე. ოგანეზოვა, მ. თვაური, ი. [illegible], ნ. [illegible], ოგანჯანოვა, კარაპეტოვა, [illegible], ლაქიანი, მ. [illegible], [illegible], ოგანეზოვა, ზ. [illegible], [illegible], აბდუშელაშვილი, ლოსაბერიძე, ციციშვილი, საakiანი, ჯავახიშვილი, ა. მეტრეველი, ევგენია ზაბეჟაევა, გრიგოლ ხუნდაძე, მარიამ ტრეგერი, კლავდია ავაქუმოვა, ვერა ბარბაქაძე, ლენა პოლოსოვა, ზინაიდა სლივიცკაია, ნატალია ადამოვა, ელისაბედ ბეჟანიძე, მარიამ მუჯირი, გიორგი ქუთათელაძე.

**კვალიფიციურ მუშათა სექციიდან:** ტატიანა ვეჟენაკოვა, ანა ბეშბიაშვილი, ანა ხარატაშვილი, მარიამ დიუჟინა, მარგარიტა სვანიძე, რამიშვილი, ევა კალანდაძე, მარიამ კრეცოვი.

**მედსექციიდან:** ნადია კირჩუნოვა, ელენე ურკოვსკაია, ალექსანდრე მანუკოვი, სარდიონ ყრუაშვილი, ანა ბალდასაროვა.

**მშენებელ მუშათა სექციიდან:** პოლოს ავაქიანი, ანასტასი ისაგულოვი, ზაქარია ივანოვი, კალისტრატე სურმავა, სურენ ოგანეზოვი.

## წერილი რედაქციის მიმართ

### ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ „კომუნისტი"-ს ერთ-ერთ მახლობელ ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგ ჩვენს წერილს: ჩვენ ვმსახურობთ მასწავლებლებად აჭარისტანში. საზაფხულოდ, მოწაფეთა დათხოვნის შემდეგ, როცა დავბრუნდით ჩვენს მუდმივ საცხოვრებელ ქალაქში — ოზურგეთში, გავიგეთ, რომ ამა წლის აპრილის ბოლო რიცხვებში ოზურგეთის თემის აღმასკომში გამოცხადებულან სოფ. ბოხვაურის „ღვთის მორწმუნეთა" რწმუნებულები და წარუდგენიათ სია იმ „ღვთის მორწმუნეთა", რომლებიც მოითხოვდნენ, რათა ბოხვაურის ეკლესიის შენობა არ დაერღვიათ. სიაში მოხსენებული ყოფილა ჩვენი სახელი და გვარიც.

ვაცხადებთ ყველას საყურადღებოთ, რომ ჩვენ არას დროს ასეთ სიაზე ხელი არ მოგვიწერია და არც არავისთვის დაგვივალებია ჩვენს მაგიერ ხელის მოწერა. ეს არის ცრუ-ხელწერა, რისთვისაც დამნაშავეს პასუხიც მოეთხოვება.

ჩვენ არ ვეკუთვნით „ღვთის მორწმუნ რიცხვს და სასტიკად ვგმობთ ხალხის გ დამხშობ ყოველგვარ სარწმუნოებას. გვწამს, რომ მშრომელ ხალხს იხსნის გ ბისაგან არა ეკლესია, არამედ პატიოს ლექტიური შრომა. ვართ საბჭოთა მასწავლებლები და ყოველი გზით ლობთ მოვსპოთ მოსწავლე ახალგა ცრუმორწმუნეობა და ძველი ადათ

ჩვენ სავსებით ვუერთდებით ს მცხოვრებთა იმ ნაწილს, რომელ ხოვს, რომ ეკლესიის შენობა მო მელიმე კულტურულ დაწესებულ „ღვთის მორწმუნეთ" მაინც და მაინ რომ ეკლესია დარჩეს, იმ შემთხვევ უნდა შეისყიდონ თავისი ნაწილი ფ ჩვენ, არამორწმუნეთ კი, მოგვცენ ს ჩვენი ხვედრი ნაწილი მოვახმაროთ რულ, ხალხისათვის სასარგებლო

**მასწავლებლები: ბარნაბ და**

**მენაბ**

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებან

### დადგენილება

### სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### „თავდაცვა-ავიაქიმის" საზოგადოების მიერ მოსახლეობის გასამხედროებისათვის წარმოებული მეცადინეობის დროს დაშავებულ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა უზრუნველყოფის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„თავდაცვა - ავიაქიმის" საზოგადოების მიერ მოსახლეობის გამხედროებისათვის წარმოებული მეცადინეობის დროს დაშავებული მოქალაქენი და მათი ოჯახის წევრნი (ეს უკანასკნელნი ხსენებულ მოქალაქეთა სიკვდილის გამო) გათანასწორებულ იქნენ უზრუნველყოფის მხრით სამხედრო სამსახურის ინვალიდებთან და მათ ოჯახებთან და გავრცელებულ იქნეს მათზე მოქმედება „სამხედრო სამსახურის ინვალიდთა და მათი ოჯახებისა, გარდაცვალებულ ან უგზო - უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა, მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გაწვეულ პირთა ოჯახებისა და აგრეთვე კონტრ - რევოლიუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო შრომის უნარდაკარგ პირთა ან ამავე პირობებში მარჩენალ დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის დებულებისა" (საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-9 №-რი, მუხ. 3).

იმ პირთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომელნიც გამენი არიან და მონაწილეობა არ მიუღი ზემოაღნიშნულ მეცადინეობაში, მოხდება სამოქალაქო სამართლის კოდექსით გათვალისწინებული საერთო წესით.

**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.**

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.**

**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 5

თბილისი—სასახლე

### შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ საქ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში „სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეთა და აგრეთვე სასოფლო და სატყეო მეურნეობის სპეციალისტთა შვილების სასწავლებლებში მიღების მხრივ მუშათა შვილებთან გათანასწორების შესახებ" ხელის მოწერაში გაიპარა შეცდომა:

**სწერია:** საქ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომის მოადგილე პ. მეგრელიშვილი;

**უნდა იყოს:** ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**დღეს, 29 ივნისს, დილის 11 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.** აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება სხდომა, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ამხ. აკ. ჭუნია („კომუნისტი"), თ. სიხარულიძე („მუშა"), ბარათაშვილი („ახალი სოფელი"), ვოლსკი (ახალგაზრდა კომუნისტი"), ვარდანიანი („პროლეტარი"), ტაგიევი („ენი კენდ") და პიტერსკი („რაბოჩაია პრავდა").

—:—

**შაბათს, 29 ივნისს, საღამოს 7 საათზე,** საქ. სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში მოწვეულია კომკავშირის ბიურო-კოლექტივის სხდომა. წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა. სხდომას უნდა დაესწრონ აგრეთვე უჯრედების ბიუროების წევრები.

საქ. კომ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპბეჭდვითი განყოფილება აცხობინება, რომ დღეს 2 საათზე, შესდგება სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მალ. ტოროშელიძე, ა. მიქაძე მეგრელაძე, სულუხია და გეგენავა.

—:—

ორშაბათს, 1 ივლისს, საღამოს 6 საათზე ანტირელიგიურ კაბინეტში (რუსთაველის პროსპექტი № 21, მე-3 სართული), შესდგება ჯგუფური კონსულტაცია შემდეგ თემაზე: „ანტირელიგიური პროპაგანდის პრაქტიკული დაყენება და ურწმუნოთა კავშირის მოიარე ამოცანები". კონსულტანტი ამხ. ს. არუთინოვი. მოწვეული არიან ურწმუნოთა კავშირის უჯრედების ბიუროების ყველა წევრები და ურწმუნოთა აქტივი.

შვილები ვერა აბდუშელიშვილისა, ლიუბა ხენკელისა ქმარშვილით ექ მი ლიუდმილა და სეფე თავზარაშვილები და ნუცა მაჭარასა აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათი დედის

მარიამ ივანეს ასულ თავზარაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე კვირას, 30 ივნისს საღამოს 5 ნახ. საათზე. 2396

მშობლები ტერეზი და გრიგორი, დები მარგარიტა და ცაცო მწუხარებით იუწყებიან, რომ 30 ივნ. 12 საათზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ტარიკო სამხარაძის

ხსოვნის აღსანიშნავად 2402

დამწუხრებულნი ცოლი ნინო, და ოლღა გელაურის, შვილები: გაბრიელ ცოლშვილით, ლიზა მამამთავრიშვილი ქმარ შვილით, ნადია ითრამიშვილი ქმარშვილებით აუწყებენ ნათესავთ და აცნობებენ დაუვიწყარ

ნიკოლოზ გაბრიელის ძ ნაცვლიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, საღამოს 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე გამოსვენება თამარის ქუჩა № 19. 2405

აქციონერული საზოგადოება
„საქართველოს ჩაი"
აცხადებს საჯარო ვაჭრობას
აგურის ორსართულიანი შენობის აგებაზე ჩაქვ ს საბჭოთა მეურნეობის სამმართველოს კანტორისათვის

შენობის მოცულობა 4050 კუბ. მეტრამდე.

ვაჭრობა მოხდება ორშაბათს, 8 ივლისს, დღის 12 საათზე, გამგეობის შენობაში: რუსთაველის პროსპექტი, № 25 და იწარმოებს თანახმად წესებისა, რომლებიც 1927 წლის მაისის 11-ს გამოცემულ სახელმწიფო იჯარების და დამზადებების დებულებას თან არიან დართულნი.

წინადადებები დახურულ პაკეტებში მიიღება ვაჭრობის დღის 10 საათამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება გამგეობაში ყოველდღე დილის 10-დან 12 საათამდე; ტელ. 10—46.

იმ დაწესებულებებმა და პირებმა, რომლებიც საწინდარის შეტანისაგან განთავისუფლებულნი არ არიან, ასეთი უნდა შეიტანონ „საქართველოს ჩაის" გამგეობაში სამუშაოს ღირებულების 10 პროცენტის რაოდენობით და ქვითარი დაურთონ განცხადებას.

აქც. საზ. „საქართველოს ჩაის" გამგეობა იტოვებს უფლებას არ გადასცეს სამუშაო უეჭველად ვაჭრობის იმ მონაწილეს, რომელიც ყველაზე უმცირეს ფასს წარმოადგენ, არამედ ვაჭრობაში მონაწილეს მიერ წარმოდგენილი ფასების გარდა იხელმძღვანელოს აგრეთვე მისი კრედიტის უნარიანობით და გამოცდილებით.

ნ. 2914 „საქართველოს ჩაის" გამგეობა.

ორჯონიკიძის სახ. კლუბი (ყოფ. მუშტაიდი)
28, 29 და 30 ივნისს 1929 წ. სრულიად საქართველოს მომღერალ გუნდების
პირველი ოლიმპიადა
მონაწ. 29 გუნდი 900 კაცის შემადგენლობით
პროგრამაში ხალხური, რევოლიუციონური და მხატვრ.—დამუშავ. სიმღერები. ბილეთები იყიდება კლუბის სალაროში: პ/კავშირის წევრ. 25 კაპ. კლუბის წევრ 15 კ. კერძო პირთათვის 60 კაპ.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე დაწვრილებით აფიშებში. 4—2 2902

სახკინმრეწვის კინოები
საზაფხულო აპოლო — მსოფლიო კომიკი ჰაროლდ ლოიდი კომედიაში მეზღვაური; პროგრამის გარდა—ზედმეტი სურათი
საზაფხულო ეთერი — უცხოეთის მხატვრული ფილმი მწვანე შესახვევი
საზაფხულო პალასი — განწირულნი ვიქტორ ჰუგოს რომანის მიხედვით 1 და 2 სერია ერთად
აპოლო — მხატვრული ფილმი
სოლეი — აზერბეიჯანის სახ. კინომრეწველობის ნაწარმოები სონა
მინიონი — პუჩინაია და ცესარსკაია სურათში რიაზანელი დედაკაცები
მალე სემირამიდას მარგალიტი მთის ბალადა

იყიდება
საოჯახო
ნივთები:
შკაფი, კამოდი და სხვა წვრილმანი, კვირას, 30 ივნისს, 10—3 ს.
მისამართი: გორის ქ. № 21

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 4. 6. 10. 25—1

დაკარგა: 3 სულის პურის წიგნაკი № 44, გაცემული ქუთაისის შ ნა ვაჭრობის პურის კომისიის მიერ ნიკოლოზ მძევლიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2913

დაკარგა: სამხედრო აღრიცხვის ნუსხა, გაცემული ქუთაისის სამხედრო კომისარიატისაგან კონსტანტინე იოსების-ძე იაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2913

მათემატიკის
მასწავლებელი
ივ. მაჩაიძე
ამზადებს მათემატიკაში
(არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ.) და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ (ინდუსტ. ქიმ. და რკინისგზ.) მე-9 და მე-10 ჯგ. შესასვლელ საკონკურსო და განმეორებითი საშემოდგომო გამოცდებისათვის.
შესავალი პლეხანოვის ქ. № 25 ან ჩერნიშევის ქუჩის კუთხიდან № 5. 9—12 საათ. 4—6 საათ. 2366 5—4

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის
ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები. სახის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.

ექიმი
პ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

ქ. ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
იღებს სპეციალურად ფილტვების ავადმყოფებს
დილის 8—12 საათამდე. ჭავჭავაძის ქუჩა № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით. 25—14

ექიმი
დ. ლ. თევზაძე
(სპეციალისტი ყელის და ყურის სნეულებათა)
წასულია თბილისიდან და განაახლებს ავადმყოფების მიღებას ოქტომბრის პირველიდან
2334 13—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და მავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914" შეხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—

დაკარგა: პირადობის მოწმობა № 21 საველი ბესარიონის-ძე რამიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2395

დაკარგა: მეტრიკული ამონაწერი გაცემული 1927 წ. ცენტრ. მმაჩის მიერ ვასილ ზაქარიას-ძე კობერიძის სახელზე, ჩ. გ. 2393

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ.
საღამ. 6—7 საათ ქალები
7—9 საათ კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან.

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გიმნაზიის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

დაკარგა: პირადობის მოწმობა რკინის გზის სამმართველოს № 151 ქსენია გიორგის ასული ანთიძეს სახელზე, ჩ. გ. 2394

დაკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი ტარასი ჯანაძის სახელზე, ჩ. გ. 2398

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმ ყოფების მიღება სპეციალურა ძვლების, ჯ რკვლებ ერკულოზის იღება 5—7 საათამდე. დალმართი (ყოფ. ვერის) № ელსმენი—11—78.

დაკარგა: 5 სულის პურის წიგნაკი, გაცემული ქუთაისის შინა-ვაჭრობის პურის კომისიის მიერ არტიმონ ტრაპაიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2913

დაკარგა: ჩამონაჭერი ა.-კ. რკინის გზის სამხედრო მაგიდის მიერ მოცემული № 5444 გიორგი სიმონის-ძე ქუთათელაძის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგა: ხელოვნების მუშაკთა კავშირის პროფ. წიგნ. № 97162 გიორგი მიხეილის-ძე თაქთაქიშვილის სახელზე, ჩ. გ. 6399

დაკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი ილია მიხეილის-ძე შარაშიძის სახელზე, ჩ. გ. 2404

დაკარგა: ქორწინების ბარათი გაცემული თბილისის მმაჩიდან და მეტრიკული ამონაწერი, გაცემული სოფელ ძეგვიდან მიხეილ ვასილის-ძე ჩიტიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2403

ტირაჟი—39·895

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.